საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 44-45 (589) შაბათი, 6 მარტი, 1993 წელი ფასი 10 მანეთი.

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობებს, რომ 4 მარტს დილის 8 საათიდან მდინარე გუმისთასთან მოწინააღმდეგემ დაიწყო აქტიური საბრძოლო მოქმედება. წინა ხაზზე გამოიყვანა რამდენიმე ტანკი და ქვეითთა საბრძოლო მანქანა და დაუშინა ცეცხლი ჩვენს საბრძოლო პოზიციებსა და სოხუმს. ქალაქის სხვადასხვა რაიონში აფეთქდა 10-ზე მეტი ჭურვი. დაზიანდა შენობები და დაიჭრა რამდენიმე მოქალაქე.

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გახსნეს საპასუხო საარტილერიო ცეცხლი და ჩაახშეს მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილები.

იმ დღეს სოხუმისა და ოჩამჩირის თავზე რამდენიმეჯერ გამოჩნდნენ რუსეთის სამხედრო თვითმფრინავები.

ოჩამჩირის რაიონში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები მოხდა სოფელ აგუბედიასა და ბესლახუბასთან. ჩვენი მხრივ მსხვერპლი არ არის.

ღამემ მდინარე გუმისთასთან, ასევე ოჩამჩირის რაიონში მშვიდად ჩაიარა. მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგის შესაძლო შეტევის გამო საქართველოს შეიარაღებული ძალები მთელი ღამის განმავლობაში ინარჩუნებდნენ სრულ საბრძოლო მზადყოფნას, სიმშვიდე იყო დილითაც.

იოსებ ბოზეჩია.

ქუთაისელები საალყო წესებზე უნდა გადავიდნენ?

თუმცა ფრონტის ხაზი ქუთაისიდან საკმაოდ შორს არის, აფეთქებების ხმები აქ ისეთივე ჩვეულებრივი ამბავია, როგორც წინა ხაზზე.

ბოლო „საბრძოლო მოქმედება" 3 მარტს გვიან ღამით მოხდა. მისი „ავტორები", კი როგორც არაერთგზის, ქუთაისში დაბანაკებული რუსეთის ფედერაციის სამხედრო ნაწილები აღმოჩნდნენ.

— ქუთაისის გარნიზონის მეთაურის გენერალ ალექსანდრე ნაუმოვის ინფორმაციას თუ დავეყრდნობით, ისინი საპასუხო ცეცხლს უშენდნენ თავდამსხმელებს. მსგავსი თავდასხმა, — უთხრა მან საქინფორმის კორესპონდენტს, — 3 მარტს გვიან ღამით ახალგაზრდობის პროსპექტზე მდებარე სამხედრო ნაწილზე მოეწყო, უცნობებმა ტყვიამფრქვევების ცეცხლი დაუშინეს საგუშაგოს და დაცხრილეს იგი.

მართალია, ამჯერად უმსხრამ რამდენიმე საათის მანვერპლოდ გადავრჩით, მაგძილზე იატაკზე გართხმული იყო ამ ცეცხლის ხაზზე მდებარე მთელი დასახლება. ქუთაისის ადმინისტრაციული სამსახურების ხელმძღვანელობას ამ ფაქტებზე არავითარი ინფორმაცია არ მოეპოვება, თუნდაც იმის გამო, რომ რუსეთის არმიის ნაწილიდან, მიუხედავად შეთანხმებისა, მათ ცნობებს არ აწვდიან. ადგილზე მოსულ პოლიციის მუშაკებს, როგორც წესი, სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე არ უშვებენ. ამდენად, ძნელი დასადგენია, მართლა თავდასხმა მოხდა, თუ აქაც ის განმეორდა, რაც ყველგან, სადაც რუსეთის არმიის ნაწილებია დაბანაკებული. ქუთაისელებს ისღა დარჩენიათ — დაუყოვნებლივ გადავიდნენ საალყო წესებზე.

მაკა კილაძე.

ამ დღეებში

გვატყობინებენ
„საქართველოს
რესპუბლიკის"
და საქინფორმის
კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ისევ მებრძოლებთან, ფრონტის წინა ხაზზე

ედუარდ შევარდნაძე აფხაზეთში

მაქსიმალურად არის დატვირთული აფხაზეთში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ყოფნის გრაფიკი. დილით იგი ეწვია სამხედრო ჰოსპიტალს, რომელსაც სათავეში უდგას ახალგაზრდა ექიმი ელგუჯა ადამია. სხვათა შორის, მამამისი, გენო ადამია, ხელმძღვანელობს სოხუმის თავდაცვას, როგორც 23-ე ბრიგადის მეთაური. ჰოსპიტალში, რომელიც ფრონტის პირობებში მუშაობს, იდეალური წესრიგია. აქ ყველა მკაცრ სამხედრო დისციპლინას ემორჩილება. ედუარდ შევარდნაძე ესაუბრა დაჭრილებს, გამოიკითხა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა. ჰოსპიტლის სამედიცინო პერსონალთან გამოთხოვებისას მან მადლობა გადაუხადა მთელ კოლექტივს რთული და ესოდენ საჭირო შრომისათვის, რომლის წყალობით ბევრი დაჭრილი თავს კვლავ ჯანსაღად გრძნობს და მწყობრში დგება.

შემდეგ სახელმწიფოს მეთაური ეწვია სწრაფი რეაგირების კორპუსის პირველ ბრიგადას. ამ ქვეგანაყოფში, როგორც აცნობა მას მეთაურმა დავით თევზაძემ, აკლიათ იარაღი და ტყვია-წამალი. მებრძოლები არ არიან უზრუნველყოფილი ფორმის ტანსაცმლით, ფეხსაცმლით. ედუარდ შევარდნაძე დაჰპირდა მეომრებს, რომ უახლოეს დღეებში ყველა ეს ხარვეზი აღმოიფხვრება.

ამის შემდეგ ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ბატალიონ „შავნაბადას" პირად შემადგენლობას, იყო სამხედრო პოლიციის ქვეგანაყოფში. ამ ფორმირებებმა, თამამად შეიძლება ითქვას, უკვე შეიძინეს ის თვისებები, რომლებიც უნდა ჰქონდეს ნამდვილ რეგულარულ არმიას. სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა მეომრებს ყველაფრისათვის, რასაც ისინი აკეთებენ და რაც უკვე გააკეთეს. მან მაღალი შეფასება მისცა მებრძოლთა ორგანიზებულობასა და დისციპლინიანობას. მჯერა, თქვა მან, რომ საქართველო აყვავებული ქვეყანა იქნება. ამის გარანტი ხართ თქვენ და თქვენი თანაპოლკელები, იარაღით ხელში რომ იცავთ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

ძალიან ამაღელვებელი იყო შეხვედრა „შავნაბადას" ერთ-ერთ მებრძოლთან მურთაზ ნადარეიშვილთან — ამ ცოტა ხნის წინათ გუდაუთის რაიონის სოფელ ახალსოფლის მკვიდრთან. ადგილობრივმა ექსტრემისტებმა აწამეს მისი მშობლები, ცოლმა კი ვერ გაუძლო ამ მწუხარებას და გარდაიცვალა. დარჩა მურთაზი პატარა ბავშვით ხელში. მაგრამ მაინც ეყო ძალა, რომ საბრძოლო მწყობრში დარჩენილიყო.

ნაშუადღევს ედუარდ შევარდნაძე ჩავიდა ფრონტისპირა ზოლში მდებარე სოფელ შრომაში. აქაურმა მცხოვრებლებმა თვითონ შექმნეს თავდაცვის რაზმი და იცავენ თავიანთ კერებს ექსტრემისტებისა და ჩრდილოკავკასიელი დაქირავებულებისაგან.

სახელმწიფოს მეთაური გაეცნო ვითარებას კონფრონტაციის ხაზზე, ესაუბრა ადგილობრივ მცხოვრებლებს.

საღამოს სახელმწიფოს მეთაური სოხუმში დაბრუნდა.

თენგიზ გრიგალაშვილი.

ნომერში

◉ გზა სიმართლისა. 5
◉ არავითარი ორი გზა, არავითარი ორი საქართველო. 8

კონსულტაციები რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში

მიმდინარე წლის 26 თებერვლიდან 1 მარტის ჩათვლით რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში მიმდინარეობდა რუსეთ-საქართველოს კონსულტაციები აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებზე. რუსეთის მხარეს წარმოადგენდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბორის პასტუხოვი, საქართველოსას — მთავრობის წევრი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე კავსაძე.

კონსულტაციათა მონაწილეებმა განაცხადეს, რომ დაინტერესებული არიან, რაც შეიძლება მალე შეწყდეს სისხლისღვრა, გადაწყდეს კონფლიქტი პოლიტიკური საშუალებებით, მოლაპარაკების გზით. მათ ერთი აზრი ჰქონდათ იმაში, რომ ვითარების მოწესრიგების საფუძველია მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის დებულებანი, რომლებსაც შეთანხმებული ფორმით შეიძლება დაემატოს საერთაშორისო ელემენტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1993 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით. მხარეები დათანხმდნენ, რომ მომავალ მოლაპარაკებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს უახლოეს ხანს მეტად გამწვავებულ ლტოლვილთა მდგომარეობის მოწესრიგებას, მათთვის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას მშვიდად დაბრუნების პირობების შექმნას.

მხარეებმა დათქვეს, რომ უახლოეს დღეებში გაცვლიან კონკრეტულად ჩამოყალიბებულ წინადადებებს შეიარაღებული კონფლიქტის შეწყვეტის გეგმის შესახებ.

საქართველოს მხარე დაეთანხმა რუსეთის წარმომადგენელთა წინადადებას, რომ პირველ ნაბიჯად ორივე მხარემ უზრუნველყოს ცეცხლის შეწყვეტა მდინარე გუმისთის რაიონში ვადით, რომელიც საჭიროა სოფელ ეშერის სეისმური სადგურის მოწყობილობის ევაკუაციისა და იქიდან რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფების გაყვანისათვის. რუსეთის წარმომადგენლები ამ საკითხზე გამართავენ კონსულტაციებს აფხაზეთის მხარესთან და შეათანხმებენ ცეცხლის შეწყვეტის ვადებს.

კონსულტაციათა მონაწილენი შეთანხმდნენ, რომ კონფლიქტის ზონაში წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციებისა და გართულებების სწრაფი და ეფექტიანი გამოძიებისათვის უნდა შეიქმნას ურთიერთინფორმირებისა და ოპერატიული რეაგირების მექანიზმი ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროების, თავდაცვის სამინისტროებისა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

კონსულტაციებში მონაწილეობდნენ: რუსეთის მხრივ — გენერალ-პოლკოვნიკი ა. ა. გალკინი, განსაკუთრებულ დავალებათა ელჩები ფ. ნ. კოვალიოვი და გ. ი. ფედოსოვი, საქართველოს მხრივ — საქართველოს დროებითი საქმეთა რწმუნებული (ელჩი) მოსკოვში პ. პ. ჩხეიძე.

ალექსანდრე კავსაძე მიიღო რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ ს. მ. შახრაიმ. შეხვედრები გაიმართა აგრეთვე რუსეთის ფედერაციის უზენაეს საბჭოში, რუსეთის ფედერაციისა და ეროვნებების საქმეთა, საგანგებო სიტუაციათა კომიტეტებში.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით:

მედლით „მხედრული მამაცობისათვის":

ზურაბ ბერიძე — ბათუმის შინაგან საქმეთა სამინისტროს საქალაქო განყოფილების სამძებრო ქვეგანყოფილების ინსპექტორი (სიკვდილის შემდეგ);

ზურაბ ვარსიმაშვილი — შინაგანი ჯარების სადესანტო-საიერიშო ასეულის უფროსი სერჟანტი (სიკვდილის შემდეგ);

ვალერი ეგოროვი — გაგრის შინაგან საქმეთა განყოფილების პოლიციელი (სიკვდილის შემდეგ);

ვლადიმერ მაქსიმოვი — შინაგანი ჯარების ოპერატიული პოლკის რიგითი (სიკვდილის შემდეგ);

ბადრი მჭედლიშვილი — კრიმინალური პოლიციის მთავარი სამმართველოს სამძებრო სამმართველოს ოპერატიული სამძებრო განყოფილების უმცროსი ინსპექტორი (სიკვდილის შემდეგ);

პაატა ნათენაძე — თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილე (სიკვდილის შემდეგ);

ომარ ფურცელაძე — თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს სამძებრო განყოფილების უმცროსი ინსპექტორი (სიკვდილის შემდეგ);

ვახტანგ შანავა — შინაგანი ჯარების სადესანტო-საიერიშო ასეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ);

იური ძიძიგური — გაგრის შინაგან საქმეთა განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი (სიკვდილის შემდეგ);

თეიმურაზ ხუნწარია — გაგრის შინაგან საქმეთა განყოფილების მილიციის უბნის ინსპექტორი (სიკვდილის შემდეგ);

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის":

ელგუჯა ბუსხრიკიძე — ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი;

მამუკა ქურდაძე — რუსთავის შინაგან საქმეთა სამმართველოს საპატრულო საგუშაგოს სამსახურის ზემდეგი;

მერაბ ხითურიძე — თბილისის ჩუღურეთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებული.

ე. შევარდნაძე.

თბილისი. 1993 წლის 4 მარტი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
პროფესიული კავშირების უფლებათა უზრუნველყოფის შესახებ

რესპუბლიკაში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების გამოხატვასა და დაცვაში პროფესიული კავშირების როლის გათვალისწინებით, აგრეთვე პროფესიული კავშირების უფლებების უზრუნველყოფისა და მათი საქმიანობისათვის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, რესპუბლიკის ადგილობრივი ორგანოების, სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, გაერთიანებების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა მიუხედავად საკუთრების ფორმისა და უწყებრივი კუთვნილებისა:

1. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პროფკავშირების უფლებათა დაცვასა და მათი საქმიანობის ყოველმხრივ უზრუნველყოფას.

2. კანონქვემდებარე აქტების მიღებამდე შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად გამართონ წინასწარი კონსულტაციები სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე დასაბუთებული გადაწყვეტილებების შემუშავების მიზნით.

3. რეკომენდაცია მიეცეს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ფონდის გამგეობასთან ერთად განიხილოს და გადაწყვიტოს პროფესიული კავშირების სოციალური პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხი.

4. მიზანშეწონილად ჩაითვალოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტსა და პროფესიულ კავშირებს შორის გენერალური ხელშეკრულებების (შეთანხმებების) შემმუშავებელი კომისიის შექმნა ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში მშრომელთა სოციალური დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებათა დასახვისა და განხორციელების მიზნით. კომისიამ ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს ზემოხსენებული ხელშეკრულების პროექტი.

5. საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე რეკომენდებულ იქნეს ამა წლის თებერვალ-მარტში მოლაპარაკებების გამართვა საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში 1993 წლის კოლექტიური ხელშეკრულებების (შეთანხმებების) დასადებად მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების განხორციელებისათვის.

ე. შევარდნაძე.

თბილისი. 1993 წლის 28 თებერვალი.

თენგიზ სიგუამ მიიღო დანიის ელჩი

— ჩვენ მოხარული ვართ, რომ საქართველომ დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა ევროპის ისეთ დიდად განვითარებულ ქვეყანასთან, როგორიც დანიაა, — თქვა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ, როდესაც მიიღო დანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ქრისტიან ფაბერ-როდი. ვიმედოვნებთ, რომ დანიელი ექსპერტები, რომლებსაც ჩვენ მოვიწვევთ, დიდ საქმეს გააკეთებენ კრიზისიდან ეკონომიკის გამოყვანის საქმეში.

ბატონმა ქრისტიან ფაბერროდმა განაცხადა, რომ აუცილებლად მოახსენებს ევროსაბჭოს საქართველოში შექმნილ მდგომარეობას, ყველაფერს იღონებს, რათა რესპუბლიკას ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ.

მხარეებმა გამოთქვეს ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების, ტურიზმის, სპორტის საკითხებში მომავალი თანამშრომლობის სურვილი.

მიღებამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ნოტა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

5 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოს რესპუბლიკაში კენტ ბრაუნმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას გადასცა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ნოტა, რომელშიც ნათქვამია:

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა შეშფოთებულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის აშკარა გაუარესების გამო და ამასვე ატყობინებს რუსეთის მთავრობას.

იმის მიუხედავად, რომ ამ ბოლო დროს რუსეთის ზოგიერთმა ოფიციალურმა პირმა გააკეთა განცხადებები, ჩვენ არ გვჯერა, რომ ურთიერთობის გაუარესება რომელიმე ქვეყნის მთავრობის ინტერესებში შედიოდეს. ფაქტობრივად, კონფრონტაცია რუსეთთან შეიძლება კატასტროფული გამოდგეს საქართველოს ძალისხმევისათვის შექმნას დემოკრატიული საზოგადოება.

გარდა ამისა, დარწმუნებული ვართ, რომ პრეზიდენტი ელცინი და წამყვანი რუსი ოფიციალური პირები იზიარებენ თქვენი მთავრობის სურვილს თავი დააღწიოს ახლანდელ ჩიხს და ნაყოფიერად ითანამშრომლოს მრავალ სფეროში.

ჩვენ დაბეჯითებით ვთხოვთ რუსეთის მთავრობას, მიიღოს სათანადო ზომები ორმხრივი დაძაბულობის შესანელებლად და დაარწმუნოს საქართველოს მთავრობა და ხალხი, რომ რუსეთი მყარად ცნობს საქართველოს ტერიტორიულ ხელშეუხებლობას.

ამავე დროს გვჯერა, რომ საქართველოს ოფიციალური პირნი, თავის მხრივ, ყველაფერს იღონებენ სიტუაციის გასაუმჯობესებლად იმ გზით, რომ შეამცირებენ ანტირუსულ გამონათქვამებს.

ცალკეულ რუს ოფიციალურ პირთა განცხადებებს ზედმეტ ყურადღებას რომ უთმობენ, ქართველთა ყურადღება შეიძლება ჩამოაცილოს აფხაზეთის საკითხის მოლაპარაკების გზით მოგვარებას და მნიშვნელოვანი შინაური პრობლემების გადაჭრას.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იმედოვნებს, რომ როგორც რუსეთი, ისე საქართველო სათანადო ზომებს მიიღებენ ორმხრივ წინააღმდეგობათა შენელებისათვის და კვლავ მჭიდროდ ითანამშრომლებენ რეგიონში არსებული კონფლიქტების მოგვარების გზების ძიების საქმეში.

ჩვენ მივესალმებით თქვენს მოსაზრებებს არსებული ვითარების გაუმჯობესებისა და ჩვენი მომავალი შესაძლო დახმარების თაობაზე.

ფოთი: აწმყო და მომავალი

ყველაფერი ცვალებადია ამ გაყინული ცის ქვეშ

უპურობის შიში თითქოს განელდა ფოთში. პურის მოხმარების დონე ადასტურებს, — ასეა:

— 35 ათას ცალამდე ვაცხობდით, ახლა — 25-27 ათასს ვაცხობთ, მეტის მოთხოვნილება არ არის, — ამბობს ნუნუ ნადარაია, პურკომბინატის ქარხნის ცვლის უფროსი.

ქარხანაში კი, გისოსებიან ფანჯარას (მთელი კედლის სიგრძეზე რომაა) მოწყდარა ხალხი: თითო უჯრედში თითო გამოშვერილი ხელი (მეტი არ ეტევა), გამოწვდილი, აღვლენილი თითქოს — სოცრეალიზმის ნაცნობი სურათი, მორიგი პროპაგანდისტული კამპანიის პლაკატური ემოცია — „თავისუფლება მანოლის გლეზოსს!" მცირე შტრიხი „აფუჭებს" ასოციაციის სისრულეს — ხალხს ხელში პურის ფული უჭირავს.

— ეს რა არის, — ცვლის უფროსი ამბობს ისევ, — ადრე უნდა გენახათ, რა ხდებოდა: იმდენი ხალხი იყო, კარს ვერ გაალებდით.

არაფერი შეიცვალა?

— სადგური აგერ არის, ავტოსადგურია კიდევ აქ. რაიონებიდან ჩამოსულნი დგანან უფრო მეტი. ყიდულობდნენ, ისევ დგებოდნენ და ისევ ყიდულობდნენ. ამ დილით ელექტროენერგიის გამორთვის გამო ქარხანა ცოტა შეფერხდა, მაგრამ 12 საათისათვის 3 ტონა პური მაინც შეიტანეს 5 სპეციალიზებულ მაღაზიაში.

ქალაქში პური იყიდებოდა, პორტის მაღაზიაში — სულ ურიგოდ, თუმცა არც თუ უმაღლესი ხარისხის.

რასაკვირველია, ფოთში ბევრი პრობლემა გადაუჭრელი აქვთ, ფოთსაც ისე უჭირს დღეს, როგორც ყველა ქალაქსა და სოფელს საქართველოში, მაგრამ მდგომარეობიდან გამოსვლის ტენდენციის რეალური ნიშნები არის და, რაც მთავარია, არა იმპულსური და შემთხვევითი, თავდაცვის ინსტინქტით ნაკარნახევი, არამედ — რაღაც ერთიანი საწყისის, ერთიანი ორგანიზაციული სისტემის მოქმედების შედეგი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საზოგადოებრივი აზრი ძნელად იგუებს ცნებას „ცენტრი", როდესაც საქმე ქვეყნის ან ცალკეული

სურათზე: ფოთის მერი რომან მელია.

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
„საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის რ. გ. აბდულატიპოვის და რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ს. მ. შახრაის 1993 წლის 18 თებერვლის სამუშაო ვიზიტის შედეგების შესახებ" კომუნიკეს თაობაზე

განიხილა რა კომუნიკე „საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის რ. გ. აბდულატიპოვისა და რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ს. მ. შახრაის 1993 წლის 18 თებერვლის სამუშაო ვიზიტის შედეგების შესახებ" საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. უარყოფითად შეფასდეს მთელ რიგ საკითხებში საქართველოს დელეგაციის პოზიცია რუსეთის ფედერაციის დელეგაციასთან გამართულ მოლაპარაკებაზე, რაც აისახა ერთობლივ კომუნიკეში.

2. მიუღებლად ჩაითვალოს კომუნიკეში ორაზროვან დებულებათა არსებობა მოსკოვში რუსეთ-საქართველოს 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმებათა თაობაზე.

3. მომავალში აუცილებლად იქნეს მიჩნეული საერთაშორისო მოლაპარაკებებისა და ხელშეკრულებათა ხელმოწერის დროს საოქმო მოთხოვნათა განუხრელი დაცვა, რომლებიც დაირღვა აღნიშნული დოკუმენტის მომზადების დროს.

4. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დეზავუირებულ იქნეს კომუნიკე „საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის რ. გ. აბდულატიპოვისა და რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ს. მ. შახრაის 1993 წლის 18 თებერვლის სამუშაო ვიზიტის შედეგების შესახებ".

5. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საქართველოს პარლამენტის ეს დადგენილება გააცნოს რუსეთის ხელისუფლებას.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1993 წლის 4 მარტი.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამა წლის 2 მარტის კომენტარები „სამოქალაქო კავშირის" ფორუმზე ბორის ელცინის გამოსვლის ზოგიერთი დებულების უცხოეთში გავრცელებულ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა გაოცებით აღიქვა უცხოეთში გავრცელებული მისი 27 თებერვალს „სამოქალაქო კავშირის" ფორუმზე გამოსვლის იმ ფრაგმენტის ინტერპრეტაცია, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ რუსეთი საარსებოდ არის დაინტერესებული ყოფილი კავშირის ტერიტორიაზე ყველა შეიარაღებული კონფლიქტის შეწყვეტით, ნათქვამია, რომ სინამდვილეში ბ. ელცინმა ერთხელ კიდევ დააყენა საკითხი, რომელიც რუსეთის დიპლომატიას უკვე არაერთგზის აღუძრავს.

რუსეთმა — აღნიშნულია რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, — **იკისრა ყოფილი კავშირის კონკრეტულ რაიონებში მშვიდობის შენარჩუნების ტვირთი, თანაც ყველა შემთხვევაში — შესაბამისი რესპუბლიკების თხოვნით ან თანხმობით**, მაგრამ ხარჯებს პრაქტიკულად იგი მარტო სწევს. თუ სხვა კონფლიქტებში ამოქმედებულია გაეროს შესაძლებლობები, მაშინ ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეშიც აუცილებელია ვიზრუნოთ ტვირთის, უპირველეს ყოვლისა, მატერიალურის განაწილებაზე.

ვთვლით, რომ ასეთი მხარდაჭერა, მათ შორის ფინანსური, გაეროს მხრიდან არათუ შებღალავს თანამეგობრობაში შემავალი ჩვენი პარტნიორების სუვერენიტეტს, არამედ, პირიქით, მათ როგორც გაეროს წევრებს, მისცემს საშუალებას უფრო საიმედოდ დაეყრდნონ იმ შესაძლებლობებს, რომლებიც აქვს ამ ორგანიზაციას საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

საქართველოს რესპუბლიკა

აბჯარი

„საქართველოს რესპუბლიკის" დღევანდელ ნომერში სიახლეა: გაზეთი-გაზეთში „აბჯარი", რომელიც საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ედუარდ შევარდნაძის ბრძანების „ქ. სოხუმისა და ოჩამჩირის ზონის დაცვის ღონისძიებათა შესახებ" თანახმად დაარსდა და „საქართველოს რესპუბლიკას" შაბათობით დაემატება ჩანართის სახით.

ამ სპეციალურ ჩანართში გაშუქდება სამხედრო მშენებლობის საკითხები, აისახება ჩვენი მოქალაქეების მონაწილეობა თავდაცვის ფონდის შექმნაში, გამოქვეყნდება იმ ოფიცერთა და ჯარისკაცთა გვარები, რომლებიც დაჯილდოვდებიან სახელმწიფო ჯილდოებით და გამოეცხადებათ შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მადლობა.

ფრონტისა და ზურგის ურთიერთობის, კრიმინოგენული ვითარების გაუმჯობესების და ამ საქმეში არმიის მონაწილეობის პრობლემები, უცხოეთის სახელმწიფოთა არმიები, სამხედრო დაზვერვა, თანამედროვე იარაღი, სამხედრო საქმის ისტორია და კიდევ ბევრი სხვა თემა გაშუქდება „აბჯრის" ფურცლებზე.

გაგაცნობთ ქართული არმიის მხედართმთავრებსა და ჯარისკაცებს, მათს მხედრულ მოღვაწეობას, მამულისთვის მათს თავდადებას.

ერთი სიტყვით, „აბჯარი" ფრონტის წინა ხაზზე გადის, რათა თავისი ომის — ინფორმაციული ომის მოგებით ქვეყნის თავისუფლების და ძლიერების დუღაბი განამტკიცოს.

და, როგორც ყოველთვის, თქვენთან ერთად და თქვენთან თანამშრომლობით, ჩვენო მკითხველებო, თქვენი თანადგომით.

დღეს კი „აბჯრის" პირველ ნომერს გთავაზობთ.

ფოთი: აწმყო და მომავალი

ყველაფერი ცვალებადია ამ გაყინული ცის ქვეშ

(დასასრული)

...რეგიონების მართვას ეხება, მაინც უნდა ვთქვა, რომ ფოთში სწორედ ასეთი „ცენტრალური“ მმართველობაა და ქალაქის მერიაა მისი ბირთვი.

ამასთან, ყველა ორგანიზაციას, რომლის მუშაობას ასე თუ ისე გავეცანით, დამოუკიდებლობა სრულად და შეუქცევადად გააჩნია: მოქმედების, ურთიერთობათა დამყარების, ეკონომიკური და სოციალური საქმიანობის თავისუფლება.

ამ ორი საწყისის გონივრულ შეხამებას ემყარება, ვგონებ, ფოთის მერის რომან მელიას მუშაობის მთავარი მეთოდი, თანაც: არა დეკლარაციულად, არა საერთოდ, არამედ კონკრეტული საქმეებით, ყოველდღიური სოციალური საკითხების გადაწყვეტის დროსაც.

გაუგებარი ამბავი ხდებოდა ფოთში: ქალაქი, რომელიც საქართველოს ხორბლით ამარაგებს, რომელშიც ისეთი წისქვილკომბინატია, — ნახევარ საქართველოს ყოფნის, პურკომბინატი, რომლის სიმძლავრე ორ ფოთს გასწვდება, თვითონ რომ პური ჭირდება, იმდენს მტრედები კენკავენ პორტში და იყრება რკინიგზაზე, აი, ასეთი ქალაქის მოსახლეობა უპუროდ იყო დარჩენილი. დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში სულ არ იყოო, — დაახლოებით ასე.

მიზეზი იგივე, რაც, ვთქვათ, თბილისში: არ არის საწვავი და ღამთავრდა ყველაფერი! რამდენადაც მარტივია, იმდენადვე გადაულახავია ეს პრობლემა.

თუმცა, არც ისე.

— პირველ დღესვე, როგორც კი ამისთვის ყურადღების მიქცევის საშუალება მომეცა, შევკრიბე პურკომბინატის, ნავსადგურის, ქალაქის ვაჭრობის, ტრანსპორტის ხელმძღვანელები და, წარმოიდგინეთ, ეს პრობლემა ნახევარ საათში გადავწყვიტეთ. გასამართლებელი საბუთები როგორ არ ჰქონდათ, მაგრამ, თუ სურვილი გაქვს, შესაძლებლობას ყოველთვის გამონახავ.

„გახსნილი კარტებით“ ისაუბრეს მაშინ, მისხალ-მისხალ აწონეს საქმე და მოიხსნა პრობლემა. დაინტერესებულთ შეუძლიათ მერთან გაარკვიონ — როგორ, მე ამის საჯაროდ თქმის უფლება არა მაქვს.

მაგრამ — „არა პურითა ხოლო“.

რომან მელია:

— ბოლო პერიოდში პრესითაც და ტელევიზიითაც ხშირად აღინიშნება, რომ ფოთში სწრაფად გადაწყდა სოციალური საკითხები. დიდი არაფერი მომხდარა. ჩვენ მხოლოდ დავაკონკრეტეთ გასაკეთებელი საქმე. 2-3 თვის განმავლობაში მოვახერხეთ და შევისწავლეთ ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა და ასეთი რეალური სურათი მივიღეთ: 19 ათასი ოჯახიდან 2 ათასი სოციალურად დაუცველია. როცა ფლობ კონკრეტიკას, განსაზღვრაც ადვილია — რა გვჭირდება პრაქტიკული დახმარებისათვის.

ეს 2 ათასი ოჯახი კიდევ ორ ჯგუფად დავყავით: პირველი, მოქალაქეები, რომლებიც მუშაობენ, მაგრამ ხელმოკლენი არიან და დახმარება ჭირდებათ. მათ ნახევარ ფასში ვაწვდით ჩვენი კომერციული გაერთიანებების მიერ შემოტანილ პროდუქციას. მაგალითად, თუ კილოგრამი შაქარი 150-155 მანეთად დავურიგეთ მოსახლეობას, ამ კატეგორიის ოჯახებს — ნახევარ ფასად მივყიდეთ. მეორე ჯგუფში ისეთი ოჯახები არიან, რომლებსაც, თუ ხელი გინდა გაუმართო, უფასოდ უნდა მისცე პროდუქტი. ვაძლევთ კიდეც.

საიდან გაგვიჩნდა ასეთი შესაძლებლობა?

შევქმენით ფონდი, რომელიც შემადგენელი ნაწილია საქართველოს აღორძინებისა და დემოკრატიის დიდი ფონდისა, რომლის პრეზიდენტია ბატონი ედუარდ შევარდნაძე და ვიცე-პრეზიდენტი — სოლიკო ხაბეიშვილი. ამ ფონდში გაერთიანდნენ ჩვენი ბიზნესმენები, კერძო პირები, წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები, შეიქმნა გარკვეული კაპიტალი და გაჩნდა სოციალურად დაუცველი ფენების დასახმარებლად გაწეული ხარჯების დაფარვის საშუალება.

მაგრამ არა მარტო ეს.

გარკვეული რაოდენობით სახსრები ქალაქში მართლწესრიგის აღსადგენად წარვმართეთ: ჩამოვაყალიბეთ ფოთის ასეული, რომლის მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი 15 ათასი მანეთია, თითოეულის კვება 400-დან 500 მანეთამდე გვიჯდება, ხარჯები დიდია, მაგრამ, რა თქმა უნდა, გამართლებული.

მიმაჩნია, რომ ასეთი ფონდები ყველა ქალაქში უნდა ჩამოყალიბდეს. ამას ის მნიშვნელობაც აქვს, რომ ბიზნესის განვითარებას ახალი იმპულსი ეძლევა: ქალაქისათვის ხელის შეწყობა ბიზნესსვე უბრუნდება ხელშეწყობად და დახმარებად.

ადრე როგორ იყო, იცით? ჩვენთან შემოსული პროდუქცია ისე გადიოდა ქალაქიდან, რომ მოსახლეობას არაფერი რჩებოდა. ბიზნესმენი დაინტერესებულია შემოტანის დღესვე გაყიდოს საქონელი. მაგრამ ეს პრინციპი არ უნდა იყოს მთავარი და ერთადერთი. ხომ ხედავ, რომ ქალაქი ცარიელია? მოდი, ერთად მივხედოთ! და — მივხედეთ. ახლა ჩვენი ბიზნესმენი თვითონაა დაინტერესებული, რომ ქალაქს 2-3 თვის მარაგი ჰქონდეს. მშვიდდება სიტუაცია, კატასტროფული უკმარისობის შიშის გრძნობა ქრება და ასეთ გარემოში თვითონაც უფრო დარწმუნებით მისდევს თავის საქმეს, დიდ ბიზნესს.

ერთ ქალაქში ვცხოვრობთ, და ერთი კარგად ჭამდეს, მეორე კი შიმშილობდეს, არ გამოვა! ასეთ შემთხვევაში, სოციალური დაძაბულობა სტაბილურად გვექნება.

აქვს ამას უარყოფითი მხარეც, ვთქვათ ასე, — გადმონაშთის ხასიათის, რომელიც საბაზრო ეკონომიკის კანონებს ვერ ესადაგება და სხვის კმაყოფაზე დარჩენის განწყობილებას აძლიერებს. მაგრამ სხვაგვარად ვერ გამოვალთ ამ გარდამავალი პერიოდიდან. როცა ეკონომიკა ფეხზე დადგება და საქართველოში ყველაფერი გასწორდება, მაშინ გაჭირვებულ ხალხს ოფიციალური დახმარება ექნება და ბიუჯეტი უპატრონებს ისე, როგორც ყველა ნორმალურ ქვეყანაში.

— ეს ფონდი ფოთის გარდა სხვებსაც ეხმარება, ამბობენ.

— ჯერ სულ პატარა ნაბიჯი გადავდგით. ზუგდიდი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, განსაკუთრებით, — ჯვარი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და ჩვენი დახმარება პროდუქტებით უფრო იმედის მომცემი იყო, თანადგომის დადასტურება.

ამ ფონდს, დარწმუნებული ვარ, სულ მალე იმდენი სახსარი გაუჩნდება, რომ ქალაქის განვითარების პროგრამებსაც დააფინანსებს, სხვებსაც მხარში ამოუდგება.

ყველაფერ ამას რომან მელია თავისმოსაწონებლად კი არ ამბობდა, უფრო კრიტიკულად აანალიზებდა: კი არის პური, მაგრამ ქალაქის მომარაგება ყოველთვის არაა რიტმული; მაღაზიების რაოდენობა, სამწუხაროდ, შემცირდა — ადრე თუ 80 იყო, ახლა ათამდეა, თუმცა „საკვანძო უბნებშია“ და პრობლემას არ ქმნის, მაგრამ რაოდენობის გაზრდა აუცილებელი ხდება და დავუმატებთო.

კრიმინოგენული სიტუაციაც ძალიან აწუხებს ქალაქის მერს. ჩვენს იქ ყოფნაში ამ პრობლემის გამო გამართულ დიდ თათბირსაც დავესწარი. მრავალმხრივ საინტერესო საკითხები წარმოჩნდა აქ, რომლებიც ცალკე საუბრის ღირსია. ახლა მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ფოთში დიდი გულისყურით არჩევენ და დიდ პასუხისმგებლობასაც აკისრებენ სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებს. შედეგი, რასაკვირველია, არის და ამის დასტურია ყველაზე მეტად ის, რომ აქ უკვე დამთავრდა ჩირგვში ჯდომის პერიოდი და ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდნენ.

— სტაბილურობის, სიმშვიდის მისაღწევად მეორეხარისხოვანი არ უნდა იყოს პოლიტიკურ პარტიებთან ქალაქის მერის ურთიერთობა. ახერხებთ თანხმობით თანამშრომლობას?

— თავიდან, რწმუნებულად რომ დავინიშნე, გამგებლობაც შევითავსე. ეს ინსტიტუტი ახალი იყო და ბევრი გაუგებრობა ახლდა. პარტიები სწორი იყვნენ, როდესაც დასვეს საკითხი, თუ რამდენად გამართლებული იყო ასეთი შეთავსება. შევხვდით ერთმანეთს, ვისაუბრეთ, გავარკვიეთ და მოკლე პერიოდში გადაწყდა პრობლემა: გამომიყვანეს დეპუტატთა შემადგენლობიდან და დამნიშნეს მერად. ურთიერთობა ყველასთან ნორმალური მაქვს, ყველა გვეთანხმება, რომ, რასაც ვაკეთებთ, სწორია, რომ ხალხი უნდა გამოვიყვანოთ მძიმე მდგომარეობიდან. პარტიების ხელმძღვანელები ჩვენთან პერსპექტიული ახალგაზრდები არიან და დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ხვალ ჩამოყალიბებული პოლიტიკოსები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი იქნებიან. კარგია, რომ ჩვენს ქალაქს ასეთი ახალგაზრდობა ჰყავს.

შარშანდელ იანვარ-მარტში, ისედაც დაძაბულ სიტუაციაში, ადგილობრივმა ტელევიზიამ ხალხი ერთმანეთს გადაკიდა. მე ყოველნაირად ვეწინააღმდეგებოდი ამას და ვეუბნებოდი პრეფექტს ამის თაობაზე. სამხედრო საბჭოს პერიოდში (მაშინ ჩაის კომბინატის დირექტორი ვიყავი) შევისყიდეთ ტელესტუდია. მოვიწვიე პარტიათა წარმომადგენლები, სპონსორობა შევითავსე და მივეცი წინადადება კოლექტიურად წარემართათ ტელევიზიის მუშაობა — ზვიადისტსა თუ ანტიზვიადისტს, ახალი ხელისუფლების მომხრეს თუ ოპოზიციონერს.

შევთანხმდით, რომ ტელეგადაცემებს არცერთი მხარე თავიანთი პარტიული ინტერესებისთვის არ გამოიყენებდა. იმასაც გეტყვით, რომ ტელევიზიის პრეზიდენტი მე ვარ (**იცინის — რა ვუყოთ ამდენ პრეზიდენტსო!**). ჰოდა, როდესაც მოსახლეობამ ნახა — გუშინ ერთმანეთს ავტომატებით დაპირისპირებული ადამიანები ერთად მუშაობენ ამ ტელევიზიაში, ექსპრეზიდენტის მომხრე ამ ხელისუფლების საქმიანობის შესახებ ობიექტურად ლაპარაკობს, არც აგინებს, არც აქებს, ამას, რასაკვირველია, თავისი ეფექტი ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, დღეს ავტომატს აღარავინ იღებს თავისი სიმართლის დასამტკიცებლად. ასე ნელ-ნელა იხსნება დაძაბულობა.

დავუმატოთ, რომ მერი არცერთ პარტიაში არ არის და არ აპირებს შესვლას, ესეც გარკვეულად აბალანსებს ურთიერთობებს.

— თქვენი ეს მოდელი რესპუბლიკისთვისაც გამოდგებოდა.

— რა გითხრათ... მაგრამ არცერთ ჩემ გამოსვლაში არ ვცდილობ წინააღმდეგობის ხაზგასმას ექსპრეზიდენტის მომხრე-მოწინააღმდეგეთა შორის. ხელისუფლების ცვლილების გამო ხალხმა არ უნდა იზარალოს (ერთმანეთში გაარკვიონ). მე კი თუ ჩავერევი, მხოლოდ შესარიგებლად.

შარშან, იანვარ-დეკემბერში ყველა რომ დაიმალა, მე ჩემი პოზიცია არ დამიმალავს. სიგუასტს მეძახდნენ, ფული მისცაო სიგუას იარაღის საყიდლად. გამოვედი მაშინ ხალხის წინაშე და ვუთხარი: ჯერ ერთი, ფული არ მაქვს, მაგრამ რომც მქონდეს, დავწვავ და ერთმანეთს რომ ესროლოთ, იმ იარაღისთვის არ მოგცემთ, რაც მიცხოვრია, სულ ვაშენებ და დანგრევა ჩემი პროფესია არ არის-მეთქი.

ისიც ვთქვათ, რომ თავის ამ კრედოს კონიუნქტურის მიხედვით არა ცვლის რომან მელია და, ალბათ, ესეცაა ნორმალური ურთიერთობის ხელშემწყობი ფაქტორი.

— ღმერთმა არ ქნას, მაგრამ დავუშვათ გამართლდეს ჭორები, ზუგდიდი მოდისო ფოთის ასაღებად. (იმ დღეებში „იფრინდამ“ მართლაც გაავრცელა ასეთი ინფორმაცია — ა. ს.). ჯერ ერთი, ჩვენი ხალხი არ აყვება. გამოჩნდებიან, რა თქმა უნდა, ყოფილი პრეზიდენტის მომხრეები, იარაღსაც აიღებენ (ვიცით, ვისთან ინახება პრეფექტურის მიერ დარიგებული იარაღი. იმასაც ამოვიღებთ), მაგრამ ბევრი მათგანის აქტივიზაცია სათუოა, მხოლოდ კრიმინოგენული პირები გამოჰყოფენ თავს თავიანთივე ბნელი საქმეებისათვის. ასე შეიძლება იყოს, მაგრამ პოლიტიკური ტალღის აგორება გამორიცხულია.

და მაინც თუ მოხდა რაიმე, პირველი მე გამოვალ ტელევიზიით, ფორმას ჩავიცვამ და იარაღს ავისხამ. გამომყვება ხალხი. ჩვენს ქალაქში არავის შემოვუშვებთ, წავიდა ის დრო, რომ სეირნობდნენ აქ! ეგრე არ არის!

ჩვენ გვინდა, რომ ვაშენოთ და გვაქვს ამის უნარი, ნუ შეგვიშლიან ხელს — ნურც იქაურები და ნურც აქაურები!

ძალიან გავდა ამ დროს ხმითაც და იერით ბატონი რომან მელია ოთარ მეღვინეთუხუცესის დათა თუთაშხიას — მაღალი, წარმოსადეგი, მტკიცე...

იღება კარი და ოთარ ფაცაცია, დიახ, — ის, და ოთარ ფაცაცია ქაღალდკომბინატის დირექტორი და ზუგდიდის რაიონის თავკაცი შემოდის ოთახში.

გადაეხვევიან ერთმანეთს.

ზუგდიდს ჭირდება შაქარი და ხორცი. უჭირს საერთოდ ზუგდიდს.

ფოთის ფონდიდან ფოთის მერი 50 ტონა შაქარს და 25 ტონა ხორცს აძლევს ზუგდიდს.

მერე, როდესაც უკვე ვალერი გეგიძესთან ვიქნები, ზუგდიდიდან დარეკავს იქ ლოთი ქობალია, დიახ, — ის, და ოთარ ფაცაციას შეეკითხება, როგორ არისო საქმე...

ყველაფერი ცვალებადია ამ ცის ქვეშ ამ გაყინულ თებერვალში, და პირობითი.

არმაზ სანებლიძე.

აქტუალური ინტერვიუ

რეფორმა მომხმარებლური აზროვნების შეცვლით იწყება

ირაკლი მენაღარიშვილის დაბრუნებას ჯანდაცვის მინისტრის პოსტზე ჩვენი საზოგადოება შინაგანად ელოდა. ამ ერთი წლის მანძილზე მისი მოსალოდნელი დანიშვნის შესახებ ქალაქში დროდადრო ხმებიც დადიოდა. ჩვენს მოლოდინს, ალბათ, მარტო ის არ განაპირობებდა, თავის დროზე იგი ყველაზე პოპულარული მინისტრი რომ იყო. ბატონი ირაკლის აქტივში მაშინ მართლაც ბევრი და თან ჭიუტი ფაქტი გახლდათ. სხვა დანარჩენებთან ერთად, მისი — არ ვაჭარბებ, — ბრწყინვალე გამოსვლა სამი წლის წინანდელ პარლამენტში ყველას კარგად გვახსოვს. იმ გამოსვლაში მინისტრმა ამ პოსტზე არჩეული ნებისმიერი პერსონისადმი „ნდობის ფაქტორის“ აუცილებლობა ახსნა. მისი პიროვნება ამ ნდობას რომ სავსებით იმსახურებს, ამჟამინდელი პარლამენტის კენჭისყრამაც ცხადყო — უარყოფითი ხმების (მხოლოდ ორი) მინიმუმით თავისებური რეკორდი ისე დაამყარა, საპროგრამო თეზისების წარდგენაც არ დასჭირვებია. მოსახლეობის ანკეტური გამოკითხვის შედეგებითაც ჯანდაცვის მინისტრს, ახალი კაბინეტის წევრთაგან, ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს.

და მაინც: სამინისტროში ბატონი ირაკლის „მეორედ მოსვლა“ ჩვენი ჯანდაცვის უმწვავეს კრიზისს ასე ერთბაშად ხსნას რომ ვერ მოუტანს, ეს თავად მინისტრსაც კარგად მოეხსენება.

— არსებულ პირობებში უწყებრივი რეფორმების გატარების მოთხოვნა ზოგიერთს შეიძლება უსაფუძვლო რომანტიზმადაც კი ეჩვენოს. როგორ ფიქრობთ, იმ თქვენი უწინდელი საპროგრამო გამოსვლიდან დღეს რომელი პუნქტები რჩება ძალაში?

— იმ გამოსვლიდან ამჟამად დღის წესრიგში ყველა პუნქტი მთლიანად და უფრო მწვავედაც დგას. ჯანდაცვის ახალი სისტემის შექმნის, არსებულის რეფორმისთვის, ძალისხმევა დღეს, სამწუხაროდ, ბევრად უარეს პირობებში მოგვიხდება, ვიდრე სამი წლის წინ. მაშინ ამგვარი ეკონომიკური კრიზისი ჯერ კიდევ არ იყო, სოციალური სფეროც მხოლოდ იწყებდა დაშლას. ამიტომ ამოცანა იგივე დარჩა, მისი გადაწყვეტის „ფონი“ კი შეუდარებლად უარესია: ამ მძიმე ზამთრისა და საომარი ვითარების პირობებში სამედიცინო დაწესებულებების ფუნქციონირებაში ორიენტაცია ელემენტარული, მინიმალური პირობებით უზრუნველყოფაზე გვაქვს აღებული. ჯერჯერობით ლაპარაკი ზედმეტია დარგის განვითარებისათვის საჭირო სერიოზულ კაპიტალდაბანდებებზე, მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობების დანერგვაზე და სხვა. ღმერთმა დაგვიფაროს და, ჩვენს ეკონომიკურ სისტემაში ოდნავ ექსტრაორდინარული სიტუაციაც რომ შეიქმნას, სამედიცინო სფერო კატასტროფას ვერ ასცდება. ეს კი ნიშნავს, რომ სამედიცინო დაწესებულებების დიდი ნაწილის დახურვის გამო მოიშლება სამკურნალო პროცესი, მედიკოსთა უმრავლესობა უმუშევარი აღმოჩნდება და ა. შ. ის საყოველთაო ქაოსი და უკანონობა, ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში რომ მძლავრობს, ჩვენს დარგსაც დაეტყო. მოიშალა მომარაგების ტრადიციული წყაროები, მათი ახალი ორიენტირებით შეცვლა კი ნელა მიმდინარეობს. გასულ წელს მედიკამენტები პრაქტიკულად არ შეგვიძენია. ჰუმანიტარულმა დახმარებამ, რომ იტყვიან, სულზე მოგვისწრო. ამჟამადაც გასული წლის ნაშთებზე ვარსებობთ და ამ დახმარების ახალი პარტიების მოლოდინში ვართ. ქართველ ექიმს, ტრადიციულად, არასოდეს ჰქონია მისი კვალიფიკაციის შესაბამისი ფინანსური ანაზღაურება, მაგრამ მდგომარეობა ამ მხრივ დღეს კატასტროფულია. ის, რაც კეთდება, ჩვენი ექიმების პროფესიული გმირობის ხარჯზე ხერხდება. უბენზინობის გამო ძლივს მუშაობს სასწრაფო დახმარების სამსახური. სამწუხაროდ, იმდენი პრობლემა დაგროვდა, ყოველ მათგანზე საუბარს ცალკე ინტერვიუ დასჭირდება. მთელი პარადოქსი კი იმაშია, რომ სათანადო სახსრებზე პრეტენზიასაც ვერავის წავუყენებთ — როგორც მინისტრთა კაბინეტის წევრმა, შესანიშნავად ვიცი ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობანი. არადა, თუ გამოსავალი არ მოინახა, არსებული „სტატუს ქვოს“ შენარჩუნებას ორი-სამი თვის შემდეგ ვეღარ შევძლებთ.

რომანტიკოსი კაცი ნამდვილად არ გახლავართ, მაგრამ, არსებული სიტუაციის გათვალისწინებითაც კი, სისტემის რეფორმაზე ფიქრი გადაუდებლად მესახება. ჩვენი უბედურება ის არის, რომ სოციალური და ეკონომიკური კატაკლიზმების ამ პირობებში თითქმის ბრმად ვმოქმედებთ. როცა რეფორმებზე ვსაუბრობთ, ხელმძღვანელ კადრებსაც და საზოგადოებასაც პირველ რიგში აზროვნების სტილის შეცვლა მოეთხოვება. არ შეიძლება მუდმივად მხოლოდ მომხმარებლის ფსიქოლოგიით ვმოქმედებდეთ და ეს ძირითადად გაუცნობიერებელი გვქონდეს. ამ ამოცანის პარალელურად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პროფესიული ჩვევების რეალიზაციის პირობებსა და შესაძლებლობებს. სწორედ ამიტომ პირველ რიგში რეფორმის პროგრამის, პლატფორმის მაქსიმალურად სწრაფად შემუშავება გვმართებს. სხვათა შორის, ამ მხრივ ზოგი რამ უკვე გაკეთებულია, რისი თადარიგიც ჯერ კიდევ სამი წლის წინათ დავიკავეთ. დღეს ბევრად უფრო ნათლად გვაქვს წარმოდგენილი პრობლემა და ვფიქრობ, მისი განხორციელების გზების მოაზრებაშიც ბევრად უფრო რეალისტიკურად გამოვიყურებით.

— საბჭოური სტრუქტურებიდან განთავისუფლების შემდგომ, კერძო ინიციატივების საფუძველზე, ჩვენში სამედიცინო სფეროს გადახალისების პროცესი დაიწყო. თავი იჩინა სადაზღვევო მედიცინისა და კერძო პრაქტიკის ელემენტებმა, გაჩნდა უამრავი ფირმა, ცენტრი, ასოციაცია. ფორსირებულად იზრდება სამედიცინო ინსტიტუტების რიცხვი. ბუნებრივია, ეს პროცესი პროგრესული მოვლენაა, მაგრამ ჯერჯერობით ქაოსურ ხასიათს ატარებს.

— აღნიშნული პროცესები, პრაქტიკულად, ჯანდაცვისა და სამედიცინო დახმარების განვითარების სტრატეგიისაგან სრულიად დამოუკიდებლად მიმდინარეობს. თუმცა, მათ გარკვეული საფუძველი გააჩნიათ და ჯანსაღ ელემენტსაც შეიცავენ. სწორედ ასეთი მიმაჩნია გარკვეული ძვრები სადაზღვევო საქმიანობაში. მიუხედავად ეკონომიკური კონიუნქტურის პირობებისა, ამ საქმის კეთება ჩვენში ენთუზიაზმთან ერთად გარკვეულ გამბედაობასაც მოითხოვს და მოხარული ვარ, რომ პროცესი წინ იძვრის. ეს, იდეის სიცოცხლისუნარიანობის გარდა, იმასაც ცხადყოფს, რომ საკმაოდ ბევრი შემოქმედებითად მოაზროვნე ახალგაზრდა გვყავს, ქართველების ცუდი ბიზნესმენების თაობაზე მოარული აზრის მიუხედავად. სხვა მხრივ, თქვენს მიერ ჩამოთვლილი პროცესები სრულიად უმართავი, საბაზრო სტიქიას აყოლილი და კონიუნქტურაზე დამოკიდებულია. სოციალური და სხვა სახის ორიენტირები, სამწუხაროდ, არავის განუსაზღვრავს და ეს ამოცანა ახლა სამინისტრომ უნდა ითავოს. რაც შეეხება კერძო ინსტიტუტების საკითხს, მე დღეს ნაკლებად ვფიქრობ ხუთი წლის შემდგომ მოსალოდნელი კონტინგენტის შრომითი მოწყობის საკითხზე. თუმცა, როგორც მინისტრს, მესმის პასუხისმგებლობა ასეთი კატეგორიული განცხადებისათვის. ბოლოს და ბოლოს, არავისა აქვს უფლება ვინმეს აუკრძალოს საკუთარი დანაზოგით პროფესიის არჩევა. უფრო ის მაფიქრებს, რა ხარისხის კადრებს მოგვაწვდიან ეს ინსტიტუტები.

—როგორ ფიქრობთ, რა აფერხებს სადაზღვევო მედიცინას ჩვენს პირობებში?

— სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაზღვევის საქმის ორგანიზება იმ კლასიკური სახით, ცივილიზებული ქვეყნების პრაქტიკაში რომ ხდება, ჩვენთან, უბრალოდ, შეუძლებელია. იმ სახითაც კი, რაგვარითაც იგი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოქმედებს, საკმაოდ სარისკოდ გამოიყურება — წმინდა ეკონომიკური ეფექტი ასეთი საქმიანობისაგან ჩვენი სამეურნეო აშლილობის პირობებში მაინც საეჭვოა. მთელ მსოფლიოში სადაზღვევო მედიცინის მაგისტრალურ გზად ფინანსირების სადაზღვევო სისტემა მიაჩნიათ. ის, რასაც ჩვენში პოპულარულ ენაზე სადაზღვევო მედიცინას ეძახიან, არ გულისხმობს რომელიმე ერთ სახეობას. იგი კომპლექსური მოვლენა გახლავთ და სხვადასხვა ფორმით რეალიზდება. მათ შორის: სამედიცინო დაწესებულებების დაფინანსება შესრულებული სამუშაოს მიხედვით (შტატებსა და ნორმატივებზე დამყარებული ჩვენი ცენტრალიზებული სისტემისაგან განსხვავებით); ყოველი მოქალაქის სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა მისი ჯანმრთელობის დაზღვევის გზით, რაც სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული თანხების აკუმულირებასა და მათი მოძრაობის ზუსტ მექანიზმს საჭიროებს და სხვა და სხვა. ასე რომ, სანამ ჩვენი სამეურნეო-ეკონომიკური პროცესები სტაბილურობას არ მიაღწევენ, პრაქტიკულ შედეგებს არ უნდა მოველოდეთ. თუმცა, თადარიგის ამთავითვე დაჭერა დიახაც მართებულია.

— მოსახლეობაში გავრცელდა აზრი, რომ ზოგიერთ სამკურნალო დაწესებულებაში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას მხოლოდ ფასიან ფორმებს სთავაზობენ.

— დღეს არსებული კანონმდებლობის ფარგლებში ყველა სამკურნალო დაწესებულებას ფასიანი სამედიცინო მომსახურების უფლება მხოლოდ და მხოლოდ კოლექტივის შიგნით გამომუშავებული დამატებითი რესურსების ხარჯზე ეძლევა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს თვითნებობაა და უკანონო ქმედებაზე ყველა პასუხს აგებს. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ფარგლებში მომსახურება ჯერჯერობით უფასოა. ჩვენი სისტემის ტრანსფორმირებისას მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ მოსახლეობა წინასწარ იქნება ინფორმირებული.

— ბატონო ირაკლი, სამინისტროდან წამოსვლის შემდეგ თქვენ ერთობ „ჭიუტად სდუმდით“. ამას იმიტომ კი არ აღვნიშნავ, რომ „რევანშისკენ“ გიბიძგოთ. უბრალოდ, მაინტერესებს, რას აკეთებდით მინისტრობიდან მინისტრობამდე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შემდგომ ჰუმანური დახმარების კომისიის კოორდინატორობას?

— ჩემი აკადემიური და პროფესიული ინტერესები სამინისტროდან წამოსვლის შემდეგ პრინციპულად არ შეცვლილა. ვმუშაობდი ინფორმატიკის ინსტიტუტის ბიოსოციალურ სისტემათა კვლევის ლაბორატორიაში. ამავე პერიოდში ჩემს მეგობრებთან და კოლეგებთან ერთად შევქმენით „სტრატეგიულ გამოკვლევათა „ცენტრი“, სადაც ჩვენი ინტერესი საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების სხვადასხვა სფეროს კონცეფციათა შემუშავებისკენ მიემართება.

ესაუბრა

მარინე ბუზუკაშვილი.

წადიიით! წადიიით!..

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა დედებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადამიანისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტმა მოუწოდა დააბრუნონ თავიანთი მეომარი შვილები შინ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც გულმოწყალებისაკენ, გონიერებისაკენ მოუწოდა თითოეულს, ვისაც იარაღი უჭირავს ხელში.

ომი უსასრულო როდია, ნათქვამია დოკუმენტში. მოისრებიან აფხაზი და ქართველი ხალხების მტრები, წავლენ დაქირავებულნი და აფხაზეთში საცხოვრებლად დარჩებიან ისინი, ვისთვისაც იგი პლაცდარმი, პოლიტიკური ვაჭრობის საგანი კი არ არის, არამედ მსოფლიოში ერთადერთი მშობლიური მიწა-წყალი, რომელსაც სათუთად უნდა მოუარონ. ასეთი ადამიანები არიან დაპირისპირების ხაზის ორივე მხარეზე, აღნიშნულია განცხადებაში, და ჩვენ მოვუწოდებთ მათ გამოიჩინონ თავიანთი ჭეშმარიტი პატრიოტიზმი, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათი ბარბაროსობის, ვანდალიზმის ფაქტებთან ბრძოლაში, რომლებიც უდიდეს, ძნელად დასაძლევ ზარალს აყენებენ ქართველთა და აფხაზთა ისტორიულ ურთიერთობას, ავტონომიური რესპუბლიკის დანგრეულ ეკონომიკას. დოკუმენტი შეიცავს მოწოდებას ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა დედებისადმი — დააბრუნონ შინ თავიანთი მეომარი შვილები.

ასლან აბაშიძე კვლავ მოსკოვშია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე კვლავ მოსკოვშია. როგორც უკვე ვიუწყებოდით, რუსეთის დედაქალაქში მოლაპარაკება მან შეწყვიტა აჭარაში რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის პაველ გრაჩოვის ჩამოსვლის გამო. მან აღნიშნა, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ზრუნვის საგანია არა მარტო აჭარა, არამედ დასავლეთ საქართველოს მეზობელი რეგიონებიც. ამ ვიზიტთან მთელი საქართველოსათვის საერთო საქმეა დაკავშირებული.

თამაზ გეწაძე.

იაპონიამ 2 მილიონი დოლარი გამოყო საქართველოს რესპუბლიკის ჰუმანიტარული დახმარებისათვის

ეს გადაწყვეტილება გვაცნობა რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოში გ. ვოლსკისთან შეხვედრაზე იაპონიის საელჩოს ეკონომიკური განყოფილების პირველმა მდივანმა ტოსიკო კაიტანიმ. თანხა მოხმარდება მედიკამენტებსა და საწვავს. შეხვედრის დროს იმსჯელეს ამ დახმარების მიტანის ორგანიზაციის ზოგიერთ საკითხზე.

საქართველოს საელჩოს პრესცენტრი.
1993 წლის 5 მარტი.

ფერმერს ჰაერივით სჭირდება წყალი

საკუთარი მიკროჰიდროელექტროსადგური შეიძინა ფერმერმა სერგო ჩადუნელმა ბორჯომის რაიონის სოფელ ახალდაბაში. ხუთკილოვატიანი სიმძლავრის აგრეგატი მას იჯარით მისცეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცხოველეობის ელექტრომექანიზაციისა და ავტომატიზაციის ლაბორატორიის თანამშრომლებმა.

— ამჟამად, — განმარტავს ცნობას ლაბორატორიის გამგე ვლადიმერ მაკაროვი, — როცა მკვეთრად იგრძნობა საწვავისა და ელექტროენერგიის დეფიციტი, სიძვირე, მიზანშეწონილია, გამოვიყენოთ მზის, ჰაერის, წყლის, ეგრეთ წოდებული განახლებადი წყაროები. ეს მით უფრო არსებითია საქართველოსათვის, სადაც უამრავი პატარა მდინარეა. ჩვენმა ინსტიტუტმა, რომელიც თანამშრომლობს სანქტ-პეტერბურგელ სპეციალისტებთან, დადო ხელშეკრულება, რომლითაც საქართველოს მხარემ იკისრა ყველაფერი, რაც იწყება ჩვენი რესპუბლიკის პირობებში მიკროჰიდროელექტროსადგურების გამოცდასა და დანერგვას, აგრეთვე, 10-15 კილოვატი სიმძლავრის ამ აგრეგატების შემოწმებასა და გასაღებას, ადგილებზე მათი კომპლექსური მომსახურების ორგანიზაციას, ამ ელექტრომანქანების მეპატრონეთა მარაგნაწილებით მომარაგებას.

ავიღოთ თუნდაც სერგო ჩადუნელი. მიკროჰიდროელექტროსადგური მას დაუდგეს საკუთარი სახლიდან სამას მეტრზე, პატარა მდინარის ნაპირას. თუმცა, მისი შესაძლებლობანი სავსებით საკმარისია, რათა ახალდაბელმა ფერმერმა შეძლოს საცხოვრებელი ოთახების განათება, მაცივრით და ტელევიზორით, სხვა საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოებით სარგებლობა, საკვების საგარგულების სარწყავად მისთვის ესოდენ საჭირო ტუმბოს და კომპაქტური საწველი ხელსაწყოს დენით კვება.

ფერმაში, სადაც სერგო ცოლთან და ორ ვაჟთან ერთად მუშაობს, ჰყავთ ათამდე ძროხა, სამი ნეზვი. ჰიდროელექტროსადგურის დადგმამდე ჩადუნელების ოჯახი სამი წლის მანძილზე ხმარობდა ნავთის ლამფას — ფერმა განლაგებულია არა თვით ახალდაბაში, არამედ მნიშვნელოვნად უფრო მაღლა მთებში. უჭირდათ ფერმერებს. სერგომ ყველაფერი საკუთარი ხელით ააშენა — სახლი, ბოსელი, მეღორეობის ფერმა, მეურნეობისაგან იჯარით აღებულ მიწაზე. რძისა და ხორცის ჩაბარების ხელშეკრულების პირობები კარგად შეასრულა. ხოლო, როცა საქმე კარგად წავიდა, მაშინვე გაჩნდნენ უპირველესად, მიწის „მაძიებლები“. მისი ნაწილი მეურნეობამ მაინც წაართვა. მიმართეს რაიონის ხელმძღვანელობას, დაჰპირდნენ, დაგეხმარებითო. მაგრამ, ეტყობა, ვერ მოიცალეს, გლეხის დარდი ვისა აქვს...

ჩვენ კი, აჯამებს ნათქვამს ვ. მაკაროვი, გვინდოდა ამ ფერმის ბაზაზე საჩვენებელი მეურნეობა მოგვეწყო, რათა ყველას შეძლებოდა გამოცდილების შეძენა. გაიხედავ და, დღეს თუ არა ხვალ გაივსება ხეობა აი, ასეთი პატარა კარმიდამოებით. წამოვა პროდუქცია, დაე, ჯერჯერობით მცირე ნაკადებად, ქალაქში. ინსტიტუტიც, რომელიც დადგამდა ჰიდროელექტროსადგურებს იჯარულ საფუძველზე, ანდა, აიღებდა საფასურს მრიცხველის მიხედვით, არ დარჩებოდა ვალში. ეტყობა, უნდა მოვიცადოთ. გვაქვს კი ყველას ცდის დრო?!

გიორგი ქავთარაძე.

პარლამენტი და მიკროფონი —საკუთარი ინტერესებისთვის?!

საქართველოს პარლამენტი ჩვენი ეროვნული სულის სარკე და ქართველი კაცის ინტელექტუალური შესაძლებლობის ეტალონი უნდა იყოს, მისი ძალისხმევა ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს უნდა ხმარდებოდეს. საბედნიეროდ, დეპუტატთა აბსოლუტური უმრავლესობა პარლამენტში სწორედ ამ მიმართებით მოღვაწეობს.

მაგრამ, სამწუხაროდ, არის გამონაკლისიც — დეპუტატთა მცირე ნაწილი აშკარად გაურბის შემოქმედებით საკანონმდებლო საქმიანობას და თითქმის მთელი მათი მოღვაწეობა პარლამენტში წარმოდგენილი კანონპროექტების განქიქებითა და სხვადასხვა პირების აშკარა შეურაცხყოფით მთავრდება, უფრო მეტიც, ხანდახან ზოგიერთი დეპუტატის გამოსვლა ყოველგვარ ეთიკურ ნორმებს სცილდება არა მარტო კონკრეტული პირის, არამედ მთელი კოლექტივის მიმართ.

სხვა რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ თავის დროზე პარლამენტში გენერალური პროკურორის დანიშვნის საკითხის განხილვისას ცალკეულმა დეპუტატებმა ახალ პროკურორს შეუფარავად მიანიშნეს, რომ იგი „სამუშაოდ მიდიოდა დიდკბილებიანი მგლების ხროვაში“. ამ უხამს განცხადებასთან დაკავშირებით პროკურატურის მრავალრიცხოვანი კოლექტივის დუმილმა, როგორც ჩანს, სხვა დეპუტატებიც წაახალისა და ახლა უკვე აშკარად გადავიდნენ პროკურატურის თანამშრომლების პირად შეურაცხყოფაზე.

ამ მიმართებით ყველაზე მეტ აქტიურობას, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი ყოფილი კოლეგა, პროფესიით იურისტი ბატონი ქართლოს ღარიბაშვილი იჩენს. რამ გაანაწყენა ბატონი ქართლოსი, ძნელი სათქმელია.

გულწრფელად გვინდა განვაცხადოთ, რომ ბატონ ქართლოს ღარიბაშვილის არც რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატად წამოყენება და შემდგომში არც მისი პარლამენტში დეპუტატად არჩევა ნამდვილად არ გაგვკვირვებია.

უფრო მეტიც, ვიმედოვნებდით, რომ დეპუტატთა შემადგენლობაში იურისტის არჩევა ქართველ იურისტთა ავტორიტეტს წაადგებოდა, თუ რაიმე საკითხის განხილვისას სიმართლე ჩვენს მხარეს იქნებოდა, მაშინ მაინც ამოიღებდა ხმას ბატონი ქართლოსი ჩვენს დასაცავად.

მაგრამ როგორც დეპუტატმა, ბატონმა ქართლოსმა ჩვენს დასაცავად ნამდვილად ვერ მოიცალა, ხოლო როგორც ადვოკატი, პროკურატურის მთელ კოლექტივს ტალახის გუნდებს უშენს ერთი მკვლელობის საქმის პროცესთან დაკავშირებით, რომელშიც ის მონაწილეობს, როგორც დამცველი.

ამ საქმესთან დაკავშირებით ქალაქის პროკურორმა, ბატონმა მიხეილ ქურდაძემ ღარიბაშვილს უპასუხა და სათანადოდაც დაასაბუთა, რომ დეპუტატის ასეთი საქციელი ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, სადაც მითითებულია, რომ დეპუტატს უფლება არა აქვს „ეწეოდეს სხვა სამსახურს, თუ ეს არ არის სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობა, ანდა არ უკავშირდება მის პარტიულ საქმიანობას“.

პოზიცია

ქალაქის პროკურორის წერილში, რომელიც მიმდინარე წლის 13 იანვარს გაზეთ „თბილისში“ დაიბეჭდა, სამართლიანად იყო მითითებული, რომ — „ადვოკატო მოღვაწეობის შეთავსება დეპუტატობის სტატუსთან დაუშვებელია. კანონის ეს მოთხოვნა ერთნაირად ვრცელდება ყველა დეპუტატზე, მათ შორის იმ პირზეც, ვისაც იურისტისა და პარტიის ლიდერის პრეტენზია გააჩნია“.

პროკურორის ამ საგაზეთო გამოსვლის პასუხად, რომელიც პარლამენტში 1992 წლის 24 და 28 დეკემბერს ღარიბაშვილის გამოსვლებში მისთვის მიყენებული აშკარა შეურაცხყოფის გაბათილებას ისახავდა მიზნად, ღარიბაშვილმა იბერვიზიის სატელევიზიო არხით გამოსვლისას პროკურორის პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა.

მიმდინარე წლის 17 თებერვალს კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა პარლამენტში დეპუტატ-ადვოკატის ამბიციურმა გამოსვლამ, როდესაც ბატონმა ქართლოს ღარიბაშვილმა კოლეგა-დეპუტატებისა და ხუთმილიონიანი ტელემაყურებლების წინაშე საკითხი დააყენა „ქურდაძის თანამდებობიდან გადაყენებისა და საერთოდ, „ქურდაძეების“ პროკურატურის ორგანოებიდან გაძევების შესახებ.

„მიმაჩნია, რომ ბატონი ქართლოს ღარიბაშვილი ბოროტად იყენებს პარლამენტარის სტატუსს და ცდილობს პრესისა და ტელევიზიის საშუალებით ზემოქმედება მოახდინოს მართლმსაჯულების ორგანოებზე.

1992 წლის 8 დეკემბერს გაზეთ „ცხოვრებასა და კანონში“ ბატონმა ქართლოს ღარიბაშვილმა, როგორც განზრახ მკვლელობისათვის ბრალდებულის დამცველმა, როგორც დეპუტატმა იშუამდგომლა ბრალდებულის მიმართ საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა უპრეცედენტოა და ამ უპრეცედენტო შემთხვევის ავტორი სწორედ იურისტი დეპუტატი გახლავთ.

ამავე გაზეთში დაზარალებულის დამცველის საპროტესტო წერილთან დაკავშირებით —(„ცხოვრება და კანონი“, 20 იანვარი) ბატონი დეპუტატი ასეთ განცხადებას აკეთებს: „თუკი მისი (სოხაშვილის) წერილი დაიბეჭდება, ბატონ სოხაშვილს ცილისწამებისათვის პასუხს ვაგებინებ სასამართლო წესით“.

ხოლო როდესაც წინასწარი გამოძიებით ბრალდებულის მიმართ საქმე წარმოებით არ შეწყდა და იგი განსახილველად სასამართლოს გადაეცა, ბატონი დეპუტატი უკვე პარლამენტის ტრიბუნიდან ითხოვს ქალაქის პროკურორის პასუხისგებაში მიცემას?!

17 თებერვალს პარლამენტში ღარიბაშვილის მორიგი უხამსი გამოსვლა ბოლოს და ბოლოს აღიკვეთა. იქვე აღინიშნა მისი საკითხის პარლამენტის ეთიკის კომისიაზე განხილვის აუცილებლობაც. ეთიკის კომისია, ალბათ, სათანადოდ გაარკვევს ყველა ამ საკითხს.

მიუხედავად ამისა, პროკურატურის კოლექტივი სამართლიანად მიიჩნევს, რომ პარლამენტი საკანონმდებლო ორგანოა და მისი ტრიბუნა და მიკროფონი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამოყენებულ იქნას საკუთარი ინტერესებისათვის, კონკრეტული პირებისა თუ მთელი კოლექტივის ლანძღვისა და ანგარიშსწორებისათვის. ამასთან, საკითხი, რომელიც ბატონმა მიხეილ ქურდაძემ დააყენა, მოითხოვს პასუხს: დასაშვებია თუ არა ბატონ ქართლოს ღარიბაშვილის მიერ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, რომელშიც იგი მონაწილეობს როგორც დამცველი, პროკურორის ლანძღვა და, საერთოდ, შეიძლება თუ არა დეპუტატი პარალელურად ეწეოდეს საადვოკატო მოღვაწეობას?! თუ ასეთ უფლებას პარლამენტი ბატონ ღარიბაშვილისათვის, მისი ხასიათის გათვალისწინებით, გამონაკლისის სახით მაინც დაუშვებს, მან თავის საადვოკატო მოღვაწეობაში კონკრეტული დამნაშავის დაცვის მიზნით საპარლამენტო ტრიბუნა და მიკროფონი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიყენოს, მით უფრო პროკურატურის მუშაკების სალანძღავად.

დაბოლოს, ყოველივე ამის და სხვა მსგავსი ფაქტების გათვალისწინებით, ალბათ, დროა ხელი ავიღოთ პარლამენტის მუშაობის პირდაპირ სატელევიზიო გადაცემებზე (ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ჩატარდეს სოციოლოგიური გამოკვლევა). ყველა სხვა შემთხვევაში შეუძლებელია თავიდან ავიცილოთ პოპულისტური გამოსვლების ნაკადი. სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად, დეპუტატი, ან პარლამენტში მოწვეული სხვა პირი, დაინტერესებულია არა ამა თუ იმ პრობლემის მართებულად გადაჭრით, არამედ იმით, თუ როგორ ეფექტს მოახდენს მისი სატელევიზიო გამოსვლა ხუთმილიონიან ტელემაყურებელზე და როგორ წაადგება ეს გამოსვლა მის მომავალ კარიერას.

ხოლო ყველაფერ ამას, გვერწმუნეთ, მუნდირის ღირსების დაცვისთვის კი არა, საერთო საქმის ინტერესების გათვალისწინებით ვამბობთ.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა

ეთხოვოს გაზეთების „საქართველოს რესპუბლიკისა" და „სვობოდნაია გრუზიას" რედაქტორებს შემოიღონ სპეციალური საგაზეთო გვერდი, რომელშიც გაშუქდება სამხედრო მშენებლობის საკითხები, აისახება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა მონაწილეობა თავდაცვის ფონდის შექმნაში, გამოქვეყნდება იმ პირთა გვარები, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს იარაღს, ოფიცერთა და ჯარისკაცთა გვარები, რომლებიც დაჯილდოვდებიან სახელმწიფო ჯილდოებით და გამოეცხადებათ შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მადლობა.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ედუარდ შევარდნაძის ბრძანებიდან.

აბჯარი

საქართველოს რესპუბლიკა

№1

— როგორ ფიქრობენ პარლამენტარები —

ქართული არმია: იქნება თუ არა!?

ერთიანი ქართული არმიის ჩამოყალიბების პროცესისადმი ინტერესი გასაგები მიზეზების გამო, არ ნელდება.

როგორ ხორციელდება დამოუკიდებელ შეიარაღებულ ფორმირებათა ერთიან ჯარში გაერთიანება?

დღეს ამ კითხვებს უპასუხებენ:

ჯაბა იოსელიანი, რესპუბლიკის თავდაცვის და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

— გადაწყვეტილება საქართველოს ერთიანი არმიის შექმნის შესახებ მხოლოდ ნაწილობრივ არის შესრულებული.

„მხედრიონის" ნაწილი არმიის შემადგენლობაში შევიდა. რაც შეეხება „მაშველთა კორპუსს", იგი არ არის არმიაში გაერთიანებული და არც უნდა იყოს, მას სულ სხვა ფუნქციები აქვს ჯერჯერობით.

— რა არის საჭირო იმისათვის, რომ სრულყოფილად დასრულდეს ერთიანი ქართული არმიის ფორმირების პროცესი?

— ამისათვის საჭიროა თვით თავდაცვის სამინისტროში მოგვარდეს საორგანიზაციო საკითხები.

ნოდარ ნათაძე, პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომისიის თავმჯდომარე:

— ეს საკითხი გადაწყვეტილი არის, მაგრამ შესრულებული არ არის. უნდა შესრულდეს კი აუცილებლად.

— მაგრამ როგორ, რა გზით?

— პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებით. ყველა შეიარაღებული ფორმირების ხელმძღვანელმა, პირადმა შემადგენლობამ პირადად, ინდივიდუალურად უნდა ჩააბაროს იარაღი და შევიდეს ერთიანი არმიის რიგებში. სხვაგვარად ყოველგვარი ლაპარაკი ლაპარაკად დარჩება და მას საქმე ვერ მოჰყვება.

ვაჟა ადამია, პარლამენტის მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კომისიის თავმჯდომარე, სრულიად საქართველოს მ. კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარე:

— კოსტავას საზოგადოებას სამხედრო ფორმირება, როგორც ასეთი, არასოდეს ჰყოლია. ის ყოველთვის იყო პოლიტიკური ორგანიზაცია თავისი გერბით, ჰიმნით, დროშით, რომელსაც სხვა პოლიტიკური ორგანიზაციებისაგან განსხვავებით მუდამ თავის მოვალეობად მიაჩნდა საკუთარი მიწის დაცვა. ამიტომ არსებობის პირველი დღიდანვე ვმონაწილეობთ საქართველოში წარმოქმნილი თითქმის ყველა შეიარაღებული კონფლიქტის მოგვარებაში. ეს აუცილებლობა იყო და არა სურვილი.

როდესაც ერთიანი სამხედრო შეიარაღებული ძალების ფორმირება დაიწყო, ჩვენი პარტიის წევრთაგან ყველა, ვისაც ამის სურვილი ჰქონდა, ესე იგი, ისინი, ვინც სამოქალაქოს სამხედრო საქმიანობა ამჯობინა, შევიდნენ შეიარაღებულ ძალებში. ამის შესახებ შარშან არაერთი განცხადება გააკეთა როგორც თავდაცვის სამინისტრომ, ასევე ჩვენ. ამის დასტურია ის, რომ, თუ ადრე კოსტავას საზოგადოება დამოუკიდებლად მოქმედებდა სამაჩაბლოში, ახლა მისი წევრები აფხაზეთში იბრძვიან სწორედ შეიარაღებულ ძალებში. იქ, სამწუხაროდ, ჩვენი ოცზე მეტი კაცი დაიღუპა.

რაც შეეხება ქართულ არმიას, რასაკვირველია, საკითხი გადაწყვეტილი არ არის, რადგან საქართველოს შეიარაღებული ძალები ჯერ ზრდადასრულებული ორგანიზმი არ გახლავთ, მისი მშენებლობა მხოლოდ მიმდინარეობს. ამის გამო მან სრულად ვერ მოიცვა ცალ-ცალკე არსებული შეიარაღებული ფორმირებები.

ქართული არმიის შექმნისათვის ყველაფერი უნდა ვიღონოთ. მაგრამ, აი, სახელმწიფოს მეთაურის ამასწინანდელი განცხადება რაიონებში 50-100 კაციანი ჯგუფების შექმნის შესახებ, პირადად მე თითქოსდა ერთიანი შეიარაღებული ძალების შექმნის იდეის დამამუხრუჭებლად მეჩვენება. არადა, იარაღის დაკანონების წინააღმდეგ თუ გამოვდივართ, იარაღიან ხალხს როგორღა ვუხმობთ დასახმარებლად?! ერთი სიტყვით პრობლემა ბევრია.

ხდება ის, რაც მთელი ისტორიის მანძილზე ხდებოდა

იარაღს ატარებს არა მარტო „დათა თუთაშხია", არამედ მისი ავტორიც; პალტო გაიხადა, პისტოლეტი ჯიბიდან ამოიღო, უჯრაში ჩადო, ნაქსოვი ბერეტი მოიხადა და თუშური ქუდი მოირგო...

დრონი იცვალნენ. შეიარაღებულია საქართველო. (შეიარაღებული, მაგრამ არა აბჯარასხმული!) შეიარაღებულია მწერალიც. არამარტო მწერლის უდიდესი იარაღით, კალმით: უფრო მეტიც; იგი თავად ყიდულობს დიდი რაოდენობით იარაღს მებრძოლებისათვის. ეს არ არის კარგი დროებისა და ცხოვრების შედეგი, სწორედ მძიმე დღევანდელობამ განაპირობა საქართველოს თავდაცვის ფონდის შექმნა, რომლის თავმჯდომარეც გახლავთ ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი; ამჯერად იგი გვესაუბრება:

ზოგადად, დღევანდელობასა და...

თავდაცვის ფონდის შექმნა არ არის დროებითი მოვლენა ან კიდევ რაღაც მომენტში შექმნილი ვითარებით გამოწვეული ღონისძიება. რა მაქვს მხედველობაში. საქართველო შეიძლება ჩაითვალოს განდგომისა და ღალატის კლასიკურ ქვეყნად. მთელი ჩვენი ისტორია, ჩვენი მატიანეების დიდი ნაწილი შედგება განდგომისა და ღალატის კომენტირებისაგან, რასაც რამდენიმე ათასწლეულის მანძილზე ჰქონდა ადგილი და გამომწვევი მიზეზებიც. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის არის, რომ კავკასია, განსაკუთრებით კი ამიერკავკასია, არის საგანგებო პოლიტიკური მნიშვნელობის ტერიტორია. ყველა სახელმწიფო თუ ერი, ვისაც კი რაიმე ძალა და გავლენა ჰქონდა წინა და ახლო აღმოსავლეთში, ყოველთვის ცდილობდა, ცდილობს და მომავალშიც ეცდება ან ფლობდეს ამ ტერიტორიას, ან იყოლიოს ეს ტერიტორია და მასზე მცხოვრები ხალხები თავისი გავლენის ქვეშ. ამას ძალის გამოყენებით ახერხებდნენ კიდეც ზოგიერთი სახელმწიფოები.

ისტორიამ მოიტანა, ეს პრეტენზია განაცხადა რუსეთმა და შეძლო კიდეც ამ ტერიტორიაზე თავისი სამხედრო-პოლიტიკური პლაცდარმის შექმნა. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ვინმემ თავის ოცნებებზე ხელი აიღო. რუსეთის ბატონობა საქართველოში გრძელდებოდა 200 წელი, გრძელდება დღესაც. ამას ვერ ურიგდებიან სხვა ძლიერი სახელმწიფოები. ცნობილია, რომ დესტაბილიზაცია არის დაპყრობისა და ფლობის პირველი საფეხური, დესტაბილიზაცია არის ამა თუ იმ ტერიტორიის შენარჩუნების საშუალებაც. სწორედ ამას აკეთებს დღეს რუსეთი.

საინტერესოა ჩეჩნური ფაქტორიც, ანუ მათ მიერ ჩამოყალიბებული, ასე ვთქვათ, კავკასიური ამბიციების შემდეგი იდეოლოგიური საფუძველი: ისინი ამბობენ, რომ ოდესღაც მებრძოლი ქართველი ერი დღეს აღარ არის კავკასიაში ის ძალა, რომელსაც შეუძლია მთავარი როლის შესრულება იკისროს. ასეთი ძალა დღეს არის საჩეჩნო. ქართველები დალაჩრდნენ, დაჰკარგეს მებრძოლი სული და წინააღმდეგობის უნარი. ერთ-ერთი რეალური ძალა, რომელსაც შეუძლია რუსეთის სამხრეთისაკენ ექსპანსიის შეჩერება, საჩეჩნოა, რადგან ჩეჩენის ხასიათი 70 წლის მანძილზე ბრძოლასა და გაჭირვებაში გამოიწრთო. ამას გარდა, საჩეჩნოს აქვს, ერთი მხრივ, საკუთარი ეკონომიკური შესაძლებლობანი და მეორე მხრივ, ისლამური სამყაროს ყოველმხრივი თანადგომა. ამდენად, კავკასიაში პირველობისა და გავლენის პრეტენზია შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ჩეჩნებსა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ტომებს. ასეთია მათი პრეტენზიების იდეოლოგიური წანამძღვარი. პირადად ჩემი აზრით, ეს არ არის საფუძველს მოკლებული, მე ერთხელ დავწერე და ბოდიშს ვიხდი ჩემი მკითხველის წინაშე, რომ ვიმეორებ: ჩვენ დავემსგავსეთ საძოვარზე მიშვებულ ნახირს, რომელსაც არაფერი ევალება, გარდა საკვების მოპოვებისა და ხანდახან შვილების გაჩენა-აღზრდისა.

ამგვარად, ქართველ ერს მოუწია ისტორიულმა აუცილებლობამ დაუბრუნდეს თავის ძველებურ მდგომარეობას, ანუ დაიცვას თავი როგორც ძლიერთა ამა ქვეყნისათაგან, ისე ჩრდილოეთ კავკასიის ისლამური ტომებისაგან. მართალია, ჩვენ სხვა მსოფლიოს პირობებში ვცხოვრობთ, ბევრი რამ არის დამოკიდებული საერთაშორისო სიტუაციაზე და უცხოეთის დამოკიდებულებაზე ჩვენი სახელმწიფოსადმი, მაგრამ ეს არ არის პანაცეა. მთავარი გასაჭირი ჩვენ წინ გვაქვს. იგულისხმება არა მარტო მტრული ძალების დამოკიდებულება ჩვენდამი, არა მარტო ეკონომიკური გასაჭირი, არამედ მოსალოდნელი შინააშლილობებიც.

რა ხდება დღეს? პრაქტიკულად იგივე, რაც მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე ხდებოდა — აფხაზი და ორი სეპარატისტების მიერ ორგანიზებული განდგომა.

თავდაცვის ფონდი, როგორც უკვე ვთქვით, გააზრებულია როგორც პერსპექტივისათვის, მომავლისათვის საჭირო და აუცილებელი ინსტიტუტი.

თუ ყოველივე ამას დავუმატებთ საქართველოში მოქმედი ზოგიერთი პოლიტიკური მიმართულების მოღვაწეობას, მივიღებთ ტრაგიკულ სურათს, მაგრამ ქართველ ერს ყოველთვის ჰქონდა იმდენი ილაჯი, რომ თავისი მომავალი უზრუნველეყო. თავდაცვის ფონდს სჯერა, რომ თუ ქართველი ერი არსებული ვითარებიდან სწორ დასკვნებს გამოიტანს, მაშინ იგი შეძლებს შეკავშირებას, ერთ მუშტად შეკვრას და საკადრისი პასუხის გაცემას ყველასათვის და ყველგან. საქართველოს თავდაცვის ფონდის ერთ-ერთი ფუნქცია ესეც არის. ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ სიმართლემ გაიმარჯვოს.

პოლიტიკურ პროცესებს აქვს თავისი შინაგანი კანონები და თუ ღრმად ჩავუკვირდებით, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენი დამარცხების შესაძლებლობა არ არსებობს, როგორც უნდა განვითარდეს მოვლენები, დღეის გადასახედიდან ყველაზე უარესი ვარიანტიც რომ წარმოვიდგინოთ — საქართველოს ოკუპაცია რომელიმე თავგასული მოწინააღმდეგის მიერ — საბოლოო ჯამში გამარჯვება მაინც ჩვენ დაგვრჩება.

ანგარიშზეა 500 მილიონი

ფონდი შეიქმნა სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით 1992 წლის 8 დეკემბერს. მაშინვე გამოქვეყნდა ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიმართვა რესპუბლიკის მოსახლეობისადმი, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი, შრომითი კოლექტივებისადმი, კომერციული სტრუქტურებისადმი, შეძლებისდაგვარად შესწეოდნენ ფონდს.

1993 წლის 3 მარტის მონაცემებით, ფონდის ანგარიშზე 500 მილიონზე მეტი მანეთია. მზადდება თავდაცვის ფონდის დამფუძნებელი კონფერენცია, სადაც ჩვენ წარვადგენთ დეტალურ ანგარიშს როგორც ფონდში ჩარიცხული თანხების, ისე მათი ხარჯვის შესახებ. დახარჯული თანხის ძირითადი რაოდენობა მოდის ქართველი მეომრებისათვის საბრძოლო იარაღის შეძენაზე, გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტროს გადავეცით ტანსაცმელი — თბილი ქურთუკები, საცვლები, წინდები და სხვა, ასევე სამ ტონამდე მედიკამენტები და საკონდიტრო ნაწარმი. ფონდი გარკვეულ საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწევა. აფხაზეთსა და შიდა ქართლში დაღუპული მეომრის ყოველ არას-

(მეორე გვერდზე)

ბატალიონი მიდის ომში

ახლა უკვე ყველამ იცის, რა მიზნით შეიქმნა ეს ბატალიონი, ვისით დაკომპლექტდა, მოხალისეთა როგორი ტალღა მიაწყდა მის შტაბს „ივერიის" 901-ე ოთახში: გაგრელები და სოხუმლები, თბილისელები, ქუთათურები, სამტრედიელები; ახალგაზრდები (ასეც უნდა ყოფილიყო) და ჭარმაგი ხალხი (აბა, სხვანაირად როგორ?), 45-ს გადაცილებულები; პროფესიონალები, თადარიგის ოფიცრები, ნაომარნი (სხვა ბატალიონებიდან) და ისეთებიც, ვისაც იარაღი ხელში არც დაუჭერია.

— ბევრს უარი ვუთხარით, ბევრი უკანვე გავაბრუნეთ. უცებ შეატყობ, რისთვის მოვიდა კაცი — საომრად, თუ იარაღის მისაღებად, — ასე დაიწყო მერაბ ლორთქიფანიძემ საუბარი (თქვენ, რა თქმა უნდა, მიხვდით, რომ სწორედ იგია ბატალიონის მეთაური). — ზოგიც სამედიცინო შემოწმებამ გაცხრილა. ახლა ბატალიონში იმდენია, რამდენიც საჭიროა, ყველამ სპეციალური მომზადება გაიარა.

ეროვნულ მოძრაობაში მისი ინიციატივით შეიქმნა ახალგაზრდობის უფლებათა დაცვის კომიტეტი, რომლის ჩამოყალიბებასა და რეგისტრაციაში ნოდარ გიორგაძე, ავღანელთა კავშირის საპატიო თავმჯდომარე დახმარებია დიდად. თანამშრომლობდნენ ინვალიდთა ასოციაციასთან, მონაწილეობდნენ ეროვნული მოძრაობის მიერ იმ პერიოდში ჩატარებულ ყველა აქციაში. იყო ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრი. გვარდიაში შესვლის შემდეგ უპარტიოა. არმია, მოგეხსენებათ, დეპარტიზებულია.

სამხედრო სამსახური 1991 წლიდან დაიწყო ბატალიონ „ავაზას" ასმეთაურად. შარშანდელი 14 აგვისტოდან აფხაზეთშია, იყო გაგრაში, მონაწილეობდა კოლხიდის ალებაში. 9 სექტემბერს დაჭრეს.

„9 სექტემბერს გვიბრძანეს სოფელ კრასნი კრესტთან განლაგებული მტრის პოზიცია დაგვეზვერა, თუმცა მათ შესახებ ისედაც ყველაფერი ვიცოდით. ამას მეორე, უფრო დიდი უაზრობა მოჰყვა. ვითომ უსაფრთხოების მიზნით უკან „ბეემპე" გამოგვაყოლეს. თუმცა ოპერაციის ხელმძღვანელმა გურამ მექვაბიშვილმა უთხრა, რომ მანქანა დაზვერვის დროს, პირიქით, ხელს შეგვიშლიდა.

საზღვრისპირა სახლთან რომ მივედით, მტერმა, ცხადია, ჩვენი საბრძოლო მანქანა უმალ შეამჩნია და ექვსი ჭურვი ესროლა, რომლებიც ჩვენს სიახლოვეს აფეთქდა". (გაზეთი „ჰორიზონტი", 1992 წლის 7 ოქტომბერი).

— პირველსავე გასროლაზე ოთხნი დავიჭერით, მე და გურამი — მძიმედ. მერე გვითხრეს, ექიმებმა — მას ექვსი ჭრილობა ჰქონდა, მე — ხუთი. დაჭრილებმა გამოვიყვანეთ ერთმანეთი. შევძელით, მოვახერხეთ ჩვენდა საბედნიეროდ. ისეც ხდებოდა, სამწუხაროდ, მომშველებელი არავინ იყო. რამდენი დახოცილი დარჩა ქოჩარაში, არავის დაუთვლია. გვარდიის ნაწილები და „თეთრი არწივი" რომ არა, დაჭრილებსაც ვერ გამოვიყვანდით იქიდან. 9 სექტემბრამდე ორი მეომარი დაგვეღუპა „ავაზას" ბატალიონში, დაჭრით კი აბსოლუტურად ყველა დაგვეჭრა. ფეხში და ხელში დაჭრას არაფრად ვთვლიდით, იქვე ვირჩენდით.

მერაბს 12 ჭრილობა აქვს. კოლექცია?

— ჯარში თუ ხარ, უნდა აიტანო... და მკვეთრად ცვლის თემას.

— 28 აგვისტოს კოლხიდაში გენერალმა დავით ხომასურიძემ ბრწყინვალე ოპერაცია ჩაატარა, ახალგაზრდაა, სამხედრო საქმის შესანიშნავი მცოდნე. სადაა ახლა? მას რომ ეხელმძღვანელა, გაგრა არ დაგვეკარგებოდა. ნამდვილი საველე გენერალია, მებრძოლი.

ახლა ხშირად აკრიტიკებენ არმიას, მის მეთაურებს. მე არ შევუდგები ამის გარჩევას — ყველაფერი ხდებოდა, როგორც საერთოდ ცხოვრებაში, ცუდიც და კარგიც. კარგი არ გვახსენდება ხოლმე რატომღაც.

აი, მაგალითად, ძალიან გაძნელებული იყო იარაღით, ტყვია-წამლით მომარაგება. ეს ფაქტია. მაგრამ რატომ არ უნდა ვთქვა, რომ ერთადერთი, ვინც მაშინ სოხუმში მხარში გვედგა ბატონი ზაზა რუსაძე იყო (მაშინ სატანკო ნაწილს ხელმძღვანელობდა)? ჩვენთვის ყველაფერს აკეთებდა ბატონი თამაზ დუმბაძე.

დღეს გვარდია-სწრაფი რეაგირების კორპუსი რომ რეალური ძალაა, რომელიც მთლიანად სამშობლოს დაცვაზეა აწყობილი, არ არის მართალი? რომ ბატონი ჯემალ ჭუმბურიძე ყოველთვის მხარში გვედგას, ტყუილია?

არ უნდა ვთქვათ ამის შესახებ?

მაგრამ დღეს მწარე-მწარეები უფროა მოდაში.

არ დაგიმალავთ, ეს სიტყვიერი ლაშქრობა გვარდიის წინააღმდეგ ძალიან გვაღიზიანებს, იმ პოლიტიკოსს, დღეს ასე რომ აქტიურობს ჩვენს წინააღმდეგ, ნუ დაავიწყდება, რომ ბატონ თენგიზ კიტოვანის წყალობით ზის პარლამენტში; უმადურობაა იმის არდანახვაც, რომ არმიის მშენებლობის მთელი სიმძიმე ძირითადად ორ პიროვნებას აწევს თენგიზ კიტოვანს და ჯემალ ჭუმბურიძეს.

რაღაც ძალებს ხელს არ აძლევთ, რომ ეს ომი დამთავრდეს. უნდათ, რომ სულ იყოს დაძაბულობა აფხაზეთშიც და სხვაგანაც. როგორ დავიჯერო, რომ დღემდე მთავარი ტრასის გაწმენდა ვერ მოვახერხეთ, ორი ბანდა ვერ მოვიცილეთ? ზუგდიდიც ასე არეული რომ არის, ესეც ვიღაცას აძლევს ხელს. ზუგდიდლები დანარჩენ საქართველოს სურთ შეაძულონ. მე გეტყვით, რომ არა ერთი იმ კუთხის შვილი იბრძოდა და იბრძვის ჩვენს გვერდით აფხაზეთში.

კი, არიან სხვაგვარებიც. ამაზეც ვთქვათ.

ჩვენი ერთი ამხანაგი ტყვედ ჩაუვარდათ აფხაზებს. ლოთი ქობალია ჩასულა იქ. უნახულებია ტყვეები. აფხაზების თვალწინ უთხრა — ყველას დაგხოცავთო, რატომ იბრძოდით ამათ წინააღმდეგო. უგინებია, ულანძღია და წამოსულა.

ჩვენ კი დიდი პატივით ეხდებოდით, თეითმფრინავში ჩავაბრძანებდით და გროზნოში ვამგზავრებდით. რომელი ადმირალი ნელსონია?!

პოლკოვნიკ ლორთქიფანიძეს ბევრი სათქმელი დაგროვებია, საკითხი მრავალი, და ყველაფერს ერთი უმთავრესი საზომით უყურებს — მაღალი ზნეობის საზომით. აი, მაგალითად:

— პროფესიონალები უნდა იყვნენ არმიაში, რადგან მეთაურის ავტორიტეტს ომში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენთან კი, რაც „შავი სამყაროს" წარმომადგენლები და ყომარბაზები იყვნენ, წოდებები დაურიგეს.

მე ასეთ გენერლებს ომში არ გავყვები, ჩემს ხალხს არ შევაკლავ უაზრო ოპერაციებს.

— ყველა, ვისაც მეომარი ჰქვია, ფიქრობს, რომ ჩვენ ომს არ შევწყვეტთ, რადგან მკვლელებთან მოლაპარაკება არ შეიძლება, პოლიტიკოსების ზურგს უკან ამოფარებულ მკვლელებთან. მტერს იარაღი უნდა დავაყრევინოთ, ისე ეს ომი არასოდეს დამთავრდება.

— ახლა გვარდიაში თითქმის ყველა მეთაური თანამდებობიდან წავიდა და ადგილი პროფესიონალებს დაუთმო. ეს უკვე ბევრ რამეს ნიშნავს, მაგრამ არა ყველაფერს, რადგან ჯარმა თავი რომ გამოიჩინოს, მოქმედების საშუალება უნდა მისცე. დღეს ესაა მთავარი, რადგან სხვა მეთოდით, ყველა დარწმუნდა, ვერავითარ წარმატებას ვერ მივაღწევთ.

— შეიარაღებულ ძალებს მატერიალური მხარდაჭერა ჭირდება. საქართველოში რამდენი ფირმაა ისეთი, მილიარდებს რომ ატრიალებს, მილიონის გადარიცხვაზე კი თავს იკავებს, ბანკში რომ აქვს შენახული. მოვა მტერი და საერთოდ უკაპიკოდ დატოვებს. ამიტომ მის ინტერესებშია არმიის გაძლიერება.

— აფხაზეთში 23-ე ბრიგადას თავისი გაზეთი აქვს და მადლობა მთავარსარდალს, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში" ჩვენი გვერდი გვექნება.

ასე დამთავრდა ჩვენი შეხვედრა. ბატალიონის მეთაური საწვრთნელ მეცადინეობაზე მიიჩქაროდა. ორი კვირის წინ იყო ეს.

მალე კი ბატალიონი ომში წავა.

ა. ბალთიძე

ჯერ „თბილისი", მერე „დრონი" ამ ახალგაზრდა მაიორზე წერდა: ბოლო რამდენიმე კვირის მანძილზე, ზედიზედ, ტელევიზიაც, ცხადია. ეს ინტერესი გაგრის ბატალიონის მეთაურად მისმა დანიშვნამ გამოიწვია და მისმა პიროვნებამ — პროფესიონალი, ყოფილი პოლიტპატიმარი, აფხაზეთის ომში დღეგამოუსვლელად მყოფი თავიდანვე, სამშობლოზე თავდავიწყებით შეყვარებული ახალგაზრდა, 30 წლის კაცი.

ლორთქიფანიძეები წარმოშობით ვანის რაიონიდან არიან. მერაბი თბილისელია. 1982 წელს სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა ლენინგრადში, 83-ის ექვს იანვარს კი სისხლის სამართლის კოდექსის 206-ე მუხლის მეორე ნაწილით დააპატიმრეს (ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლა), 10 წელი მიუსაჯეს. 4 წელიწადს სასჯელს იხდიდა.



როცა ქედმოხრილი, შავმიწზე გამწყრალი,
მტრის უღელს მიათრევს ვაჟკაცი მკვნესარი,
მაშინღა ამბობენ: მკვდარია საწყალი,
და, ვაი, ნამდვილი სიკვდილი ეს არი.
მაგრამ ჩვენ უქრობი ცეცხლი გვწვავს მამათა,
ბრძოლაში მოგვესმის წინაპართ ძახილი:
დაჭრილმა ქართველმა მკლავი თუ გამართა,
ფოლადსაც გაჰკვეთავს იმისი მახვილი.

ალექსანდრე საჯაია

თავდაცვის ფონდს შეეწივნენ

საქართველოს სატრანსპორტო პოლიციის პირადმა შემადგენლობამ გადაწყვიტა რესპუბლიკის თავდაცვის ფონდში ყოველთვიურად გადარიცხოს თანამშრომელთა ერთი დღის ხელფასი — 206 ათასი მანეთი.

* * *

ცეკავშირის კასპის სასურსათო კომბინატმა მილიონი მანეთი გადარიცხა.

* * *

რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქლითონმა" ფონდში გადარიცხა 5 მილიონი მანეთი, „საქმანქანის" სამმართველომ — 285. 783 მანეთი, რესპუბლიკურმა გაერთიანებებმა „საქმშენელექტრომ" და „საქუნივერსალმა" — 200-200 ათასი მანეთი, „საქქიმპოლიმერის" სამმართველომ — 400 ათასი, სამშენებლო ტექნიკის გაქირავების საწარმომ — 5 ათასი მანეთი, „საქკომპლექტის" სამმართველომ — 10 ათასი, რესპუბლიკურმა გაერთიანებებმა „საქიუველირვაჭრობამ" და „საქსურსათბითუმვაჭრობამ" — 50-50 ათასი, რესპუბლიკურმა გაერთიანება „ციცინათელამ" — 80 ათასი, რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქქსოვილტანსაცმელმა" — 100 ათასი, რესპუბლიკურმა ბაზამ „გალანტერეამ" — 60 ათასი, რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „სპორტკულტსაქონელმა" — 180 ათასი მანეთი, რესპუბლიკურმა გაერთიანება „ხილბოსტანმა" — 6 ათასი, ბაზრების რესპუბლიკურმა სამმართველომ — 3. 600 მანეთი, რესპუბლიკურმა გაერთიანებებმა „ავეჯმა" და „საქფეხსაცმელვაჭრობამ" — 100-100 ათასი, ვაჭრობის სამინისტროს ცენტრალურმა აპარატმა — 49 ათასი, რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქსამშენმასალებმა" — 100 ათასი მანეთი.

* * *

ქედის რაიონის შრომითმა კოლექტივებმა გადაწყვიტეს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და აფხაზეთიდან ლტოლვილთა დახმარების ფონდებში გადარიცხონ თვიური ხელფასის ხუთი პროცენტი. ხელფასის ერთი პროცენტი გადარიცხეს საქართველოს თავდაცვის ფონდში აჭარის სისხლის გადასხმის რესპუბლიკური სადგურის მუშაკებმაც.

* * *

ინსტიტუტ „ენერგოქსელპროექტის" შრომითმა კოლექტივმა თავდაცვის ფონდში საკუთარი ხელფასიდან გადარიცხა 33. 424, ხოლო ინსტიტუტის საერთო ფონდიდან 50. 000 მანეთი.

წლეულს ფონდში თითოეული თანამშრომელი გადარიცხავს თავისი ხელფასის ერთ პროცენტს.

* * *

ახალქალაქის პურის მიმღები საწარმოს მცირერიცხოვანმა კოლექტივმა ფონდში გადარიცხა 50 ათასი მანეთი.

* * *

აგარის საკონსერვო ქარხანამ (დირექტორი გიორგი ცინცაძე) თავდაცვის ფონდში 30. 000 მანეთი გადარიცხა. მეკონსერვეებმა პირადი დანაზოგიდან ფონდისათვის 16. 000 მანეთი გაიღეს.

* * *

ორი მილიონი მანეთი, — ასეთია აგარის შაქრის კომბინატის (დირექტორი თამაზ თხელიძე) მიერ თავდაცვის ფონდში გადარიცხული თანხის ოდენობა, 673. 000 მანეთი კი მუშა-მოსამსახურეთა პირადი დანაზოგიდან შეგროვილი თანხაა, რომელიც ასევე თავდაცვის ფონდში შეიტანეს.

* * *

ამ დღეებში კომბინატმა აფხაზეთში ჩვენს მებრძოლებს გაუგზავნა ნახევარი ტონა შაქარი, ამდენივე ვაშლი და ხახვი.

* * *

გორის სამუსიკო სასწავლებლის (დირექტორი ალექსანდრე კაჭარავა) პედაგოგებმა და სტუდენტებმა თავდაცვის ფონდში 43. 850 მანეთი შეიტანეს.

* * *

მურთაზ ლიპარტელიანმა — ხაშურის რკინიგზის საკვანძო საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილემ — საშუალო სკოლის დამთავრების ოქროს მედალი გადასცა თავდაცვის ფონდს.

* * *

მრავალდარგოვანმა ფირმა „ხარუშმა" (დირექტორი ჯიმი ტაბატაძე) თავდაცვის ფონდში შეიტანა 4. 000 მანეთი.

* * *

ხაშურელმა პენსიონერმა, პედაგოგმა ლიდა სურმავა-დანელიამ ერთი თვის პენსია — 900 მანეთი თავდაცვის ფონდში შეიტანა.

* * *

ვილნიუსის (ლიტვის რესპუბლიკა) ფირმა „ვეგას" პრეზიდენტმა ვალერი გელაშვილმა თავის თანამოქალაქეებს — ხაშურის მაშველთა კორპუსს (მეთაური მურმან ხონელიძე) 600. 000 მანეთი გადმოურიცხა.

* * *

ხაშურის პურკომბინატის (დირექტორი ალექსანდრე მჭედლიძე) მუშა-მოსამსახურეებმა პირადი დანაზოგიდან თავდაცვის ფონდს 19. 000 მანეთი შემატეს, კომბინატმა კი ფონდში 100. 000 მანეთი გადარიცხა.

ავტომატი ნებაყოფლობით ჩააბარეს

იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკის დედაქალაქში ხორციელდება მოსახლეობაში უკანონოდ შენახული საბრძოლო იარაღის ჩამორთმევის ღონისძიებანი, ქალაქ თბილისის მცხოვრებმა გივი ნიკოლოზის ძე გელაშვილმა მთაწმინდის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებას ნებაყოფლობით ჩააბარა ავტომატი.

ეს ავტომატი მან ნადავლის სახით წამოიღო სამაჩაბლოში გამართული ერთ-ერთი ბრძოლიდან, სადაც მოხალისედ იბრძოდა შარშან. დღეს გ. ნ. გელაშვილს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ გადაუხადა კომპენსაცია ორმოცდაათი ათასი მანეთის ოდენობით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

არმიას სჭირდება

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს სამხედრო კონსულტანტებისა და ინსპექტორების ჯგუფი გაცნობებთ, რომ იქმნება საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის იარაღის რეზერვი საომარი მოქმედების ზონაში გასაგზავნად და მოუწოდებს ყველა მოქალაქეს, ვინც ფლობს ცეცხლსასროლ იარაღს, ჩააბაროს იგი, მიუხედავად იმისა, რეგისტრირებულია თუ არა ეს იარაღი.

მოქალაქენი, რომლებიც ნებაყოფლობით ჩააბარებენ იარაღს, წახალისებული იქნებიან მთავარსარდლის მიერ და მათი ვინაობა სურვილის მიხედვით ცნობილი გახდება მოსახლეობისათვის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით.

იარაღის ჩაბარებასთან დაკავშირებით მოგვმართეთ სამხედრო კონსულტანტებისა და ინსპექტორების ჯგუფს (ტელეფონი: 99-87-91, 99-74-05, 99-81-23).

იარაღის მიღებასა და აღრიცხვას აწარმოებს პოდპოლკოვნიკი ანზორ მამუჭაძე საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის თანდასწრებით სასაზღვრო ჯარების სასწავლო ცენტრში. (სოფელი დიდი ლილო, ყოფილი სამოქალაქო თავდაცვის პოლკის ტერიტორია, ტელეფონი: 41-41-91, 41-44-47).

სამხედრო კონსულტანტებისა და
ინსპექტორების ჯგუფი

ხდება ის, რაც მთელი ისტორიის მანძილზე ხდებოდა

(პირველ გვერდიდან)

რულწლოვან შვილზე გაიცემა ერთდროული დახმარება, 1700 მანეთის ოდენობით, ასევე პროდუქტების გარკვეული რაოდენობა (3 კილო შაქარი სულზე(!) კადეტთა კორპუსისათვის დაწესდა 5 სახელობითი სტიპენდია: ქაქუცა ჩოლოყაშვილის, გენერალ მაზნიაშვილის, გენერალ კვინიკაძის, ვალიკო ჯუღელისა და ჯიმშერ მაისურაძისა. სასწავლო წლის ბოლოს მოხდება წარჩინებულთა შერჩევა, რომლებსაც დაენიშნებათ ეს სტიპენდიები — 1700 მანეთი.

სახელმწიფოს მეთაურს განზრახული ჰქონდა მადლობის ბარათით მიემართა თითოეული მოქალაქისა თუ წარმოება-დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, კომერსანტებისათვის, რომლებმაც ჩარიცხეს თავდაცვის ფონდში რაიმე თანხა. მაგრამ, სამწუხაროდ, თანხის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც ყოველდღიურად ვიღებთ საქართველოს ეროვნული ბანკიდან, არასრულადაა შევსებული. ხშირად მოქალაქეები არ აღნიშნავენ სრულად გვარს, სახელსა და მამის სახელს, როგორც წესი, არ არის მითითებული მისამართი. ხშირად ძნელი გასარკვევი ხდება, თუ ვის მიერ არის ჩარიცხული თანხა — პიროვნებისა თუ ორგანიზაციისაგან. მესამეც, არასრულადაა ნაჩვენები ორგანიზაციების დასახელებაც. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ „აბჯრის“ მომდევნო ნომრიდან გამოვაქვეყნოთ ფონდის შემქმნელთა როგორც პიროვნული, ისევე ორგანიზაციების მთელი სია (რეგიონების მიხედვით), ჩვენი თხოვნაა ყველანი დაგვეხმარონ ამ სიების დაზუსტების საქმეში.

ვცდილობთ, მჭიდრო ურთიერთობა დავამყაროთ საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებთან, შევხვდით მოსკოვში მცხოვრებ თანამოძმეებს, მათ 15 მილიონამდე მანეთი გადმოგვირიცხეს (თუმცა ჯერ არ მიგვიღია), ნორილსკელმა ქართველებმა შეაგროვეს და ჩამოგვიტანეს ერთი მილიონი მანეთი.

შემოწირულები გრძელდება.

ყოველი ადამიანი, ვინც ფონდს რაიმეთი შეეწევა, უპირველესად ყოვლისა, საქართველოს მთლიანობას, დამოუკიდებლობასა და მომავალს შეეწევა.

დაგვიჭირეთ მხარი!

ვიცესარდალი ასე ფიქრობს

ეს მოხდა ასე: გვინდოდა არმიის მშენებლობის საკითხზე გენერალ გია ყარყარაშვილისთვის გვეთხოვა ინტერვიუ. დავუკავშირდით მის სამსახურს, ვთხოვეთ შეხვედრის ორგანიზება, იყო დაპირებაც, დათქმულ დროს კი გვითხრეს, რომ ახლა სარდალს ამისი დრო არა აქვსო და იგი მოადგილემ შეცვალა. იმაზე, რაზეც ბატონ გია ყარყარაშვილისთვის უნდა გვეკითხა, გვიპასუხებს სარდლის მოადგილე ალექსი ბარბაქაძე, ანუ როგორც მას სამხედროები ეძახიან, აკია, ანუ ჩვენი „დაუპატიჟებელი სტუმარი“ (იმედი მაქვს, სარდლის მოადგილეს იუმორის გრძნობა აქვს).

— ახლა ხშირად გაიგონებთ, მათ შორის, პარლამენტშიც: ჩვენ არა გვყავს არმია, რომელიც ორ-სამი წლის შემდეგ გვეყოლება...

— პროფესიული არმიის ჩამოყალიბებას, სულ მცირე, წელიწადნახევარი-ორი წელიწადი მაინც სჭირდება, ისიც, თუ ქვეყანაში სტაბილური სიტუაცია და ეკონომიკური აღმავლობაა. ვინაიდან ჩვენთან საპირისპირო სურათია, რასაც კიდევ უფრო ამძიმებს სხვა ფაქტორები — სამოქალაქო თუ სამამულო ომები, არმიის მშენებლობის პროცესი თითქმის შეჩერებულია. ამას, ცხადია, კონკრეტული მიზეზებიც აქვს:

პირველი: ჯარის მშენებლობა არ არის მარტო სამხედრო პირების საქმე. ამით უნდა იყოს დაკავებული მთავრობაც და საზოგადოებაც, ასეთ დახმარებას კი ვერ ვგრძნობთ. რაზე შეიძლება იყოს საუბარი, როცა არ არსებობს დეზერტირობის კანონი, როცა ვერ იქნა და ვერ ამოქმედდა ისედაც დაგვიანებით მიღებული კანონი გაწვევის შესახებ?

მეორეც: გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქვეშეცნეულად თუ მიზნობრივად მიმდინარეობდა მუშაობა, რათა შექმნილიყო ყაჩაღი გვარდიელის ცნება: ფორმიანი ძარცვავს, ფორმიანი კლავს...

— ამით იმის თქმა გინდათ, რომ ხალხის სიმპათია გვარდიას არ ეკუთვნის?

— რა თქმა უნდა, თუ ჩააგონებენ, რომ ეს ყაჩაღების გვარდიაა...

ხელშემშლელი მიზეზები ბევრია, ექსპრეზიდენტის დროიდან მოყოლებული... რკონში გასვლისას გვარდიაში 12.000 კაცი ვიყავით, თბილისის ზღვაზე დავბრუნდით — ორასნი.

სერიოზული მიზეზი გახლავთ კადრების არარსებობა. ჩვენ არ ვიყავით, რომ შვილებს ჯარში არ ვუშვებდით? რამდენიმე წელია გაწვევა არ ჩაგვიტარებია. კომისარიატის თანამშრომლებს კი ჩვენ კადრებად არ ვთვლით. რა სამხედრო პირია კაცი, რომელიც 30 წელია კომისარიატში ზის, პოზიციაზე ერთხელაც კი ფეხი არ დაუდგამს? მე კი შევუნახავდი ნამუსს, მაგრამ მაინც ყველამ იცის, რომ ფულის შოვნის მეტი, არაფერი უკეთებია...

კიდევ: — არარსებობა საჭირო დროის... მივყვეთ ქრონოლოგიურად: 6 იანვარს მორჩა თბილისის ომი, გვარდიელების ნაწილი შეიარაღებულ ფორმირებებთან ერთად სამეგრელოში გაემგზავრნენ ომის კერების ჩასაქრობად, იქედან სამაჩაბლოში წავედით, ვიყავით 14 მაისიდან 14 ივლისამდე, 14 აგვისტოდან კი — აფხაზეთში. ერთი მშვიდობიანი თვე იყო მხოლოდ, რომელიც ჯარის ფორმირებისთვის, მოგეხსენებათ, წამია.

კიტოვანს ჰქონდა ასეთი გეგმა: გვარდიას უნდა ეომა, თავდაცვის სამინისტრო ჩამოყალიბებულიყო, მაგრამ ვერ მოასწრო... შედეგები კი მძიმეა: ჩვენ შევედით აფხაზეთში, მაგრამ, გამაგრებისათვის საჭირო იყო გამოცხადებულიყო მობილიზაცია, რომელიც არ გამოცხადდა; საერთოდ, არ არსებობდა აფხაზეთის ამბების „ერთიანი სცენარი“. შევედით გაგრაში, გაგვაჩერეს. რა უნდა გვექნა? წავსულიყავით გუდაუთისაკენ, პოზიციებზე გაგვეთხარა სანგრები და გავმაგრებულიყავით, თუ უკან დავბრუნებულიყავით? რატომ არავინ გაითვალისწინა, რომ იქნებოდა პარტიზანული ომი? დღეს აყვირდა ხალხი, როცა დაიწყო ომი, სიმძიმე, მსხვერპლი, სიდუხჭირე, მაგრამ რით გამოხატავს უკმაყოფილებას? — უმოქმედობით. არ შემიძლია ვთქვა, რომ დღეს მთელი საქართველო ჩაბმულია სამამულო ომში. ომობს გარკვეული, მცირე ჯგუფი ადამიანებისა...

და ბოლოს, არ არსებობს ჯარისკაცის სოციალური გარანტიები. ერთი ამბავი იყო ატეხილი, რატომ ყიდის შეიარაღებული ხალხი ბენზინსო (სხვათა შორის, მე ამის წინააღმდეგი გამოვედი), ის კი არავის უთქვამს, რატომ არ არსებობს სოციალური გარანტიები დაღუპული მეომრებისათვისო (ეს ორივე სიბრტყე შესაძლოა, მართალია, მაგრამ არ ვიცი, რამდენად აქვთ ერთმანეთთან კავშირი. თუ ის ჰქონდა ბატონ სარდლის მოადგილეს მხედველობაში, რომ მაშინაც კი, როცა არ არსებობს სოციალური გარანტიები, შეიძლება მოიპოვო. აკი ძალა აღმართსა ხნავსო...).

რომელი ერთი ჩამოვთვალო, ქართველი კაცის ხასიათიც გაითვალისწინეთ. მთელი ინსტიტუტები მუშაობს იმის თაობაზე, თუ როგორ ომობს ერი... მაგალითად, ამბობენ, რომ რუსი კარგი მეომარია, გერმანელი — არა უშავს-რა მეომარი, ფრანგს — მეომარსაც კომფორტი უყვარს... ქართველი? საქართველოში არიან მებრძოლები, მაგრამ არასოდეს გვყოლია ჯარი, აქ ყოველთვის ლაშქრის პრინციპი იყო. ამიტომაც ჩვენთან ჯარს ჩამოყალიბებისათვის უფრო მეტი დრო დასჭირდება.

— ვიღებ თქვენს წინადადებას, აუცილებლად გავითვალისწინებ ქართველი კაცის ხასიათს და ორ ფაქტს შეგახსენებთ: — ერთს დღევანდელობიდან, მეორეს ისტორიიდან. დღეს ჩვენში ხუმრობენ: ჯარში ასე ითვლიანო: — პირველი, პირველი, პირველი... ეს ერთი.

მეორე: რუსეთის მეფის კარის თათბირზე კავკასიის პრობლემებს რომ შეეხებოდა, ასეთი აზრი წამოჭრილა, საქართველოში არმია შეიქმნასო. ამის თაობაზე ვორონცოვს უბრძანებია: არა, ბატონებო, საქართველოში არმიას ვერ შევქმნით. თუ ყველას გენერლის ჩინს ჩამოვურიგებთ, სხვა ამბავია, ისე რიგითების არმია არ გამოგვივათო. ეთანხმებით ჩვენებურ იუმორს ან კავკასიის მაშინდელ მთავარმართებელს?

— ასე არ არის. ჩვენი ჩინები ჩინები არც არის. დღეს ჩინების ასეთი ზრდა თანამდებობრივი სტატუსიდან გამომდინარე ხდება. წესია ასეთი: ამ თანამდებობაზე რომ დაინიშნო, ეს წოდება უნდა გქონდეს... სხვათა შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს დროებითი წოდებები, ამაზე ჩვენთანაც იყო საუბარი. მეორე მხრივ, ჯარისკაცისთვის არ არსებობს არავითარი პრემია, ჯილდო (სტალინი სიკვდილის მერე მაინც აჯილდოებდა ხალხს!), სოციალური გარანტიები, ყველაფერი ამის საკომპენსაციოც არის ჩინი. არის მესამეც: უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენო (იცინის).

— ბატონო ალექსი, რა უნდა იყოს არმიის ფუნქცია?

— არმიის ფუნქცია ქვეყნის დაცვაა.

— ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა, თავდაცვისათვის რაიმე სხვა გარანტიებიც ხომ არ სჭირდება?

— გარანტიებს არმია მისცემს ქვეყანას, მან კი ჯარს უნდა მისცეს ყველაფერი, რაც ამ უკანასკნელს საარსებოდ სჭირდება. ჯერჯერობით კი მე არ მახსოვს, რომელიმე დეპუტატი მოსულიყო ჩვენთან და ჩვენი პრობლემებით დაინტერესებულიყო. ეს არც საპარლამენტო სამხედრო კომისიას გაუკეთებია (ესეც გვარდიის პრეტენზია პარლამენტარებს).

— ამას წინათ „მოსკოვსკიე ნოვოსტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ედუარდ შევარდნაძემ თქვა: თუნდაც რომ შევქმნათ საკუთარი არმია, სად ვიშოვოთ იარაღი, ტექნიკის მარაგნაწილები და ასე შემდეგ...

იქნებ თქვენ იცით, სად ვიშოვოთ?

— მართალია, ჩვენ არა გვაქვს ჩვენი იარაღის წარმოება, მაგრამ ეს ბევრ ქვეყანას არა აქვს (თუმცა აქვთ მარაგი!). მაგრამ დარწმუნებული ვარ, გამოსავალი მოიძებნება.

პრობლემა სხვა არის: პრობლემა ჩვენა ვართ. ვინ მეტყვის, რომ დღეს მთელი საქართველო ომობს (ცხადია, ყველა თავისებურად, როგორც შეუძლია)? ვინ მეტყვის, რომ ის ორმეტრიანი კაცები კევს და სიგარეტს რომ ყიდიან, ომობენ, ან ისინი, ყოველ საღამოს ცისფერი ეკრანიდან ინდოეთში და ჩინეთში რომ გვეპატიჟებიან. საქართველოს კი ყოფნა-არყოფნის ჟამი უდგას. იმასაც გაიგონებთ, ჩვენი მისამართით თქმულს: თქვენ ისეთი მომზადებულები არა ხართ, როგორც ამერიკის ჯარიაო; არც საზოგადოებაა ისეთი მომზადებული, როგორც ამერიკის საზოგადოება (ეს ისე, მაგალითისთვის, თორემ იქნებ მე ევროპის სხვა ქვეყანა უფრო მომწონდეს). ერი სთხოვს ჯარს, მაგრამ აძლევს ამავე ჯარს მინიმუმს? მოწყალების დები არსებობდნენ ადრე, ახლა მისულა ვინმე დაჭრილთან? რომანოვების მეუღლეები იყვნენ მოწყალების დები პირველი მსოფლიო ომის დროს, იქნებ იყო ამაში რაღაც თეატრალური, მაგრამ სიმბოლურიც იყო, ეს მოძრაობა იყო...

ფილმი მაინც აღარ უნახავთ („ომი და მშვიდობაზე“ საუბრობდა). რა უჭირდათ იმ დიდგვაროვან ქალბატონებს, ჯარისკაცებს რომ პატრონობდნენ... (ერთადერთია სამედიცინო სამსახური, ვისთანაც ჩვენ პრეტენზიები არა გვაქვს), რა უჭირს იმ კაცს, კაზინოში რომ 15 ათას, 20 ათას დოლარს აგებს? (ესეც გვარდიის პრეტენზიები ხალხს).

ბავშვობაში მახსოვს, მამები ყვებოდნენ — ომი იყო, შიმშილობა (იმ ომში მათი მამები იბრძოდნენ), ახლაც ვხვდები იმ თაობის ხალხს, ისევ წუწუნებენ — ომია, შიმშილობა, ოღონდ თავად ისევ შინ არიან — ახლა ამ ომში მათი შვილები იბრძვიან (ესეც გვარდიის პრეტენზია მამებს).

წარმოიდგინეთ იმ 19-20 წლის ბიჭის მდგომარეობა, ომიდან რომ ცალ ხელ-ფეხმოჭრილი ჩამოვა თბილისში და დაინახავს, რომ თბილისში არაფერი ხდება, არაფერი იგრძნობა.

— ბატონო ალექსი, დავასრულოთ იმით, რითაც დავიწყეთ. როგორ გესახებათ არმიის მომავალი?

— ჯარი უნდა იყოს ცენტრალიზებული, უნდა ჰყავდეს ერთი პატრონი, მთავარსარდალი — სახელმწიფოს მეთაური, სარდალი და ასე შემდეგ სამხედრო იერარქია, რომელ მოდელს აირჩევს — რუსულს, ამერიკულს, ისრაელისას — ეს სახელმწიფოს საქმეა, ჯარში უნდა იყოს დისციპლინა, ჯარისკაცი არის ის, ვინც ატარებს ფორმას, იცავს წესდებას. ასეთი ბატალიონები დღეს არსებობს.

— მაგალითად?

— გვარდია.

— კიდევ?

— თავდაცვის სამინისტროს რამდენიმე ბატალიონი.

— „რამდენიმე“ ზოგადია.

— ზოგადად ვამბობ.

მინაწერი: მართალია, ჩვენი საუბარი რესპონდენტის „მოედანზე“, გვარდიის მთავარ სამმართველოში შედგა, მაგრამ, მოგეხსენებათ, ინტერვიუ მაინც ჟურნალისტს მიჰყავს და ზოგჯერ, რომელიმე „უტაქტო“ კითხვის გამო, შესაძლოა, რესპონდენტს თავის დაცვაც დასჭირდეს (ეს ზოგადად), მაგრამ, ისიც მოგეხსენებათ, რომ ჩემი რესპონდენტი მებრძოლი გახლავთ და, ბუნებრივია, თავდაცვას იერიშზე გადასვლა ურჩევნია (ასეც იქცეოდა). ხშირად თავად მისვამდა ისეთ კითხვებს, რომელთა ადრესატიც მე არ გახლდით. მაგალითად:

გამაგებინეთ, აფხაზებზე რიცხობრივად ამდენად მეტნი ვართ, რატომ იბრძვის თითქმის ყველა აფხაზი და ქართველებიდან მხოლოდ გარკვეული ჯგუფი?

— რატომ არ არსებობს ზურგის სამსახური?

— ვინ დათვალა პროცენტულად, რამდენი გვარდიელი ყაჩაღობს?

— როგორ ხდებოდა, რომ ყოველწლიურად რუსის ჯარში 40 000 ახალწვეულს ვგზავნიდით, ახლა 20 000 ვერ შეგვიგროვებია?

— ნუთუ არ მოიძებნება 20 ქართველი, რომელსაც უცხოეთში სამხედრო სასწავლებელში გავაგზავნიდით? თუნდაც რუსეთში?

— რატომ არ შეიქმნა რაიმე სამხედრო სასწავლებელი?

— ბოლოსდაბოლოს, გამაგებინეთ, რატომ არ იწყება მობილიზაცია?

— ერთხელ კითხვაზე მეც კითხვით მივუგე:

— გამაგებინეთ, ბოლოსდაბოლოს, რა გაქვთ მხედველობაში - მეთქი?

— ეჰ, არ ვიცით.

— არ იცით-მეთქი?

— მე კი ვიცი, მაგრამ...

ზოგჯერ იმასაც მეუბნებოდა: ასე არ შეიძლებაო.

ზაირა ჩომახაშვილი

ესკიზები პორტრეტებისთვის

ჩვენი საქართველო

ავლაბარში ეკლესიის წინ ცხოვრობდა, 5 წლამდე ვერ ლაპარაკობდა, მერე იმ ეკლესიას სამჯერ შემოატარეს თურმე და ქართულად ალაპარაკდა.

ედუარდ ხუდოიანი სომეხია, აფხაზეთში მსახურობდა რეაქტიულ საარტილერიო დივიზიაში.

18 ნოემბერს სოხუმში, ბალმარანის რაიონში რუსული ავიაციის შეტევის დროს თანამებრძოლთაგან პირველი დაიჭრა.

უჭირს ედუარდს მოურჩენელი ფეხით სიარული, ჯერ კიდევ ტყვიის ნამსხვრევი აქვს ჩარჩენილი, მაგრამ როგორც თავად თქვა, იმის ძალა კი შესწევს, რომ ხელში იარაღი აიღოს და ბიჭებს მხარში ამოუდგეს. დაჭრილ მეომარს კვლავ ომში მიუწევს გული: — ღვიძლი ძმებივით ვიყავით, — ამბობს ედუარდი და მადლიერების გრძნობით იხსენებს ომში დარჩენილ თანამებრძოლებს, მეთაურებს, ექიმებს.

ედუარდ ხუდოიანი წარდგენილია სახელმწიფო ჯილდოზე.

გენადი მარლიშვილი ეროვნებით ოსია, ისიც რეაქტიულ საარტილერიო დივიზიაში იბრძოდა, სამჯერ დაიჭრა, განკურნებულია და ისევ აფხაზეთში აპირებს წასვლას. ძალიან მთხოვა, — არაფერი დაწეროთ ჩემზე, ისეთი არაფერი გამიკეთებიაო. ჩვენ ქართულ მიწაზე ვცხოვრობთ, ამიტომაც ქართველების გვერდით უნდა დავდგეთ.

მეც მეტს არაფერს ვწერ.

ეთერ ბალაძე,
საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის
სამინისტროს პრესსამსახურის კორესპონდენტი.

ისინი ერთად იზრდებოდნენ, სწავლობდნენ, ჯარშიც ერთად იმსახურეს, ეხლა თბილისელები გარიკ მხითარიანი და ნუკრი დობორჯგინიძე ერთად იცავენ მშობლიური საქართველოს ღირსებას.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

კუკლა

კუკლას ეძახიან ბიჭები ელვირას, ხაირუტდინოვას. დედა ქართველი ჰყავს, მაგრამ საქართველოში სულ ერთი წელიწადია, რაც ჩამოვიდა.

ჩამოვიდა და ომიდან არ გამოსულა კაფანდარა ექთანი — ანესთეზიოლოგი, ორხევის ბატალიონის სანინსტრუქტორი.

— გიჭირს?

— როცა მინდა ადამიანს მივეხმარო, და ვერ ვეხმარები, მაშინ მიჭირს (გამართული ქართულით ლაპარაკობს). მიჭირს იმიტომ, რომ წამლები არა მაქვს, გამაყუჩებლები, მაქსიგანს და დიმედროლს მაძლევენ, იმასაც ძალიან ცოტას (შოკის საწინააღმდეგო პრეპარატებია და უმნიშვნელო გამაყუჩებელი ეფექტის მქონე). შესახვევი მასალებიც მაკლია.

დაჭრილები მოჰყავდა, მძიმედ დაჭრილები:

— წინ რომ წავიწიეთ, იმათმა სნაიპერებმა ტყვიები დაგვიშინეს. ჩასაფრებულები იყვნენ. 6 მეტრში შევნიშნეთ: თხუთმეტამდე ქალი იყო და, ალბათ, ორმოცი მამაკაცი. დაგვიჭრეს ბიჭები, მაგრამ ჩვენებმაც დედა უტირეს.

— ექთნობა რამ გადაგაწყვეტინა?

— ჩემმა ავადმყოფობამ: ლოგინად ვიყავი ჩავარდნილი ბავშვობაში, ოთხი ოპერაცია გამიკეთეს ხერხემალზე, ფეხზე.

ამას არაფერი უგავს ოპერაციებით აწყობილი ადამიანის: ერთ წუთს არ ჩერდება — თავის ენერგიას სხვასაც გაუნაწილებს.

— ყველაზე უფრო მშვიდობა მინდა, სიცოცხლეს შევწირავ, თუ ჩემი სიკვდილი მშვიდობას მოიტანს. დამიჯერეთ, თუ საჭირო იქნება, ამას გავაკეთებ. მანამდე კი მოდით, ვიცოცხლოთ, მოდით, ვიბრძოლოთ!

ამას ამბობდა პატარა ქალი, ელვირა ხაირუტდინოვა, სამხედრო სანინსტრუქტორი.

ახალი წლის წინ შევხვდი, დეკემბრის 28-ს, ახლა სად არის, არ ვიცი.

სურათზე: ელვირა ხაირუტდინოვა

გიორგი კორძაია

სურათები ომიდან

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების მეორე კორპუსის სამხედრო მოსამსახურეთა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლებში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების მეორე კორპუსის სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით:

ვახტანგ გორგასალის მესამე ხარისხის ორდენით;

გენო ადამია — 23-ე მექანიზებული ბრიგადის მეთაური;

ალექსანდრე გეორგელიძე — 23-ე მექანიზებული ბრიგადის პირველი მექანიზებული ბატალიონის დაზვერვის სამსახურის უფროსი (სიკვდილის შემდეგ);

ზაურ უჩაძე — კორპუსის მეთაურის პირველი მოადგილე;

ვალერი ქვარაია — კორპუსის შტაბის უფროსი, მეთაურის მოადგილე;

ემზარ ჭოჭუა — კორპუსის სარაკეტო ჯარებისა და საარტილერიო სამსახურის უფროსი;

თენგიზ ძაძამია — 23-ე მექანიზებული ბრიგადის პირველი მექანიზებული ბატალიონის პირველი ასეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ).

ღირსების ორდენით

ვიქტორ თოდუა — სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის შტაბის უფროსი;

ალექსანდრე მამალაძე — შეიარაღებული ძალების მეორე ბრიგადის დაზვერვის უფროსის მოადგილე.

მედლით „მხედრული მამაცობისათვის“

ჯუმბერ ანანიძე — ცალკეული რეაქტიული დივიზიონის მეთაური;

ზაზა ახალაია — 23-ე მექანიზებული ბრიგადის საკომენდანტო ასეულის მკოდირებელ-დამშიფვრელი (სიკვდილის შემდეგ);

არსენ ბალახაშვილი — საარტილერიო დივიზიონის შტაბის უფროსი;

გულბედი ელიავა — 23-ე მექანიზებული ბრიგადის მეორე მექანიზებული ბატალიონის პირველი ასეულის პირველი ოცეულის მეთაური;

მამუკა თოლორდავა — 23-ე მექანიზებული ბრიგადის საკომენდანტო ასეულის მეტყვიამფრქვევე;

რევაზ კვარაცხელია — 23-ე მექანიზებული ბრიგადის პირველი სატანკო ასეულის მე-3 ოცეულის რიგითი (სიკვდილის შემდეგ);

მერაბ კოპალიანი — 23-ე მექანიზებული ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის მეთაური;

ემზარ ნადარეიშვილი — 23-ე მექანიზებული ბრიგადის მზვერავი (სიკვდილის შემდეგ);

ვახტანგ სალია — 23-ე მექანიზებული ბრიგადის ოცეულის მეთაური;

ელგუჯა სახელაშვილი — 23-ე მექანიზებული ბრიგადის სატანკო ბატალიონის მექანიზებული ასეულის ოცეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ);

თენგიზ ფაცაცია — 23-ე მექანიზებული ბრიგადის მე-6 ბატალიონის მსროლელი (სიკვდილის შემდეგ);

გიორგი ქვილითაია — 23-ე მექანიზებული ბრიგადის საკომენდანტო ასეულის ოცეულის მეთაური;

ლევან ქეცბაია — 23-ე მექანიზებული ბრიგადის ასეულის საბრძოლო ნაწილის მეთაური;

ალექსანდრე ლუღუშაური — 23-ე მექანიზებული ბრიგადის რუსთავის ბატალიონის ასეულის მეთაური;

ბესიკ ჩაჩიბაია — 23-ე მექანიზებული ბრიგადის საკომენდანტო ასეულის მოტოციკლისტ-მომწესრიგებელი (სიკვდილის შემდეგ);

თემურ ჩიტაია — 23-ე მექანიზებული ბრიგადის მე-3 მექანიზებული ბატალიონის მე-2 ასეულის მეთაურის მოადგილე;

რევაზ ცინცაძე — 23-ე მექანიზებული ბრიგადის სატანკო ბატალიონის დაზვერვის ოცეულის რიგითი;

იური ცირკვავა — ცალკეული რეაქტიული დივიზიონის დანადგარის მძღოლი;

ბესარიონ ჭანტურიძე — 23-ე მექანიზებული ბრიგადის მე-3 მექანიზებული ბატალიონის მეთაური;

მურმან ხარაიშვილი — 23-ე მექანიზებული მექანიზებული ბატალიონის შტაბის უფროსი;

ომიკო ხუნწარია — 23-ე მექანიზებული ბრიგადის მე-5 მექანიზებული ბატალიონის საინჟინრო-მესანგრეთა ოცეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ);

დავით ჯიჭონაია — 23-ე მექანიზებული ბრიგადის ბატალიონის ჯავშან-სატრანსპორტო სამსახურის უფროსი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“

რაშიდ ანთია — 23-ე მექანიზებული ბრიგადის პირველი მექანიზებული ბატალიონის უფროსი მზვერავი;

ავთანდილ ბუალავა — 23-ე მექანიზებული ბრიგადის მე-6 ცალკეული სატანკო ბატალიონის მექანიკოს-მძღოლი (სიკვდილის შემდეგ);

თენგიზ გოლეთიანი — 23-ე მექანიზებული ბრიგადის საკომენდანტო ასეულის მებრძოლი (სიკვდილის შემდეგ);

ზურაბ გიორგაძე — 23-ე მექანიზებული ბრიგადის პირველი მექანიზებული ბატალიონის მეთაურის მოადგილე;

კოტე დიხამინჯია — ცალკეული რეაქტიული დივიზიონის დანადგარის მძღოლი;

ანზორ კვარაცხელია — 23-ე მექანიზებული ბრიგადის მე-6 ცალკეული სატანკო ბატალიონის მექანიკოს-მძღოლი (სიკვდილის შემდეგ);

ავთანდილ კვარაცხელია — 23-ე მექანიზებული ბრიგადის საკომენდანტო ასეულის რიგითი;

ერმალო ლომთაძე — 23-ე ბრიგადის მე-3 მექანიზებული ბატალიონის რიგითი;

გოდერძი მელიქიძე — ცალკეული საარტილერიო დივიზიონის მეთაურის მოადგილე;

რამაზ მეფარიშვილი — 23-ე მექანიზებული ბრიგადის მე-3 მექანიზებული ბატალიონის რიგითი;

ალექსანდრე მამიაშვილი — 23-ე მექანიზებული ბრიგადის რუსთავის ბატალიონის ასეულის მეთაურის მოადგილე;

ლევთერ საყვარელია — 23-ე მექანიზებული ბრიგადის მე-5 სატანკო ოცეულის მექანიკოს-მძღოლი (სიკვდილის შემდეგ);

მერაბ უბილავა — სარაკეტო და საარტილერიო ჯარების კავშირგაბმულობის უფროსი;

ვახტანგ ურიდია — 23-ე მექანიზებული ბრიგადის რიგითი;

რაულ ფარღალავა — 23-ე მექანიზებული ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის საცეცხლე ოცეულის მეთაური;

თემურ ფოჩხუა — ცალკეული რეაქტიული დივიზიონის მზვერავ-მაკოორდინირებელი;

ჯემალ ქებურია — 23-ე მექანიზებული ბრიგადის მე-5 მექანიზებული ბატალიონის ოცეულის მეთაურის მოადგილე (სიკვდილის შემდეგ);

ზურაბ შაფაქიძე — 23-ე მექანიზებული ბრიგადის მე-2 მექანიზებული ბატალიონის ოცეულის მეთაური;

ზაზა ჩაჩავა — სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის შტაბის უფროსის მოადგილე;

ანზორ ცაატავა — მე-6 ცალკეული სატანკო ბატალიონის საზინაო-საექსპლოატაციო სამსახურის უფროსი (სიკვდილის შემდეგ).

ე. შევარდნაძე
თბილისი, 1993 წლის 28 თებერვალი

საუკეთესო პატრიოტული და სამხედრო სიმღერების შესაქმნელად კონკურსის ჩატარების შესახებ

საქართველოს თავდაცვის ფონდი, საქართველოს კომპოზიტორთა და მუსიკის მცოდნეთა კავშირი, საქართველოს მწერალთა კავშირი აცხადებენ ერთობლივ დახურულ კონკურსს საუკეთესო პატრიოტულ და სამხედრო სიმღერების შესაქმნელად.

კონკურსის მიზანია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ საჯარისო ფორმირებისათვის, ეროვნული არმიისათვის პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე სასიმღერო და სამხედრო რეპერტუარის შექმნა.

კონკურსზე შეიძლება იყოს წარმოდგენილი როგორც სოლო, ასევე საანსამბლო და საგუნდო სიმღერები ინსტრუმენტული თანხლებით ან თანხლების გარეშე. კონკურსის შედეგების გამოქვეყნებამდე სიმღერები არ უნდა იყოს საჯაროდ შესრულებული, ხოლო მათი ტექსტები შეიძლება იყოს, როგორც ადრე გამოქვეყნებული, ასევე ახალი, გამოუქვეყნებელი.

კონკურსში გამარჯვებული ნაწარმოებებისათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

მუსიკის ავტორისათვის:

ორი პრემია (ერთი — პატრიოტული სიმღერისათვის და ერთი სამხედრო სიმღერისათვის) — თითოეული 50 ათასი მანეთი.

ოთხი მეორე პრემია (ორი — პატრიოტული სიმღერისათვის და ორი — სამხედრო სიმღერისათვის) — თითოეული 30 ათასი მანეთი.

ოთხი მესამე პრემია (ორი — პატრიოტული სიმღერისათვის და ორი — სამხედრო სიმღერისათვის) — თითოეული 15 ათასი მანეთი.

ოთხი წამახალისებელი პრემია — თითოეული 10 ათასი მანეთი.

პრემირებული სიმღერების ტექსტების ავტორ-პოეტთათვის

ორი პირველი პრემია — თითოეული 30 ათასი მანეთი.

ოთხი მეორე პრემია — თითოეული 20 ათასი მანეთი.

ოთხი მესამე პრემია — თითოეული 10 ათასი მანეთი.

ოთხი წამახალისებელი პრემია — თითოეული 5 ათასი მანეთი.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ყველა მოქალაქეს.

ნაწარმოები კონკურსზე წარმოდგენილი უნდა იყოს „დევიზით“. თან უნდა ახლდეს დახურული კონვერტი შესაბამისი დევიზითა და ავტორის ვინაობით.

საკონკურსო ნაწარმოების წარმოდგენის ვადაა 1993 წლის 20 აპრილი.

საკონკურსო მასალას იბარებს საქართველოს კომპოზიტორთა და მუსიკის მცოდნეთა კავშირის კანცელარია ყოველდღიურად, შაბათისა და კვირის გარდა, 12-დან 15 საათამდე. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის პროსპექტი 128.

საქართველოს თავდაცვის ფონდი, საქართველოს კომპოზიტორთა და მუსიკისმცოდნეთა კავშირი და საქართველოს მწერალთა კავშირი.

მოვლენათა კვალდაკვალ

გზა სიმართლისა

ლაზარე ზაქარიაძე

ქართული პოლიტიკური აზროვნება ისევ ჩიხში მოექცა. ფესვებს უნდა ჩავუღრმავდეთ, ფესვებს, რომლებიც ჩვენი სულებიდან იღებენ სათავეს. ჩვენ ხომ ჩვენი ეპოქის შვილები ვართ. ჩვენი ეპოქის აზროვნო მინერალებისგან შევდგებით და პირიქით: ჩვენი ეპოქა, დღევანდელობაც თუ გნებავთ, ჩვენი ნააზრევით იკვებება, ჩვენი ნააზრევით იქმნება და ქანდაკდება. თუ ასე არ მივუდგებით ჩვენს თავს დატრიალებულ ტრაგედიას, რომლის მასშტაბები ყოველდღე იზრდება და ფართოვდება, ამ ბრმა ლეკვებს დავემგვანებით, გზის ძიებისას უფსკრულში რომ იჩეხებიან.

მაშ, ასე, ათას ცხრაას ოთხმოცდაცამეტი წელიც დადგა. ეს იმას ნიშნავს, რომ მოახლოვდა ათასწლეულთა გადასახვლელი. ეს კიდევ იმას ნიშნავს, რომ მომავალი წელი ათას ცხრაას ოთხმოცდათოთხმეტი წელი იქნება, წელი, რომელშიც უზარმაზარი საკრალური შინაარსი ძევს და რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, დასაბამს დაუდებს საქართველოს აღდგინებას. ეს ნათქვამი შეიძლება სრულებითაც არ თავსდებოდა დროის კონტექსტში, მაგრამ თუ დავუკვირდებით ლოგიკის თვალსაზრისით, თავსდებოდა დროის კონტექსტში რუსული იმპერიის ნგრევა? თუნდაც ბრეჟნევის ეპოქაში იფიქრებდა ვინმე, რომ მსოფლიო პოლიტიკური სცენა ასე დინამიკურად შეიცვლებოდა რამდენიმე წლიწადში? გულუბრყვილობაა იმის ფიქრი, რომ გორბაჩოვს იმპერიის დანგრევა უნდოდა, ან იმის ფიქრი, რომ ეროვნულმა მოძრაობებმა დაანგრიეს იმპერია, ყოველივე ეს, უბრალოდ ერთ წრეში მოთავსდა, რომელიც აღიბეჭდა დროის ნიშნით: კომუნისტურმა იმპერიამ ამოწურა თავისი მისია კაცობრიობის წინაშე, სულიერი მისია უპირველესად, რომელიც „კომუნისტური სამოთხით" ადამიანების მოტყუებაში მდგომარეობდა. სატყუარა გახლდათ: თავისუფლება, ძმობა, ერთობა, ანუ ზოგადი იდეა, რომელსაც ყოველთვის ლამაზი ნიღაბით ირგებს ბოროტი. არც ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლას ფიქრობდა არავინ ეროვნული მოძრაობის აღმავლობის წლებში, მაგრამ ჩამოვიდა, რადგან „დისიდენტურმა აზროვნებამ" სრული კრახი განიცადა სახელმწიფოს მართვის საქმეში. დაფაზე „ფიგურების არევის" გამსახურდიასეული სტილი შეიცვალა დაფაზე „ფიგურების დალაგების" შევარდნაძისეული სტილით. ახალქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ დაფაზე კი ამით ბევრი არაფერი შეცვლილა. დღეს ეს უკვე აშკარაა. რა ხდება? რატომ ვერ ახერხებს ისეთი მაღალი, მსოფლიო დონის პოლიტიკური მოღვაწე, როგორიც ედუარდ შევარდნაძეა, სიმყარის შეტანას ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში, ქართული სახელმწიფოებრიობის შენების ურთულეს და უმძიმეს საქმეში? შევეცადოთ სიღრმეებში ჩახედვას.

უპირველესად უნდა ვთქვათ: რუსული იმპერიის საზღვრებში საქართველოს შესვლამ პოზიტიური შედეგიც მოგვცა და ნეგატიურიც. პოზიტივი ის გახლდათ, რომ ჩვენ ფიზიკურად გადავრჩით. ნეგატივი კი ის, რომ ჩვენ სულიერად გადავგვარდით. ეს გადაგვარება უპირველესად სახელმწიფოებრივი აზროვნების, სახელმწიფო ფიქრის დავიწყებაში გამოიხატა. სულ უბრალო მიზეზით: ჩვენ აღარ გვქონდა ჩვენი ქართული სახელმწიფო. ახლა შევეცადოთ, სახელმწიფო ფიქრის დავიწყების იმ ორი პოლუსის ანატომიის მოხილვას, რომლებიც ჟამიდან ჟამზე თავს იჩენენ ახალქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში და რომლებიც ფაქტობრივად ამ აზროვნების მთლიან ხასიათს წარმოაჩენენ.

საქართველოს კომუნისტურ გზაზე დადგომამ ქართული პოლიტიკური აზროვნება შინაგანად ორად გაყო. ეს განყოფა თანდათან მოხდა, დროთა განმავლობაში, რადგან მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არ გახლდათ სახელმწიფო, მას ჰქონდა თავისი ინდივიდუალობა, სპეციფიკური გზა თუ გნებავთ. ეს სპეციფიკურობა უპირველესად, იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველო არასოდეს ყოფილა „კომუნისტური", ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით. ეს განსაკუთრებით ნათლად კომუნისტური რეჟიმის ბოლო ეტაპებზე, ჯერ მჟავანაძის, ხოლო შემდეგ შევარდნაძის „ეპოქებში". გამოიხატა. რაც შეეხება ჯუმბერ პატიაშვილს, მისი „მეფობა" უკვე დაემთხვა ეროვნული მოძრაობის აღზევების პერიოდს და ამდენად, ყველაზე უფრო რთული და ძნელად სამართავი გახლდათ, როგორც პოლიტიკური, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. რაც შეეხება „განყოფას", ქართული პოლიტიკური აზროვნების ორი შინაგანი მაგისტრალური ხაზი ასეთი იყო და არის: „დისიდენტურ-რევოლუციური", და „კომუნისტურ-ადაპტაციური". „დისიდენტურ-რევოლუციური" ხაზი მთავარ მტერს კომუნისტურ რეჟიმში ხედავდა და აქედან გამომდინარე, ქართველ კომუნისტებში (თუმცა, ახალ თაობაში, მხედველობაში მაქვს მჟავანაძიდან მოყოლებული, ასეთები არ მახსოვს). დისიდენტებს მხედველობიდან რჩებოდათ ერთი რამ: კომუნისტური ბეჭედი სულშია და არა ბილეთში. ასეთი ბეჭდისაგან კი თვით ისინიც არ იყვნენ თავისუფალნი, ამის ნათელი დასტურია გამსახურდიას ფენომენი, ან დისიდენტური აზროვნების ისეთი აღიარებული მასების აზროვნება, როგორებიც ანდრეი სახაროვი, ან ელენე ბონერია. „რევოლუციური სინდრომი", ანუ დანაშაულის ძიების კომპლექსი სხვაში, ყოველთვის კომუნისტური ბეჭდის მატარებელია, კომუნისტური სულის, თორემ ძალიან ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ბოლშევიკები „უსამართლობას" არ ებრძოდნენ. ყოველ შემთხვევაში, მათ ასე სწამდათ. მასა პირველი კომუნისტებისა წრფელი და პატიოსანი ხალხი იყო. ამაშია ბოროტის ხელოვნება — „სამართალ-უსამართლობის" ილუზიაში. არადა, სამართალიც და უსამართლობაც ადამიანის სულში ხდება მხოლოდ. ასეა თუ ისე, მოსწრებულად თქვა ერთმა — გამსახურდია იმდენს იბრძოდა, კომუნისტებს, ბოლოს თვითონ იქცა პირველ კომუნისტადო. დისიდენტურმა აზროვნებამ საბოლოო მარცხი სახელმწიფოს მართვის საქმეში განიცადა და აი, რატომ: ადვილია თქვა „არა". ძნელია „იყო". გამსახურდიას ხელისუფლება თვითონ აღმოჩნდა ის, რასაც უარყოფდა. ეს ბუნებრივია. დისიდენტურ აზროვნებას არა აქვს მიდრეკილება სრულყოფისაკენ, თვითქმნისაკენ, და აქედან გამომდინარე, შენებისკენაც. იგი უფრო მნგრეველია. სახელმწიფოს მართვა კი უფრო შენებაა, ვიდრე ნგრევა. დისიდენტურმა აზროვნებამ სახელმწიფოს მართვის საქმეში არა მარტო საქართველოში განიცადა კრახი — ლანდსბერგისის ფენომენიც კმარა ამის დასტურად.

ახლა მეორე ხაზი, ის რასაც „კომუნისტურ-ადაპტაციური" ვუწოდეთ. ეს ხაზიც ბუნებრივია საქართველოსათვის, რადგან, იგი რუსული იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა და ადაპტაციის გარეშე ვერაფრით გასძლებდა. ადაპტაციის მომენტი წინა პლანზე წამოსწევს პოზიციურ ბრძოლას. ანუ „მოთამაშის ფსიქოლოგიას" პოლიტიკაში. ამ ხაზის დიდებული წარმომადგენელი და შეიძლება ითქვას, მამამთავარი, ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში, ედუარდ შევარდნაძეა. ეს მისი სტილია. მაგრამ ეს სტილი ძნელად თავსდება ახალქართული სახელმწიფოს შენების კონტექსტში, და, აი, რატომ: ფიგურები რომ განალაგო, ჯერ ფიგურები უნდა გქონდეს, რომ ათამაშო ფიგურები, მით უმეტეს, მაშინ, როცა ლაპარაკია ახალქართული სახელმწიფოს ფორმირების ურთულეს პროცესზე. სხვა საქმეა იმპერიის რღვევა, სხვა საქმეა ახალი სახელმწიფოს შენება. მოსახდენი უნდა მოხდეს, მოსახარში უნდა მოიხარშოს. აი, რატომ მიეჩქარება საქართველო განსაცდელისკენ. სახელმწიფოს მეთაური ხშირად ხმარობს „სახადის" ცნებას. ეს ყველაფერი „სახადია", „მოსახდელი". ოღონდ ყველამ თავისი „სახადი" უნდა მოიხადოს, სხვისას კი არ უნდა აგიღოს. ანდა, როდის იყო ავადმყოფი გინებით იკურნებოდა. არც კოსმეტიკა უხდება ავადმყოფობას, ავადმყოფობა — ეს პროცესია. დღევანდელი ხელისუფლების მთავარი მისია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ამ პროცესს საკუთარ თავზე ღებულობს, საკუთარ სხეულზე გადააქვს. რაც უფრო დიდ მოთმინებას და დიდ სიმართლეს გამოიჩენს ხელისუფლება და კერძოდ, სახელმწიფოს მეთაური, მით უფრო უკეთესია საქართველოსათვის. მით უმეტეს, რომ ამ „სასჯელს" აქვს თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. ასეა თუ ისე, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება გოლგოთის გზას ადგას (ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფოს მეთაური), თუ იგი ამ გზას გადაუხვევს, ესტაფეტა ისევ გაწყდება და საქართველო ისევ გადაეშვება შურისგების მორევში. რაც შეეხება „დისიდენტურ აზროვნებას", მისი დაბრუნების შანსი არ არის საქართველოში. ჩვენ უკვე საკმაოდ გრძელი გზა განვვლეთ საიმისოდ, რომ ისევ უკან არ დავბრუნდეთ. მაშ, სად არის გზა?

განგება გვიმკაცრდება. მოდით, ჩვენაც მკაცრად ჩავიხედოთ საკუთარ სულებში, სიმართლით მკაცრად და არა ბოღმით და ვიკითხოთ ასე: ვინ არის მართალი? მოსეს და ღმერთის დიალოგი გავიხსენოთ. ორმოცდაათი კაცი რომ აღმოჩნდესო მართალი ქალაქში, არ დავღუპავო ქალაქს, ოცი, ათი, ხუთი, ერთი... არცერთი არ აღმოჩნდა. ვიტყვი, ჩვენს ქალაქში ჯერ კიდევ დარჩა ვიღაც მართალი, ოღონდ ჩვენს შორის არა, ჩვენს შორის, ვისაც პოლიტიკური აზროვნების პრეტენზია გვაქვს... ასე შევხედოთ მოვლენებს.

სიმართლე, — აი, საიდან იწყება ადამიანის კაცადქმნა, ქვეყნისა — სახელმწიფოდ. სიმართლე კი საკუთარი ფუნქციის ზუსტად და მკაცრად შესრულებაში მდგომარეობს. დღევანდელი ხელისუფლების მთავარი შეცდომა სწორედ იმაშია, რომ იგი ხშირად მიმართავს „დაუთოვების", იგივე „კოსმეტიკის" პრინციპს. კანონი უნდა კანონობდეს. შავს შავი უნდა დაერქვას და თეთრს თეთრი.

1. რეგიონული პრობლემების ხვედრითი წონა მრავალჯერ იმატებს, თუ საქართველოს ხელისუფლებამ მკვეთრად არ გამოხატა თავისი პოზიცია საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. მესმის: დიდია რისკი, დიდია განსაცდელი, მაგრამ კიდევ უფრო დიდია საქართველოს დაქუცმაცების, დაყოფის, ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვის საფრთხე.

2. კანონის „აღმსრულებლობა" ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებიდან უნდა დაიწყოს. ჯერ შენ უნდა იყო მართალი, სხვას რომ სიმართლე უკარნახო. „სახელმწიფო სიმართლე" კი კანონია. კანონი, როგორც სახელმწიფო ცხოვრების წესი და არა როგორც შურისგება. თუნდაც ერთი უწესო ადამიანი სახელმწიფოს უმაღლეს ეშელონებში, უკვე უწესობაა მთლიანად სახელმწიფოში. ნუ დავივიწყებთ ამას.

3. ძირითადი მზერა საქართველოს შინაგანი პოტენციისაკენ უნდა წარიმართოს და არა გარესამყაროსკენ. თუ თავს არ არგიხარ, ვერც ვერავის არგებ. ამიტომაც, ჯერჯერობით ასეთი გულგრილია მსოფლიოს მზერა საქართველოსაკენ. ვერ თამაშობს სახელმწიფოს მეთაურის საერთაშორისო ავტორიტეტის კოზირიც, რადგანაც ავტორიტეტი, პირველ რიგში, სახელმწიფომ, ქვეყანამ უნდა შეიქმნას და არა ცალკეულმა პიროვნებებმა.

4. რწმენა გახლდათ ქვაკუთხედი ქართული სახელმწიფოებრიობისა. საქართველოს გადარჩენის საიდუმლოება ქრისტიანულ სარწმუნოებაში დევს, რომელიც იყო, არის და იქნება ქართული სახელმწიფოს სიმბოლო. რწმენა კი სინანულიდან იწყება. სინანული არა გვაქვს, ამიტომაც ვისჯებით. ამიტომაც ვერ ვპოულობთ საკუთარ თავში იმას, რასაც ქრისტეს სახარება ჰქვია.

5. საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს თავისი მისია — კანონიერების აღდგენა საქართველოში: რა გზითაც, რა საშუალებებითაც. კანონიერების აღდგენა კი როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკაში ქართული სახელმწიფოებრივი „მე"-ს დამკვიდრებაში მდგომარეობს.

დღეს უღელტეხილია საქართველოს ისტორიისა, გარდამავალი ეტაპი. მკაცრია იგი, რადგანაც, საქართველო თავის თვითგამოხატვას ესწრაფვის მსოფლიო პოლიტიკის სცენაზე. ჯერჯერობით, პროცესები იმდენად რთულია და მძიმე, რომ ძნელია მომავლის კონტურების დალანდვაც კი. თუმცა, ვიმეორებ, განგების ენა არაა ლოგიკის, მიზეზშედეგის ენა. განგების ენა უფრო ღრმა ენაა, ესე იგი უბრალო. ერთი რამ ცხადია: რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, ქართული პოლიტიკა ესწრაფვის იმას, რაც არასოდეს არ ყოფილა პოლიტიკური აზროვნების მიზანი — ჭეშმარიტებას. თუმცა, აქვე აღმაშენებლის ფენომენიც გავიხსენოთ: მეფე-მლოცველი, მეფე-მწიგნობარი, მეფე-ხუცეს-მეფე და მეფე-მხედარი. ისტორია ფსიქოლოგიაა ერისა, სული. იგი მეორდება, მეორდება ზიგზაგებურად, მეორდება დაცემებსა და აღზევებაში, ფსკერებსა და მწვერვალებში. აღმაშენებლის წინ ფსკერი იყო, დღესაც ფსკერია. ხოლო იოანე ზოსიმე ამბობს: „დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა. და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე. და სახარებასა შინა ამას ენას ლაზარე ჰქვიან..."

სახელმწიფოს მეთაური ხშირად იმეორებს თავის გამოსვლებში: „საქართველო ორი ათასი წლისათვის აყვავებული ქვეყანა იქნება..." მეც ღრმად მწამს ამისი. არა მარტო რწმენის დონეზე, ლოგიკის დონეზეც. შინაგანი ლოგიკის. ოღონდ მანამ საქართველომ უდიდესი სულიერი მეტამორფოზა უნდა განიცადოს. ცხრა აპრილი მინდა გავიხსენო ისევ. ცხრა აპრილის ისტორიული მნიშვნელობა დიდია. სამწუხაროდ, თანამედროვეობის მზერა მიმდინარე მოვლენებზე არასოდეს არ არის ღრმა, რადგან, სიღრმეს დროის გადასახედი სჭირდება. დრო ფილტრავს საგნებს და მოვლენებს, დრო მზერას წმენდს. ცხრა აპრილს საქართველოს განგებისაგან ენიშნა, რომ დაპირისპირება არ არის მისი გზა: თუ კარგად ჩავუკვირდებით, უდანაშაულო და უსუსური ქალები და ბავშვები დავახოცინეთ კბილებამდე შეიარაღებულ ბოროტების მანქანას. სამწუხაროდ, ჩვენ ყურად არ ვიღეთ განგების ენა და გავაგრძელეთ დაპირისპირების გზა, რომელმაც ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტამდე მიგვიყვანა. დღესაც ვაგრძელებთ. მეორეს მხრივ, ცხრა აპრილის განსაცდელი განსაწმენდელიც იყო. ერმა გააცნობიერა ერთიანობის აზრი და მნიშვნელობა, ბავშვების სისხლის ფასად გააცნობიერა. ეს ბუნებრივია. როდესაც დომინირებს გული და უკანა პლანზეა გონება, განგების ერთადერთი ენა განსაცდელია. ასეა ადამიანში, ასეა ერში, ასეა სამყაროში. საქართველოს ისტორია განსაცდელის ისტორია სწორედ იმიტომაა, რომ ქართველ კაცში გული ყოველთვის წინ უსწრებდა გონებას. თუმცა, არც გადამეტებული პრაგმატულობა არგებდა ევროპასა და აზიას შორის ობლად დარჩენილ საქართველოს. არც დღეს არგებს. თუ ჩვენ ზედმეტად პრაგმატულად მივუდგებით ჩვენს ირგვლივ დატრიალებულ მოვლენებს, შეიძლება სტაბილურობა და გარეგანი სიმშვიდე უფრო შევინარჩუნოთ, მაგრამ დამერწმუნეთ, საქართველო აღარ იქნება, აღარ არის უკვე. აი, ასე: „ნურც გაფრინდებით, ნურც მოფრინდებით..." ანდა „ვაის გაუყარე და ვუის შეუყარე..." ეს ჩიხია. ჩიხია, რადგან ერი გაუცნობიერებლად განწმენდას ითხოვს, ზნეობრივ ამაღლებას. განგება გვთხოვს ამას ჩვენგან, მკაცრად გვთხოვს. ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლის პირველი დღეები მინდა გავიხსენო ისევ: დახმარების იმედი გვქონდა, ინვესტიციების, კრედიტების, მთელი მსოფლიოს იმედი და ეს რეალური იმედი გახლდათ. სახელმწიფოს მეთაური არის იმ წონისა და მასშტაბების პოლიტიკური მოღვაწე, რომ ასეთი მხარი მიიღოს მსოფლიოსაგან. მაგრამ ერმა არ მიიღო ასეთი მხარი, გაუცნობიერებლად არ მიიღო და ამაში დევს უზარმაზარი პოზიტიური შინაარსი: თუ ჩვენ ორი ათასი წლისათვის აყვავებულ საქართველოს ველით, კარგად უნდა დავიმახსოვროთ: ეს სულიერად ფერნაცვალი საქართველო იქნება, განსაცდელგავლილი, და არა „ფოჩიანი კანფეტებით" გამძღარი. „გაძღომა" არ აკლდა საბალახოზე მიგდებულ ერს კომუნისტების ეპოქაში. მაგრამ რა მივიღეთ? საკუთარ ეგოისტურ ნაჭუჭში ჩაკეტილი ადამიანების უზარმაზარი და უსახური მასა, რომელსაც ძალუძს ომის პირობებში გამდიდრებაზე იფიქროს, თურქეთის ბაზრები დალაშქრონ მაშინ, როცა ბიჭების კუბოები სოკოებივით რომ მრავლდებიან გაწამებულ და დანგრეულ საქართველოში.

ჩვენ დღეს ხშირად ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ვერაფრით ვიყენებთ ჩვენს გეოპოლიტიკურ კოზირს. ესეც ბუნებრივია. საქართველოს შიდაპოლიტიკური აშლილობა, არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც კავკასიურ მასშტაბებს სწვდება, ფაქტობრივად გამოუყენებელს ხდის ჩვენს გეოპოლიტიკას. ყოველივე კი მაინც ერის ფსიქოლოგიიდან იწყება, ანუ ერის სულიდან. სამწუხაროდ, ჩვენ აქცენტს არ ვაკეთებთ ფსიქოლოგიაზე, არადა, ყველაფერი აქედან იწყება. გარე ფაქტორები მხოლოდ და მხოლოდ საბაბია. მიზეზი, არსი კი, ფესვები, ჩვენს ფსიქიკაში დევს, გადაგვარებულ ფსიქიკაში, რომელიც სხვადასხვა სიბრტყეზე სხვადასხვა სახით ვლინდება. ვიტყვი უბრალოდ: სანამ საქართველო თავის გენეტიკურ კოდს არ იპოვის, თავის გეორგიელობას, ჯერ ფსიქოლოგიურად, (მიწათმოქმედი კაცის ბუნება), ხოლო შემდეგ ეკონომიკურად და პოლიტიკურად, იგი ვერ ისაქართველოებს, ვერც საქართველოში, ვერც კავკასიაში, და ვერც მსოფლიოში. დღეს ეს თვალნათლივ ჩანს, ხვალ კიდევ უფრო გამოჩნდება. ამასვე გვკარნახობს განგების ენა.

გზა? — იკითხავთ. გზა მხოლოდ და მხოლოდ სიმართლისა.

სათქმელი უნდა ითქვას

„ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგან თვისთა უფალთა"

შალვა ხიდაშელი

ორი წლის წინათ გაზეთ „ქართულ ფილმში" გამოქვეყნებულ სტატიაში ვწერდი: „ქართველი ერის დღევანდელი ცხოვრება უაღრესად კრიზისულია... ამ მდგომარეობიდან გამოსვლისა და მიზნის მიღწევის აუცილებელი, პირველი და ძირითადი პირობა ერის ერთიანობაა.

ჩვენი მთავარი მტერი ჩვენს გარეთაა და ვისაც აქვს უნარი მთელი სიღრმით ჩაწვდეს ამას, ერის ინტერესები განიცადოს „ყოვლითა გულითა და ყოვლითა სულითა და ყოვლითა გონებითა" მან უნდა შეძლოს დასძლიოს თავის თავში ყოველივე „ადამიანური" ამ სიტყვის უარყოფითი, წვრილმანი მნიშვნელობით".

სამწუხაროდ, აქამდე ვერ მოხერხდა, რომ ჩვენი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ცალკეულ მონაწილეებსა და, განსაკუთრებით, პარტიის ლიდერებს ისეთი სიღრმით განეცადათ ერის ინტერესები და ისეთი ძალით დაუფლებოდა მათს ცნობიერებას ეროვნული მთლიანობის იდეა, რომ მეორეხარისხოვანი და პიროვნული დაჩრდილულიყო.

პარტიათა რაოდენობა იზრდებოდა, ურთიერთობა იძაბებოდა და ყურადღების ზედმეტი აქცენტირება „კრემლის აგენტებზე", „სუკის აგენტებზე" და საერთოდ „გარეშე ძალებზე" მომაბეზრებელი ხდებოდა.

რომელი ქვეყანა იგულისხმება „გარეშე ძალაში" და რას ნიშნავს „ჩვენი მთავარი მტერი ჩვენს გარეთაა", სავსებით ცხადია. ცხადია ისიც, რომ ხელისუფლებასა და ცალკეულ პარტიებს შორის წინააღმდეგობის ძირითად და უმნიშვნელოვანეს საკითხად დღეს რუსეთისადმი დამოკიდებულებაა და წინამდებარე წერილიც ამ საკითხს ეხება.

გავიხსენოთ ჩვენი გამოჩენილი წინაპრების შეხედულებანი, რომელთა გაუთვალისწინებლად შეუძლებელია რუსეთის მიმართ სწორი პოლიტიკის განხორციელება.

ცნობილია, რომ ახალგაზრდა, ჯერ კიდევ სტუდენტმა ილიამ ლერმონტოვის „მწირის" ერთ-ერთი სტროფი —

«И Божья благодать сошла на Грузию! Она цвела с тех пор в тени своих садов, не опасаяся врагов, за гранью дружеских штыков».

ამგვარად თარგმნა:

„მას აქეთ, რაცა კურთხევა ღვთისა
მიეცა ტანჯულს ივერიის ერს,
რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა —
ღმერთმა იმ რუსსვე ასკეცად მისცეს".

ეს თარგმანი თავისთავად მეტყველებს ილიას პოზიციაზე და კომენტარი არ სჭირდება. მაგრამ ილია აქაც ილიად, დიდ პიროვნებად, მასშტაბურ მოაზროვნედ რჩება, რომლისთვისაც უცხოა წვრილმანი ვნებები და არც „რუსეთის" შინაარსი ამოიწურება მისთვის „შტიკებით" და არც მხოლოდ „შტიკებით" განისაზღვრება მისი რუსეთისადმი დამოკიდებულება. დღევანდელ ჩვენს პოლიტიკურ აზროვნებაზე რომ გადმოვიტანოთ ეს „საზომი", ვფიქრობ, არ არსებობს არავითარი საფუძველი რუსეთის უკიდურესად ცალმხრივი შეფასებისა და ზოგჯერ პირდაპირ ზოოლოგიური სიძულვილისათვის.

რუსეთი დამპყრობელი ქვეყანაა საქართველოსათვის, ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით, მაგრამ გარდა იმისა, რომ საქართველოს დაპყრობა უკიდურესად მძიმე, აუტანელ ისტორიულ პირობებში მოხდა და უმცირესი ბოროტება იყო, ამ ქვეყანამ გარკვეული, მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა მოახდინა საქართველოზე. ამითაა გამოწვეული, რომ მიუხედავად „მწირის" დამოწმებულ სტროფში ასახული განწყობილებისა, ილია წერდა: ეს თაობა „აღზრდილი და განსწავლული იყო რუსულ მწერლობა-მეცნიერებაში და უცხო მწერლობაშიაც, ისიც რუსულის შემწეობითა. მაშინ ჩვენი საზოგადოება ხომ ძალიან დაქვეითებული იყო და საკუთარი ვითარებისა თითქმის არა გაეგებოდა-რა" და იქვე: ... „რასაკვირველია, ზედმიწევნით უნდა გავიცნოთ რუსული მწერლობა და აგრეთვე უნდა ვცდილობდეთ, სხვა უცხო მწერლობაც შევისწავლოთ. ჩვენთვის ეს იმდენად აშკარაა და ჭეშმარიტია, რომ მეტი ლაპარაკი საჭირო არ არის".

რა თქმა უნდა, ილიას არ ავიწყდება, რომ „ყოველს სწავლასა და ცოდნას საძირკვლად საკუთარი მწერლობა და ვითარების ცოდნა უნდა დაედოს", მაგრამ ეს არ სცვლის რუსული ლიტერატურის დიდ როლს XIX საუკუნის ქართული მწერლობისა და მეცნიერების განვითარებაში.

შევნიშნავ, სხვათა შორის, რომ ილიას ამ სტრიქონებიდან საუკუნეზე მეტმა დრომ განვლო და ჩვენი დღევანდელი მკითხველების უდიდესი ნაწილი „რუსულის შემწეობით" ეცნობა უცხოურ ლიტერატურას.

გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, ქართული საზოგადოებრივი აზრის და ქართველი ინტელიგენციის ისტორიის ცნობილი მკვლევარის არჩილ ჯორჯაძის შეხედულებანი არ განსხვავდება ილ მოსაზრებებისაგან: „რასაკვირველია, რუსეთის ცხოვრებას დიდი გავლენა ჰქონდა ჩვენსაზე", მაგრამ რუსეთში და საქართველოში მიმდინარე პროცესები და მათი „შინაარსი" განსხვავებული იყო.

60-იანი წლების საქართველოში, არჩილ ჯორჯაძის სიტყვით, „სქოლასტიკა და თავისუფალი მსჯელობა შეებნენ ერთმანეთს", და ეს მოვლენა იყო არსებულ პირობებთან შედარებით, „რეფორმაციის დროშის აფრიალება ახალ საქართველოს სახის და ვინაობის გამოსარკვევად". ამ დროს უკვე შეიმჩნევა საქართველოში „ორი ბანაკის" დარაზმულობა, რომელთაგან ერთ-ერთი, ანუ „ჩვენი ახალი თაობა" „რუსეთში იზრდებოდა" და სწორედ იქ შეითვისა თავისი „საუკეთესო იდეალები".

ქართული ჟურნალები ბაძავენ რუსულ „სოვრემენიკს" და „რუსკოე სლოვოს" და ექცევიან მათი იდეების გავლენის ქვეშ.

სამოციანი წლებიდან „იწყება მკვიდრი და თითქმის განუხრელი კავშირი რუს და ქართველ ინტელიგენციას შორის" და ამიტომ, „მოვისურვებთ თუ არა ამ საკითხებზე პასუხის გაცემას", როგორიცაა, ვთქვათ, კითხვები— „აქვს თუ არა ჩვენებურ მესამოცე წლებს განსაკუთრებული ფიზიონომია? რაგვარის იდეური მიმართულებით დახასიათდება იგი? და რა უნდა ჩაითვალოს ეპოქის ნიშანდობლივ თვისებად?", — ჩვენ იძულებულნი ვართ, მივმართოთ რუსეთს, ან, არჩ. ჯორჯაძის სიტყვით რომ ვთქვათ — „ისევ რუსეთისაკენ უნდა მივაბრუნოთ თვალები".

დღეს არც XIX საუკუნეა და არც საბჭოთა პირობები, მაგრამ არ შეცვლილა ერთი ძალიან მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი მოვლენა — ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული და სახელმწიფოებრივი გარემოცვა, ჩვენი ქვეყნის მოსაზღვრე ქვეყნები და, მათ შორის, განსაკუთრებით რუსეთი. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ეს ქვეყანა უდიდესი ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სტრატეგიული ძალის ქვეყნად იქცა და ამ ფაქტის უგულვებელყოფა მხოლოდ პოლიტიკური სიბეცე იქნებოდა.

შეიცვალა ის, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში გაძლიერდა და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ეთიკურმა ფაქტორმა და როგორიც უნდა იყოს, ცალკეული სახელმწიფოების დამოკიდებულება ამ ფაქტორისადმი, ყოველი მათგანი იძულებული გახდა, მას ანგარიში გაუწიოს.

მისასალმებელია, რომ თუმცა, რუსეთის პოლიტიკური აზროვნება ჩამორჩა ამ მხრივ დასავლეთს, „პერესტროიკისა" და „ახალი აზროვნების" პირობებში მაინც წარმოიქმნა იმედისმომცემი ცვლილებები.

როგორც ბატონი ედუარდ შევარდნაძე წერს, თავის წიგნში „ჩემი არჩევანი", „კონფრონტაციის ძველი მეთოდები, იდეოლოგიის ბატონობა პოლიტიკასა და სამართალზე" — გამოუყენებელი აღმოჩნდა დღევანდელ პირობებში, როგორც შინაური, ასევე საერთაშორისო ურთიერთობებისათვის. საჭირო იყო ძველი პოზიციების უარყოფა, საჭირო იყო სხვა ქვეყნებთან და კერძოდ, დასავლეთთან თანამშრომლობა, მონაწილეობის აღკვეთა რეგიონულ კონფლიქტებში და პირველყოვლისა — ავღანეთში. ეს ნიშნავს, რომ **„უცილებელი იყო ნდობის აღდგენა,** მსოფლიოს დარწმუნება, რომ არ არსებობს საბჭოთა საშიშროება". საჭირო იყო **ადამიანური ფაქტორის მოხმობა",** შეგნება იმისა, რომ „ადამიანი ხელსაწყო არაა, რომელიც შეიძლება ჩართო, ან ამორთო ღილაკზე ხელის დაჭერით"..

გავიხსენოთ ბატონ შევარდნაძის არაერთგზის გამოთქმული შეხედულება, რომ პოლიტიკა უნდა პატიოსანი იყოს; გავითვალისწინოთ, უდიდესი შედეგები, რომლებსაც მან მიაღწია საერთაშორისო პოლიტიკის ასპარეზზე, რომ ნათელი გახდეს პოლიტიკისა და ეთიკის შეერთების ცხოველმყოფელი ძალა, თუ, რა თქმა უნდა, ის გონიერი პოლიტიკოსის ხელში და შესაფერის პირობებში აღმოჩნდა.

გადაჭარბება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ზნეობის ამგვარ შეფასებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ერის ცხოვრებაში, სადაც სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების იდეა ძველი დროიდანვე გასდევს ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებას და პოულობს არა მხოლოდ ბრწყინვალე მხატვრულ განსახიერებას, არამედ, შესანიშნავ ფილოსოფიურ დასაბუთებასაც. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გამოც, რომ ჩვენს ერს ისტორიულადაც და ახლაც, მასზე ძლიერ სახელმწიფოებთან ჰქონდა ურთიერთობა და ასეთ დროს, „იარაღის ჟღარუნი" სახიფათო და, უკეთეს შემთხვევაში, უშედეგო წამოწყებაა.

მეზობელი ქვეყნების, მათ შორის რუსეთისა და თურქეთის მტრად გამოცხადება სათავეს, უკანასკნელი წლების მოვლენებთან დაკავშირებით, პრეზიდენტისაგან იღებს.

ამ სიტყვების გამოქვეყნების შემდეგ, ბევრი რამ შეიცვალა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში. მაგრამ „რუსეთის კოზირი" მაინც თამაშდება — იმ განსხვავებით, რომ მაშინ ეს პოზიცია სახელმწიფოს მეთაურისაგან (პრეზიდენტისაგან) მომდინარეობდა, დღეს, პირიქით, სახელმწიფოს მეთაურის წინააღმდეგ არის მიმართული. მაშინ ფინანსური დახმარების შეწყვეტისა და ამით გამოწვეული ჩვენი ხალხის გასაჭირი მხოლოდ სავარაუდო შესაძლებლობა იყო, დღეს — სამწუხარო რეალობა.

მაშინ პერსპექტივაც არ ჩანდა მეზობელ ქვეყნებთან (ვთქვათ იმავე „მტერ" თურქეთთან) კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებისა, დღეს — რეალობაა და ფართო პერსპექტივას შლის.

სამწუხაროა მხოლოდ, რომ მიუხედავად ამ უტყუარი ფაქტებისა, „ანტირუსული" მგზნებარება არ ცხრება.

რუსეთის იდეალიზაცია, ცხადია, არაფრით არაა გამართლებული. ნათელია მისი პოლიტიკური ზრახვებიც კავკასიის რეგიონის, შავი ზღვისა და კერძოდ, საქართველოს მიმართ. ნათელია ისიც, — როგორი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა და რაგვარად უნდა განეწყო დღევანდელი რუსეთის ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები რესპუბლიკისადმი, რომელმაც, საბჭოთა კავშირის სხვა მრავალი რესპუბლიკისაგან განსხვავებით, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაშიც" არ ისურვა დარჩენა.

მაგრამ არანაკლებ ნათელია, რომ ასეთ პირობებში უფრო მეტად ხდება აუცილებელი რუსეთთან, სწორედ მშვიდობიანი მოლაპარაკება და არა ურთიერთობის გამწვავება. და თუ მაინც გრძელდება საერთოდ გარეგან და კერძოდ რუსეთზე, „მესამე ძალაზე" · ყურადღების ზედმეტი აქცენტირება, ამას ღრმა ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს.. მისი დაძლევა ისეთ ფსიქოლოგიურ აქტს მოითხოვს, რომელიც ძნელად განსახორციელებელი და „ძნელად ასატანია" — საკუთარ სულში ჩახედვა ყველას არ შეუძლია!

ჩვენი ოპოზიციის რუსეთისადმი მკვეთრად უარყოფითად განწყობილი დეპუტატები, თუ პარტიის წარმომადგენლები, ხშირად იხსენებენ 1921 წლის 25 თებერვალს, როგორც ტრაგედიას.. ეს მართლაც ტრაგედია იყო, დიდი ტრაგედია ქართველი ერის ისტორიაში, როდესაც რუსეთის საუკუნოვან ბატონობას საძირკველი მოეშალა და საქართველოში დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი მშენებლობის დრო დადგა. ეს იყო ჭეშმარიტად ერის დიდი სულიერი აღმავლობის პერიოდი, რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა.

მაგრამ მათ „ავიწყდებათ" ქართველების მოღალატური და რენეგატული როლი ამ ტრაგედიაში, მათი ბრძოლა დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ, რათა ხელისუფლების სათავეში აღმოჩენილიყვნენ; „ავიწყდებათ", რომ მე-11 არმიის სათავეში ქართველი სერგო ორჯონიკიძე იდგა, და რომ, 1921 წლის 15 თებერვლის დეპეშაში, რომელიც სტალინმა მოსკოვიდან ორჯონიკიძეს გამოუგზავნა, რუსულ ტექსტში ასეთი ქართული ფრაზა იყო ჩართული: „იხლავე შეუტიე და აიღე ქალაქი, დასტური არის"!

ერთი სიტყვით, კიდევ ერთხელ გამართლდა ძველი ქართველი ისტორიკოსის სიტყვები, რომლებსაც არასოდეს ივიწყებდა დავით აღმაშენებელი და არც დღეს გვაქვს მისი დავიწყების საფუძველი: „ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგან თვისთა უფალთა"!

CBANK

კომერციული ბანკი „კაპიტალბანკი" იღებს რუსეთიდან საქართველოში გადმორიცხვას შუამავლის დაჯილდოებისათვის 70 %-იანი დანამატით, ანუ 1.7 კოეფიციენტით.

ბანკი ორგანიზაციებს და კერძო პირებს უხსნის სამანეთო და სავალუტო ანგარიშებს, ახორციელებს სნგ-ს და მსოფლიოს ბანკებთან შემდეგი სახის ოპერაციებს: თანხების კონვერტირებას, განაღდებას, გასცემს სესხებს უცხოური ვალუტით.

საქართველოში მხოლოდ ჩვენთან მიიღება ანგარიშსწორებაში საერთაშორისო საკრედიტო ბარათი „VIZA".

ბანკის დევიზია: ანგარიშსწორებების საიდუმლოება და საიმედოობა.

„კაპიტალბანკი" თანამშრომლობს საინვესტიციო ინგლისურ კომპანია „TARO TNVESTMENT"-თან, რომელიც გაგიხსნით კომპანიას მსოფლიოს უდაბეგვრო ზონებში, ევროპასა და ამერიკაში, და აძლევს კონსულტაციებს საერთაშორისო მარკეტინგზე, ინვესტიციებზე, საბანკო სისტემაზე.

ჩვენი რეკვიზიტები: 380062, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 62,
ტელეფონი: 22-22-27, 29-47-59.
ფაქსი: 29-46-59.
ტელექსი: 212149, BIRJA SU.

კომერციული ბანკი „კაპიტალბანკი".

არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ

● შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ავადმყოფის დიეტური კვების პროდუქტებით მომარაგების მხრივ ჩვენში მეტად სავალალო მდგომარეობაა, არ იშოვება ანტიდიაბეტური წამლები, განსაკუთრებით ინსულინი, იქნებ გვაცნობოთ: რა კეთდება მდგომარეობის გამოსასწორებლად?

ავთანდილ ლოლობერიძე,
ეკონომისტი,
ქუთაისი.

განმარტებისათვის მივმართეთ საქართველოს დიაბეტური ასოციაციის პრეზიდენტს, რესპუბლიკის ენდოკრინოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარეს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ **ვაჟა იმერელს.**

— ფაქტია, რომ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ავადმყოფთა დიეტური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის პრობლემა ჩვენში ძალზე მწვავედ დგას. სამწუხაროდ, დღევანდელ რთულ ეკონომიკურ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, ცხადია, უახლოეს მომავალში მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების ძალისხმევით ეს საკითხი სრულად ვერ მოგვარდება. ამიტომ იყო, რომ დაფუძნებისთანავე საქართველოს დიაბეტურმა ასოციაციამ (სადა), რომელიც ძირითადად აერთიანებს შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ავადმყოფებსა და მათი ოჯახის წევრებს, აგრეთვე თავიანთ მკურნალ-სპეციალისტებსაც, ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად დაისახა სათანადო ხარისხის დიეტური საკვები პროდუქტების წარმოების გაზრდისა და ამ პროდუქტებით ავადმყოფთა მომარაგების უზრუნველყოფა. გარდა იმ საკვები პროდუქტების წარმოების ზრდისა, რომლებიც დიაბეტური დიეტის ტრადიციულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ, დიდ პერსპექტივას სახავს აგრეთვე ისეთი მაღალი კვებითი ღირებულების პროდუქტების დიაბეტიანთა სამკურნალო დიეტაში გამოყენება, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობისათვის არატრადიციულია და თანაც ამ პროდუქტებით ავადმყოფთა სრული უზრუნველყოფა ადვილად ხელმისაწვდომია. ასეთებია, მაგალითად, სოიას, ამარანტის, სტევიისა და სხვა მცენარეულის, აგრეთვე ზოგიერთი ცხოველური წარმოშობის (კურდღლისა და სხვა) პროდუქტების გამოყენების პერსპექტივა დიაბეტიანთა დიეტაში. სადღეისოდ საჭიროა სპეციალურად დიეტური მაღაზიების მეშვეობით რამდენადმე მაინც უზრუნველვყოთ ავადმყოფთა მომარაგება სათანადო დიეტური პროდუქტებით. ჯერჯერობით თბილისის მხოლოდ ერთ მაღაზიაშია გამოყოფილი სპეციალური განყოფილება დიაბეტით დაავადებული ბავშვებისათვის (დავით აღმაშენებლის გამზირზე, მარჯანიშვილის მოედანთან), ეს კარგია, მაგრამ, რა თქმა უნდა ვერ წყვეტს პრობლემას.

რაც შეეხება ანტიდიაბეტური წამლებით ავადმყოფთა მომარაგებას, ამ მხრივ ჩვენი ქვეყანა, სამწუხაროდ, მთლიანად დამოკიდებულია იმპორტზე, რადგან ჩვენში არ ხდება მათი წარმოება. ნაწილი წამლებისა რესპუბლიკაში შემოდის საქართველოსთვის ნასესხები ვალუტის მეშვეობით, ნაწილი კი — ჰუმანური დახმარებით. დღემდე, ასე თუ ისე, დამაკმაყოფილებლად ხდებოდა რესპუბლიკის წამლებით მომარაგება, მით უმეტეს, დიაბეტით დაავადებული ბავშვების ინსულინით და სპეციალური ერთჯერადი შპრიცებით უზრუნველყოფა, თუმცა ამჟამად გახანგრძლივებული ინსულინების მხრივ შექმნილია კრიტიკული სიტუაცია. სადა-ს სპეციალური კომისია სწავლობს დიაბეტით დაავადებულთა ანტიდიაბეტური ტაბლეტებითა და სხვადასხვა სახეობის ინსულინებით მომარაგების და მათი რაციონალურად განაწილების მდგომარეობას. საერთოდ კი, აღნიშნულ საქმეს ჩვენს რესპუბლიკაში უშუალოდ დიდის გულისხმიერებით ხელმძღვანელობს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ენდოკრინული ცენტრისა და სადა-ს სამედიცინო დირექტორი, სამინისტროს მთავარი ენდოკრინოლოგი, დოცენტი დავით მეტრეველი. ვფიქრობთ, უახლოეს ხანებში, უფრო მეტი დაწვრილებითი ცნობების მოწოდების შესაძლებლობა გვექნება.

ყოფილსაც გააჩნია

უემოციოდ გავიაზროთ წინსვლის გზა

„საქართველოს რესპუბლიკა" თავის ფურცლებზე ადგილს დაუთმობს ხელმძღვანელი თანამდებობებიდან წასულ პიროვნებებს.

იქნებ, ასე დავარღვიოთ 70-წლიანი სტერეოტიპი — ყოფილს ჩვენს გვერდით ადგილი არა აქვს.

ჩვენი სტუმარია იუსტიციის ყოფილი მინისტრი **ვიქტორ შარაშენიძე**.

— ორ წელზე მეტია, თქვენ თითქმის არ ჩანხართ რესპუბლიკის პოლიტიკურ და სამართალდამცავ ორგანოთა ასპარეზზე. რა არის ამის მიზეზი, როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება?

— მინისტრის თანამდებობიდან გადავდექი 1990 წლის ნოემბერში. 7 თვის განმავლობაში „ვისვენებდი". შემდეგ მეგობრული ხელი ისევ მშობლიურმა უნივერსიტეტმა გამომიწოდა.

— როგორ აფასებთ რესპუბლიკის ცხოვრებას უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში?

— შევეცდები ობიექტური ვიყო, მაგრამ პასუხში შესაძლოა სუბიექტური განწყობაც გაერიოს. მომიტევეთ. მიტევება დღეს ხომ ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკის დონეზეა აყვანილი. პირადად მე რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ძალიან მძიმე და რთული, დავძლიე თავმოყვარეობაც, არ მოვერიდები ამ სიტყვას — ამბიციებიც, და თუ ვინმეს უნებლიედ გული ვატკინე, ვეახლე და ბოდიშიც მოვუხადე. ეს რაიმე შიშის გრძნობა კი არა, შინაგანი განწმენდის ცდა არის, ასე მოვემართე მიტევებისაკენ ქადაგების ტალღაზე.

ბოლო ორი წელი საზოგადოებრივ ცხოვრებაში იყო დიდი იმედებისა და მათი კრახის, შემდგომ კი კვლავ იმედების გაჩენის და... სოციალური სიდუხჭირე ხალხს პოლიტიკურ წარმატებებს ავიწყებს ამჟამინდელ განწყობას უკვე შეშფოთების ელემენტებიც შეერია. ქართველების გენეტიკური ტემპერამენტი ვერ ეგუება ნელ სვლას. პირადად მე რწმენით შევყურებ ერის უახლოეს მომავალს.

უკანასკნელ პერიოდში საერთაშორისო ასპარეზზე მიღწეულმა წარმატებებმა მავანს და მავანს „ქართული პოლიტიკური აზროვნების" თაობაზე მსჯელობის საფუძველი მისცა.

ბატონ ედუარდ შევარდნაძის უნიკალური პოლიტიკური აზროვნება, წინათგრძნობა, ურთულეს ლაბირინთებში გზის გაგნების საოცარი უნარი, კი ბატონო, ქართველი კაცის აზროვნებაა, მაგრამ მარტოოდენ შევარდნაძისეულია, იგი ქართულ ეროვნულ აზროვნებად იქცევა მაშინ, როდესაც ერის და პარლამენტის უდიდესი უმრავლესობა გაიზიარებს, მდგრადი გახდება, სისტემური ხასიათი მიეცემა.

მე ბედმა მარგუნა ვყოფილიყავ უშუალო მონაწილე ბატონ ედუარდის პოლიტიკური აზროვნების და ნამოქმედარის აღიარების აქციისა. 1990 წლის ნოემბრის დასაწყისში რუსეთის, ყაზახეთის და საქართველოს იუსტიციის მინისტრები გერმანიაში ვიმყოფებოდით. გერმანიის იუსტიციის მინისტრის იმდროინდელმა შტატსმდივანმა ბატონმა კლაუს კინკელმა 9 ნოემბრის სამთავრობო მიღება-ვახშამზე მოწვევა გადმოგვცა, რომელიც გერმანიის გაერთიანების საბოლოო აქტის ხელმოწერას ეძღვნებოდა. მიღებას უცხოელი პოლიტიკური მოღვაწეები, დიპლომატები და ჟურნალისტები, აგრეთვე გერმანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელები და საქმიანი წრეების გავლენიანი წარმომადგენლები ესწრებოდნენ. „ძლიერნი ამა ქვეყნისა" მოკრძალებული ტაშით მიაგებნენ დარბაზის კიბეზე გამოჩენილ ჯერ ბატონ დიტრიხ გენშერის და შემდეგ ბატონ ჰელმუტ კოლის მრავალრიცხოვანი ამალითურთ გამოჩენას. ხოლო როდესაც შემოსასვლელში ბატონი ედუარდ შევარდნაძე გამოჩნდა, დარბაზი ოვაციებმა შეძრა, ყველა თეთრ მარმარილოს კიბეს მიაწყდა, პირადად მისალმების, ავტოგრაფის მიღების თუ გასაუბრების სურვილით, ამ საზოგადოების „თავაზიანობა" იმდენხანს გაგრძელდა, რომ ვერც კი შეამჩნიეს ბატონ მიხეილ გორბაჩოვის შემოსვლა. იმასაც ვიტყვით, რომ მიუნსტერში, ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის მიწის საქვეყნოდ ცნობილ მუზეუმის „მშვიდობის დარბაზის" ინტერიერის მხოლოდ შემავსებელი ვერცხლის მამალი-თასი გერმანელთა რელიქვიად იქცა მას შემდეგ, რაც ამ თასიდან ბატონმა ედუარდმა (რა თქმა უნდა, სიმბოლურად) მშვიდობის სადღეგრძელო შესვა.

დიახ, ეს ყველაფერი მახსენდება და გიამბობთ, იმ აზრის გამოსათქმელად, რომ ავტორიტეტს, რომლის სიმხურვალეს ვეფიცხებით, გაფრთხილება სჭირდება.

— სამართალდაცვ ორგანოებზე და მათ ხელმძღვანელებზე რას იტყვით?

— ისინი უაღრესად რთულ ვითარებაში საქმიანობენ. რა თქმა უნდა, შეიმჩნევა მათი ხარვეზებიც, მაგრამ სწორი გზა აქვთ აღებული. დღევანდელ პირობებში მათ მეტი დახმარება, უფრო სწორად, გაგება ესაჭიროებათ საზოგადოებრიობის მხრიდან.

დღეს მთავარი მაინც სამართლებრივი პრობლემებია. მაგალითად, მარტო კანონების მიღება როდი მაქვს მხედველობაში. აუცილებელია მათი ხორცშესხმა. ნორმალური მუშაობაა საჭირო, რათა განვამტკიცოთ ეკონომიკა, დავიცვათ ადამიანის უფლებები, ვაშენოთ სამართლებრივი სახელმწიფო. სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება საბჭოური ტრადიცია და სახელმწიფოს მხრივ ყურადღების ცენტრშია სისხლის და სამოქალაქო სამართლის პრობლემები, ხოლო სამეურნეო სამართლის საკითხები კვლავ მეორე პლანზეა. მე ჩემს თავზე გამოვცადე ის უხერხულობანი, რაც სამეურნეო, საბანკო თუ საფინანსო კანონმდებლობის ცოდნა-გამოყენებას ეხება.

აუცილებლად მესახება საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის, მისი პრაქტიკის, აგრეთვე ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მონაცემების ავტომატიზებული ბანკის შექმნა. ეს კი დღის წესრიგში აყენებს შედარებითი კანონმცოდნეობის ინსტიტუტების წარმოშობას, სამართალმცოდნეთა ახალი მიმდინარეობის დაბადებას, ქვეყნებს შორის კავშირების ჰორიზონტალური თვითრეგულირება სრულად შეესაბამება ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებს, მაგრამ იგი ქმედითი გახდება მხოლოდ ინფორმაციული გაცვლებით. ეს ხელს შეუწყობს ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირების ახალი სისტემის, იურიდიული და ფიზიკური პირების სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივი რეჟიმის დამკვიდრებას.

უნდა დაჩქარდეს რესპუბლიკაში სასამართლო რეფორმის გატარებაც. საინტერესო გამოცდილება შეიძლება მივიღოთ გერმანიის მაგალითზე. ეს ქვეყანა წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს კლასიკურ ნიმუშს, რომელმაც ამას საოცრად მოკლე დროში მიაღწია ტოტალიტარული რეჟიმის გაუქმების შემდეგ. იქ ნებისმიერ სახელმწიფო ჩინოვნიკს, ბიზნესმენს თუ რიგით მოქალაქეს სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი მთელი წყება ჭეშმარიტებებისა, მათ შორის „სასამართლოზე ზევით მხოლოდ ცაა არის".

— თქვენ იურისტთა მსოფლიო ასოციაციის წევრი ხართ. რას წარმოადგენს ეს ორგანიზაცია და თქვენ როგორ მონაწილეობთ მის საქმიანობაში?

— ასოციაცია არასამთავრობოა. ცენტრი ვაშინგტონშია. საქართველოდან ორნი, დავით ჰიჭინაძე და მე გახლავართ მისი წევრები. ადრე მისი წევრი და, ვგონებ, ვიცე-პრეზიდენტიც, ცნობილი ქართველი იურისტი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ბატონი ვიქტორ ჩხიკვაძე იყო. ყოფილი სსრ კავშირიდან ამ ასოციაციაში გაწევრიანების პატივი ხუთიოდე იურისტს თუ ხვდა.

1991 წელს გახლდით ბარსელონაში. რესპუბლიკის იურისტთა კავშირის შუამდგომლობით სპონსორობა თბილისის ლინოლეუმის ქარხანამ გამიწია. ყოველთვის მადლიერების გრძნობით ვიხსენებ ამ კოლექტივს — უახლესი უცხოური ტექნიკით და ტექნოლოგიით აღჭურვილს, მაგრამ სამწუხაროდ უნედლეულოდ დღეს გაჩერებულს. ბარსელონაში სსრ კავშირის კონსულის ბატონ ვლადიმერ ჩხიკვაძის დახმარებით გავიცანი საქმიანი წრეების გავლენიანი პირები, მათ შორის საქართველოდან 13 წლის ასაკში წასული საჩხერელი ებრაელი მალხაზ თეთრუაშვილი, რომელსაც დიდი სურვილი ჰქონდა თავისი წვლილი შეეტანა მიწისძვრით დაზარალებული საჩხერის აღდგენაში, მაგრამ რესპუბლიკის იმდროინდელი მთავრობის მომეტებულ მერკანტილურ სურვილებს წააწყდა მაშინ. სპონსორს ჩამოვუტანე, ხოლო მრეწველობის სამინისტროს გადავეცი საინტერესო წინადადებები, პროექტები, შესაბამისი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებებით. ესპანელ ბიზნესმენებს მხოლოდ ერთი პირობა აწუხებდათ — პოლიტიკური სტაბილურობა, რის გარანტიასაც, რა თქმა უნდა, მე ვერ მივცემდი.

წელს ოქტომბერში ფილიპინებზე, მანილაში ვარ მიწვეული.

ესაუბრა
გივი ჩიქვინიძე.

ფირმა LGV

გთავაზობთ აქციებსა და ობლიგაციებს

ერთი აქციის ნომინალური ღირებულება 1000 მანეთია. თქვენს მიერ აქციებში გადახდილი თანხა გადაყვანილი იქნება აშშ-ის დოლარებში შეძენისას ოფიციალური კურსის მიხედვით.

წლიური დივიდენდი — 30 პროცენტი. იგი გაიცემა მანეთებში, იმ დროისათვის დოლარის ოფიციალური კურსის შესაბამისად.

მაგალითად, თუ დოლარის ფასი 500 მანეთია, 10000 მანეთის ღირებულების აქციაში შესაბამისად ჩაიწერება 20 დოლარი. წლიური დივიდენდი ამ შემთხვევაში 6 დოლარის ტოლია. თუ ერთი დოლარის ფასი, მზარდი ინფლაციის პირობებში გახდა 2000 მანეთი, მას შეესაბამება წლიური დივიდენდი (სარგებელი) 12000 მანეთი. ასევე გაიზრდება აქციის ღირებულება 40 000 მანეთამდე.

ობლიგაციის ღირებულება აგრეთვე 1000 მანეთია. ზემოთ აღნიშნული პირობები და მაგალითი ვრცელდება ობლიგაციებზეც. ობლიგაციები თამაშდება წელიწადში ერთხელ უმაღლესი მოგებით 5 მილიონი მანეთი.

აქციების და ობლიგაციების შეძენა შეიძლება როგორც ნაღდ ანგარიშზე, ასევე გადარიცხვით. ობლიგაციების დივიდენდი 20%-ია.

როგორც ხედავთ, თქვენი დანაზოგი ჩვენი ფირმის ფასიან ქაღალდებში საიმედო თავშესაფარს პოვებს და გეძლევათ შანსი გახდეთ მილიონერი!

ფირმა LGV

ავეჯის საწარმო ამზადებს თანამედროვე დიზაინის სხვადასხვა დასახელების კომფორტულ ავეჯს — „გორკა", „დეხაუ", საძინებელი გარნიტური, რბილი ავეჯი, ტელევიზორის მაგიდა.

ფირმა LGV

ქიმიური საწარმო გთავაზობთ გამორჩეული თვისებების მქონე წებოს:
წებო „ჰერმეტიკი" აწებებს პარკეტს, ლინოლეუმს, ხეს, ლითონს. იგი წარმატებით გამოიყენება ხვეული წერტილების ჰერმეტიზაციისათვის.
წებო „უნივერსალი" საუკეთესოა ტყავ-ფეხსაცმლის წარმოებაში.

ფირმა LGV

დიზაინის საწარმო გთავაზობთ:

სარეკლამო ფარების დაყენებას შენობებზე, ავტომაგისტრალებზე, ქალაქის პრესტიჟულ ადგილებში.
მაღაზიების, ოფისების, სხვა საზოგადოებრივი თუ გასართობი დაწესებულებებისთვის სარეკლამო ფირნიშების, ექსტერიერებისა და ინტერიერების დაპროექტებას და მათ განხორციელებას.
სასაქონლო ნიშნების, ემბლემების დიზაინს.

ფირმა LGV

გამაჯანსაღებელი კომპლექსი თბილისის ზღვაზე სასიამოვნო და მრავალფეროვან დასვენებას გპირდებათ: ფინური აბანო „საუნა", მასაჟის სალონი, დასასვენებელი ოთახები, ბარი-რესტორანი...
გვეწვიეთ, კმაყოფილი დარჩებით!
ფირმა VGL-ს კომერციული ცენტრი ფირმებსა და სხვა სავაჭრო დაწესებულებებს თავაზობს ჰოლანდიურ კვების პროდუქტებს, კერძოდ:
1. მაღალკალორიულ ქათმის ფეხებს პაკეტებში;
2. უნალექო და ნატურალურ ყავას.
გაცემა წარმოებს თბილისში 10 აპრილის შემდეგ.

ტელეფონი: 99-82-87; 99-82-74; 99-82-02; 87-11-81.
თბილისი. კანდელაკის 27.
შეგიძლიათ მოგვმართოთ ყოველდღე 9-დან 18 საათამდე.

LGV

სუკმა გამსახურდიას ქვეცნობიერებაში მამის ადგილი დაიკავა

„ვამბობთ გამსახურდიას, — ვგულისხმობთ საქართველოს. ვამბობთ საქართველოს — ვგულისხმობთ გამსახურდიას" — ეს ხომ ბოდვაა! ვაი რომ, ეს ასე იყო! რა კარგია, რომ ეს... დამთავრდა? ფსიქოლოგებთან დიმიტრი ოლშანსკისთან და ვალერი ბუშინთან ერთად შევადგინეთ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ფსიქოპოლიტიკური პორტრეტი.

ლაბორატორიის გამგე
კირილ სვეტიცკი

დ. ოლშანსკი: გამსახურდიას პოლიტიკური ბიოგრაფია მხოლოდ საქართველოს შინაპოლიტიკურ წინააღმდეგობათა ან თბილისსა და მოსკოვს შორის ძალთა ბალანსის ასახვა როდია. მნიშვნელოვანწილად ეს უტრაგიკულესი პიროვნების შინაგან კონფლიქტთა გამოვლენაა. ის, რომ გამსახურდიას პიროვნების საფუძველს ჰქმნის კომპლექსების და მრავალგზისი ტეხილის ხლართი, ეჭვს არ იწვევს. გარეგნულად პირველ პლანზე გამოდის **სუკთან** ურთიერთობები. ამჟამად, ეს გზა ცნობილია: „კომპეტენტური ორგანოების" მიერ ძლეული მებრძოლი, რომელიც საჯაროდ ითხოვდა შეწყალებას, სამართალდამცავი მოძრაობის ლამის მოღალატე, ასეთ შინაგან რღვევას შეუძლებელი იყო, კვალი არ დაეტოვებინა. ამის შედეგად, წარმოიქმნა გაორებული ცნობიერება: „ჩვენები" და „სხვები" აირია ერთმანეთში. გახლეჩილი „მე" განწირული იყო იმისათვის, რომ ებორგა თავისი თავის მოსანახად, დაიბნა სიყვარულისა და სიძულვილის ძიებისას. აქ, ჯერ კიდევ ფროიდი წერდა, რომ ადამიანის შინაგანი კონფლიქტების წყაროა ბრძოლა ორი ლტოლვისა — ესენია: ლტოლვა შექმნისაკენ (რომელიც დაკავშირებულია სიყვარულთან, ეროსთან) და ლტოლვა ნგრევისაკენ, დესტრუქციისაკენ, სიკვდილისაკენ (რომელიც დაკავშირებულია თანატოსთან*) და თუ ადამიანი შინაგან ჰარმონიას ვერ პოულობს, მაშინ ის განწირულია იმისათვის, რომ თავის ქმედებაში უწყვეტად მოაყოლოს ერთმანეთს უკიდურესობები. აი, მისი ბიოგრაფიის ზიგზაგები: როცა პოლიტიკოსს ამგვარი წინააღმდეგობები დარევს ხელს, მისი შინაგანი კონფლიქტების მსხვერპლი ხდება ათასობით და მილიონობით ადამიანი. სწორედ ისინი უყვარს და სძულს ერთდროულად და ხანდახან გაუცნობიერებლად მათზე აპროეცირებს თავის პრობლემებს, და მაშინ გარკვეული დროის შემდეგ ამ ადამიანებს არ ძალუძთ გაიგონ, ვინაა მათ წინაშე: მეგობარი თუ მტერი, **მხსნელი** თუ **დამქცევი**, ფროიდის ენით თუ ვიტყვით, სიმბოლური **მამა** თუ **მამის მკვლელი**.

მაგრამ გამსახურდიას პიროვნების კომპლექსთა სიღრმისეული ფესვები მხოლოდ ლუბიანკის სარდაფებთან არაა დაკავშირებული. აქ საჭიროა, ჩაღრმავება ჩვენი პერსონაჟის ბავშვობაში, კერძოდ, მამასთან მის ურთიერთობებში. თვით გამსახურდია ჰყვება ერთ ვერსიას, მისი მოწინააღმდეგენი კი — სხვას. მაგრამ, მთლიანობაში ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს ურთიერთობები მარტივი ხასიათისაა. ერთის მხრივ, თითქოს ეს იყო მემკვიდრე, მამის საქმის განმგრძობი. მეორე მხრივ, — ხანდაზმული თბილისელები ჰყვებიან, რომ მამა ზოგჯერ, მიმართავდა რა გამვლელებს, ძალზე არასახარბიელოდ ლაპარაკობდა თავის ვაჟიშვილზე და მამასთან მის ცუდ დამოკიდებულებაზე, ლამის კრულავდა ზვიადს. ფსიქოანალიტიკურ ტერმინოლოგიაში ვაჟიშვილის გაორებულ დამოკიდებულებას მამასთან ჰქვია ოიდიპოსური კომპლექსი: დაფარული მეტოქეობა მამასთან, შეუცნობელი ეჭვიანობა და სიძულვილიც კი მისდამი, მამის ადგილის დაკავების წყურვილი. ამასთან დაკავშირებით, დროული იქნება, გახსენება უცნაური ეპიზოდისა, რომელიც მოხდა მამის სიკვდილის შემდეგ: ზვიადს, იმჟამად პოლიტპატიმარს, მამის მნიშვნელოვანი ქონება დაუმტკიცდა მემკვიდრეობად. ამ ქონების შემფასებელი გამსახურდიას ოპონენტები შთამბეჭდავ ციფრებს ასახელებენ და გაოცებულნი არიან: როგორ შეიძლო უფლებააყრილ პატიმარს ასეთი მემკვიდრეობა მიეღო? როგორც ჩანს, არც ამჟამად გამოვიდოდა სუკის გვერდის ავლა, სუკისა, რომელიც ზვიადს თითქოს დაეხმარა ოიდიპოსის კომპლექსის რეალიზებაში, თუნდაც ქონებასთან კავშირში, იგულისხმება, რომ ამას არ ძალუძდა შინაგანი ფსიქოლოგიური პრობლემების მოხსნა — უფრო ისეთი პირი უჩანს, რომ ამან ეს პრობლემა კიდევ უფრო გააღრმავა.

ვ. ბუშინი: მამასთან ურთიერთობებში სიძნელეები შეიძლება დაპროეცირდეს სამსახურში ხელოვნებასთან, ურთიერთობებში კოლექტივთან, სახელმწიფოსთან და საზოგადოებასთან, რომელშიც ის ცხოვრობს.

დისიდენტობა უმეტეს შემთხვევაში სულის მდგომარეობაა, ადამიანი რეალობას სხვაგვარად, უმრავლესობისაგან განსხვავებულად აღიქვამს და შეცნობილად (ან შეუცნობლად) ცდილობს შექმნას ისეთი სიტუაციები, რომლებშიც იძულებულია გამოავლინოს თავისი დაპირისპირება საზოგადოებასთან.

ა. სვეტიცკი: მე მგონია, რომ დემოკრატიული პოლიტიკოსების პირველ ტალღაში მეტისმეტად დიდი იყო ამგვარი დისიდენტების წილი — მათ შორის ყოფილ სკკ წევრთა შორისაც. ის, რასაც ამომრჩევლები იწონებდნენ, როგორც „კარგ მებრძოლურ თვისებებს", სინამდვილეში ხშირად მხოლოდ პირადი კომპლექსების რეალიზაციის წარმოადგენდა. საქართველოში კი დაკომპლექსებულობის ძალამ მიაღწია თავის ლოგიკურ დაგვირგვინებამდე, აბსურდამდე, პრეზიდენტის სავარძლამდე. ...

ვ. ბუშინი: ზვიად გამსახურდია ასეთი დისიდენტის ტიპიური ნიმუშია, ესაა ნევროპათი, რომელიც ცდილობს, თავი გადაირჩინოს თავისი არასრულფასოვნების კომპლექსისგან. ცდილობს დადგეს სხვებზე მაღლა, გახდეს დიქტატორი. შელახულმა ძალაუფლების კომპლექსმა ადამიანი ნამდვილად შეიძლება მიიყვანოს დისიდენტობამდეც და სპეცსამსახურებთან თანამშრომლობამდეც, ზოგჯერ, კი ერთდროულად ერთთანაც და მეორესთანაც.

დ. ოლშანსკი: ფსიქოლოგიურ გააზრებაში მართლზომიერი იქნება, იმის დაშვება, რომ სუკმა ზვიადის ქვეცნობიერებაში, მამამისის ადგილი დაიკავა. იმდროინდელ საქართველოში სუკი ესაა, ხელქვეითები შევარდნაძისა, რომელიც თავიდან ამ სუკს ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი რესპუბლიკის პარტიული ლიდერი გახდა. სწორედ ამიტომ, უკანასკნელი დროის გამსახურდიას პოლიტიკურ ქმედებათა მნიშვნელოვან ნაწილს განსაზღვრავდა ხან აშკარა, ხან ფარული პაექრობა შევარდნაძესთან. ურთულესი წინააღმდეგობებით გამოირჩევა გამსახურდიას ურთიერთობები მოსკოვთან, გამოყოფის უკომპრომისო ხაზი, შეუძლებელია მის პირად ბედთან არ იყოს დაკავშირებული. ის სწორედ მოსკოვში, ლუბიანკის სარდაფებში დამარცხდა როგორც პოლიტიკური მებრძოლი და როგორც პიროვნება. აქედან იღებს სათავეს მისი სიძულვილი მოსკოვისადმი, ამიტომ არ სურს მას იქ ჩასვლა. (გამსახურდიამ არაერთხელ განაცხადა დეკლარაციულად, რომ შეუძლებელი იყო მისი ჩასვლა დედაქალაქში, ვიდრე გორბაჩოვი არ აღიარებდა, საქართველოს დამოუკიდებლობას). „ზეკის" ცხოველური შიში შეუძლებელი იყო პოლიტიკოსის პოზიციაზეც არ პროეცირებულიყო. ფსიქოანალიტიკური თვალსაზრისით, ესაა ტიპიური ტრანსფერი, საკუთარი სიღრმისეული კომპლექსის გაუცნობიერებელი გადატანა სახელმწიფო შორის ურთიერთობაზე.

დრომ დაადასტურა

ვ. ბუშინი: ამ ტიპის პიროვნება ყოველთვის ცდილობს გარე სამყაროსთან თავისი ურთიერთობები ისე ააგოს, რომ ჰქონდეს საზოგადოებასა და სახელმწიფოსთან, ესე იგი **მამასთან** თავისი დაპირისპირების გამოვლენის (ან დემონსტრირების) შესაძლებლობა. შელახული ძალაუფლების კომპლექსი კი ჰქმნის ილუზიას, თითქოს ეს პიროვნება ახდენს მნიშვნელოვან გავლენას საზოგადოების ბედ-იღბალზე (სახაროვის მსგავსი პიროვნების რეალური ზეგავლენის მაგალითები კი უაღრესად იშვიათია). და, აი, ასეთი დისიდენტი სახელმწიფოს მეთაური ხდება, ადამიანი თითქოს გახლეჩის მდგომარეობაშია: ერთის მხრივ, ის თითქოს უნდა დაუპირისპირდეს მამა-სახელმწიფოს, მეორეს მხრივ, ის თავად ხდება ამ მამის განსახიერება. და დაპირისპირება გადაინაცვლებს გარე სამყაროში, — ის მოსკოვსა და საზღვარგარეთს უპირისპირდება.

ა. სვეტიცკი: როგორ ფიქრობთ, თვითონ გამსახურდია იცნობიერებდა თუ არა თავისი ბუნების სილამაზისეულ ფსიქოანალიტიკურ წინააღმდეგობრიობას?

დ. ოლშანსკი: არ იცნობიერებდა და, ფროიდის თანახმად, არც შეეძლო გაეცნობიერებინა. ამგვარი მტანჯველი კომპლექსები, ჩვეულებრივ, გაუცნობიერებლად განიდევნება გარეთ. აქ მოქმედებს მექანიზმი პროექციისა, როცა საკუთარი არასასურველი თვისებები ოპონენტებს მიეწერებათ. გავიხსენოთ: როცა ოპონენტები გამსახურდიას დიქტატორს უწოდებდნენ, ის არაერთგზის „უბრუნებდა" მათ ამ ბრალდებას, ხან ამ მოწინააღმდეგეთა „დიქტატორულ ზნე-ჩვეულებაზე" ლაპარაკობდა, ხან კი მათ სტალინიზმში ადანაშაულებდა.

ოდესღაც დათრგუნულ ადამიანს არ შეუძლია არ ისწრაფოდეს სასტიკი საშუალებებით, ძალის მეოხებით თვითდამკვიდრებისაკენ. ესეც ციხის ფსიქოლოგიიდან მოდის. ამ ტიპის ავტორიტარული პიროვნების პარადოქსი ისაა, რომ ეს პიროვნება სისასტიკის საშუალებით ცდილობს საკუთარი სიღრმისეული შიშის დათრგუნვას. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია საქართველოსათვის, სადაც მასობრივი ცნობიერება ტრადიციულად შეიჩვია პოლიტიკოსის სისასტიკეს, — გავიხსენოთ ქართველი სოსო ჯუღაშვილი, რომლის კულტიც დღემდე მსჭვალავს ქართველი ხალხის გარკვეულ ნაწილს. სტალინის პარანოიალობა თითქმის დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს. მასაც უამრავი კომპლექსი ტანჯავდა.

ა. სვეტიცკი: თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ გამსახურდია ცდილობდა სტალინს ჰგვანებოდა?

დ. ოლშანსკი: რასაკვირველია. თუმცა, მისი პიროვნული კალიბრი უფრო კნინი აღმოჩნდა. მაგრამ რა ვიცით, გამსახურდიას განმგებლობა უფრო მეტხანს რომ გაგრძელებულიყო, ახალ სტალინს ხომ არ მივიღებდით? საქართველოს პრეზიდენტს აგვისტოში შემთხვევით კი არ დაუჭერია მხარი „გეკაჩეპისტების". საინტერესო პარალელია: ტროცკი სტალინს ეძახდა მშიშარას, რომელიც თავისი შიშის დაძლევას რეპრესიებით ცდილობდა. და გამსახურდიას მშიშრობასაც ადასტურებენ, მისი ყოფილი თანამოაზრე დისიდენტები, რომლებიც მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებად იქცნენ.

ა. სვეტიცკი: ლაჩარი და დაკომპლექსებული პიროვნება, რომელიც ძალაუფლებასაა ჩაბღაუჭებული... დიდად უსიამოვნო სანახაობაა... ასეთი პიროვნება როგორ აირჩიეს პრეზიდენტად?

დ. ოლშანსკი: გამსახურდიას პოპულარობის ფსიქოლოგიური სათავეები, შესაძლოა, უმთავრესი საკითხი იყოს. მას, როგორც დისიდენტს, როგორც პოლიტიკოსს, ინტელიგენციის ვიწრო წრე იცნობდა. და ამ წრემ იცოდა მისი ნამდვილი ფასი. მაგრამ გამსახურდიას მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ჰქონდა სასოფლო რაიონებში, ამ მხრივ, ყველაფერი საკმაოდ ნათელია: ნეოსტალინური ტიპის (მიუხედავად დემოკრატიული რიტორიკისა) ლიდერი სავსებით შეესატყვისებოდა ტრადიციულ წარმოდგენას **ბელადზე, მამაზე**, რომელსაც ძალუძს ხალხის ყველა პრობლემის გადაჭრა. გამსახურდიას მასობრივი მხარდაჭერა უზრუნველყვეს ქალებმა, უზრუნველყო მოძრაობამ „შავი კოლგოტებისა", როგორც სარკასტულად მონათლეს იგი ზვიადის მოწინააღმდეგეებმა. ქალთა ამ ნაწილში გამსახურდიას პოპულარობა აიხსნება არა მარტო გარეგნული მიმზიდველობით და, მით უმეტეს, არა მისი პოლიტიკური პროგრამის დამაჯერებლობით, ფსიქოანალიტიკური თვალსაზრისით ეს იმავე ოიდიპოსის კომპლექსის მეორე მხარეა: მამის სიძულვილს ყოველთვის თანსდევს დედის სიყვარული; მისი დაცვის ძიება. ოღონდ, იმავდროულად — ინცესტის** ფარული წყურვილითურთ. ქალთა აუდიტორიის წინაშე გამსახურდიას გამოსვლათა ანალიზი მკაფიოდ წარმოაჩენს, რომ ის ცდილობს, თითქოს, ერთდროულად ორი თვისებით წარმოდგეს. ერთის მხრივ, ისაა მხარდამჭერის მაძიებელი **შვილი**, მეორეს მხრივ — **მამაკაცი**, რომელიც არ მალავს აუდიტორიის დამორჩილების თავის სურვილს. და ამ შემთხვევაში, ფსიქოანალიტიკოსი გვერდს არ აუვლიდა გამსახურდიას ულვაშებს. ფროიდის თანახმად, მამაკაცის სახეზე მეორადი სქესობრივი ნიშნების (წვერი, ულვაში) დემონსტრაცია აღნიშნავს მისი მამაკაცური ღირსების გაზვიადებისკენ გაუცნობიერებლად სწრაფვას. თვალნათლივაა გამოხატული კიდევ ერთი კომპლექსი: თავის თავით ტკბობის კომპლექს ფსიქოანალიტიკოსს ისიც ღრმ ფიქრებს აღუძრავს, რომ ბოლ ხანს, რესპუბლიკის პრეზიდენ არ მალავდა თავის სიმპათიებ გამოთქმებისადმი „უბადლო ზვ ადი", „დემოკრატიის მაჩვილი როგორც წესი, ქალთა აუდ ტორია განსაკუთრებით იგუებ მიმართვის ასეთ მანერასაც ასეთ გარეგნობასაც, სხვათა შ რის, განსხვავებით საკმაოდ მ ღალი ინტელექტუალური დონ მამაკაცთა აუდიტორიისაგან, რო მელშიც ასეთი რამეები სწრაფა იწვევს მეტოქეობას, შეგნებ და რომელსაც ასევე სწრაფა შეუძლია აღტაცებიდან სიძულვილზე გადაერთოს.

ვ. ბუშინი: მაგრამ სიმბოლუ მამასთან თავისი თავის გაიგ ვება გამსახურდიასთან მერყევ ხასიათის მოვლენაა. ის იძულებ ულია, ამტკიცოს, „დიდ ოჯახში ძალაუფლებაზე თავისუფლებამო სილება და ეს უმტკიცოს არა იმდენად ოპოზიციას, რამდენად თავის თავს. აქედან მოდის მის თავის თავში დაურწმუნებლობა დ პირადი დიქტატურისკენ პათოლოგიური სწრაფვა.

ა. სვეტიცკი: ზვიად გამსახურდიას ფსიქოლოგიურ ტიხილებს ახლა მიემატა კიდევ ერთი, აგრე საწადელი ძალაუფლებისაგან უხეშად გადაყენები გამოწვეული განცდა. ესაა ძლიერი შოკი, რომელსაც ასეთი რთული პიროვნება ჩქარა ვერ მოერევა. მთავრობის სახლიდან გამოძევებულ პრეზიდენტს ფსიქოლოგიურად არ ძალუძს ვინმეს შეუტიოს. შოკმა ის უნდა აიძულოს, ჩაიკეტოს თავის თავში, თავის შინაგან სამყაროში და ახლებურად გაიცნობიეროს თავისი თავი მეორე სამყაროში: სულიერი ცხოვრების უნარის მქონე პიროვნებად. **სულისა** და **ინტელექტის** ძალაუფლება პოლიტიკოსის ძალაუფლებაზე ნაკლები სულაც არ არის.

ზვიადი მაინც ჩამოაგდეს და ის გაიპარა, გაიპარა და ქართველი ხალხის ფული გაიტაცა. მოვულოცოთ ერთმანეთს დემოკრატიის გამარჯვება.

ოდესღაც რუსეთის იმპერიამ იგემა ტოტალიტარიზმის დარტყმა და მსოფლიოს ხალხებს დაანახა, თუ როგორ არ შეიძლება ცხოვრება. ახლა საქართველოში პირველად მარცხდება, იმსხვრევა ტოტალიტარიზმის სახელმწიფო, ახლა მის თავს აქვს დამტყდარი გარდამავალი ეტაპის სისხლიანი ტრაგედია.

დღეს ეს უცხოეთის მაგვარი რაღაცაა, მაგრამ სისულელე იქნებოდა ვიფიქროთ, რომ „ახლო უცხოეთის" ტრაგედია მხოლოდ უცხოეთს ეხება. მეტისმეტად ჩქარა დავიწყეთ იმის დავიწყება, რომ ერთი და იმავე წითელი ფერის საუფლოდან ამოვიზარდეთ. და ახლობელი ხალხის ტრაგედია ისაა, რაც „ხელსაყრელ" გარემოებათა დამთხვევისას, პრინციპში, ჩვენც შეიძლება დაგვემართოს.

ზვიად გამსახურდიას ამ სახის დამახსოვრებაა საჭირო. შეეცადეთ, ყურადღებით მიმოიხედოთ ირგვლივ, ზოგიერთ დღეს მოქმედ პოლიტიკოსს ხომ არ მიემატება ზვიადის პატარა ულვაშები?

მარტო ქალები კი არა, კაცებიც ხომ არ ემზადებიან სხვა რესპუბლიკებშიც ქართული „შავი კოლგოტების" ჩასაცმელად?

---

* თანატოსი — ძველბერძნული ღვთაება, სიკვდილის განსახიერება.

** ინცესტი — დედასთან სისხლის აღრევა.

გაზ. „სობესედნიკი", № 5, 1992 წ.

„კომსომოლსკაია პრავდა":

საქართველოს ექსპრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იმედოვნებს, რომ კვლავ დაიკავებს რესპუბლიკის პრეზიდენტის სავარძელს

მოსკოვი, 5 მარტი. (იტარ-ტასი). საქართველოს ექსპრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომელიც ჩეჩნეთშია განდევნილი, იმედოვნებს, რომ მალე კვლავ დაიკავებს საქართველოს პრეზიდენტის სავარძელს, წერს დღეს გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა". ასეთი გულდაჯერება გამსახურდიამ გამოთქვა ქალაქ გროზნოში, თავის სახლში, გაზეთის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში.

როგორც გამსახურდიამ თქვა, ხელისუფლების კრიზისი საქართველოში დღითიდღე ღრმავდება აფხაზეთის ომის გამო. და, როგორც ექსპრეზიდენტს მიაჩნია, ეს მის თანამოქალაქეებს გააგებინებს, თუ „ვინ ვინ არის".

ახლა გამსახურდია, როგორც თავად თქვა, ასრულებს პრეზიდენტის უშუალო მოვალეობებს: გამოსცემს ბრძანებულებებს, აანალიზებს საქართველოდან მიღებულ დაწვრილებით ინფორმაციას, ნიშნავს მინისტრებს, იყო ფინეთსა და შვეციაში.

„კომსომოლსკაია პრავდაში" გამოქვეყნებულ მასალაში „არ არის გამსახურდიას პირდაპირი სიტყვა, იგი არც მაგნიტოფონის ლენტზეა ჩაწერილი", აღნიშნავს შენიშვნის ავტორი. საქმე ის არის, რომ რაც შეეხება ინტერვიუს ჩანაწერს, იგი კორესპონდენტს ჩამოართვა მცველმა გამსახურდიას მეუღლის ბრძანებით. შემდეგ დაპატიმრების მუქარით მან „კომსომოლსკაია პრავდის" თანამშრომელს მოსთხოვა წერილობით მოეხადა ბოდიში ქმრისადმი იმ კითხვისათვის, რომელიც დაუსვა იმის თაობაზე, გროზნოში ცხოვრების საფასურს თბილისიდან წაღებული ფულით ხომ არ იხდითო. თავად ექსპრეზიდენტმა უარყო ეს „ხმები", აღნიშნა, რომ თავშესაფრის მიცემა ჩეჩნეთის რესპუბლიკის ჟესტია და ლაპარაკიც კი არ ყოფილა რაიმე ქირაზე. გამსახურდიას მეუღლის მოთხოვნა რომ შეასრულა, კორესპონდენტი ნახევარი საათის შემდეგ გაანთავისუფლეს, კასეტაც დაუბრუნეს, თუმცა ჩანაწერი წაშლილი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტაა თავდადებული,
ანუ ერი ბეწვის ხიდზე

ჭაკაკი ბელოვანი

დამფარნა ჩრდილით ღრუბელმან,
მნათობთ არენი ბნელითა:
მარიამ ბაგრატიონი

სხვაგანაც გაგვიხსენებია შეუპოვარი ხანოვანის სიტყვები, რომელთა სიმართლეც ახლად დადასტურდა ბოლო მოვლენებით, სოხუმის დაბომბვით, გრაჩოვის სალდაფონური ვიზიტით დამოუკიდებელი საქართველოს რეგიონებში.

ეს მაშინ, როცა საქართველოს მიღწეულ ღირსებას თანდათან აღიარებენ ორსავე ნახევარსფეროში. კიდევ დიდი ბრძოლა და ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რომ ჩვენი ძალა და სიმართლე ყველამ აღიაროს, როგორც თავის დროზე აღიარეს საქრისტიანოს ბურჯთა — დავითის და თამარის ძლევაი საკვირველნი.

დღეს ძლევისგან უფრო შორს ვართ, ვიდრე ოდესმე. წინ ბნელი გარესკნელია, ბნელის იქით ნათელი, მივაღწევთ იქ? ან როგორ მივაღწევთ და რა გზით?

გვეამაყება ყოველი ქართველი, რომელიც იქით კაფავს გზას — მებრძოლი იქნება, მეცნიერი, მწერალი, მეწარმე, პოლიტოლოგი, თუ ინჟინერი. გვეამაყება მით უფრო, რომ ცოტანი ვართ და ღრუბლივით მატულობს მტერი.

არაერთხელ გამომითქვამს პრესაში ჩემი და სხვათა გულისტკივილი იმის გამო, რომ მთელმა საქართველომ ვერ გაითავისა ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი, რაც აფხაზეთში წარმოებს, მაგრამ მთელი ერის ომია საკუთარი მიწისათვის; რომ მეტისმეტად ბევრი უსაქმური, ლოთი, ნარკომანი, ყაჩაღი დაძრწის თბილისის ქუჩებში, მხიარული სიმღერებითა თუ ლანძღვა-გინებით (უწინარეს ყოვლისა — საკუთარი დედის გინებით) გვარწმუნებს, რომ ეს არაა ერის ჯანსაღი ნაწილი, ასეთების ცნობიერება ყინულით შემოგარსულა და გულამდე ვერ აღწევს სამამულო დარდი; არ ფიქრობენ იმაზე, რა დღეში არიან აფხაზეთის მიწაზე, სანგრებში, ჭაობში მებრძოლი ბიჭები.

აი, ამის გამო გულისტკივილი არაერთხელ გამოხატეს ჭეშმარიტმა ვაჟკაცებმაც, ფრონტის ხაზზე რომ ათენ-აღამებენ, სველ პერანგებს გათოშილი ხელით წურავენ და გვიცავენ, იცავენ იმ ჭაბუკებს, რომელთა ინტერესთა სფერო ცეცხლმოკიდებულ სიგარეტებსა და არაყზე შორს არ მიდის.

არაერთხელ, თვით ომის დაწყებამდეც, გამომითქვამს აზრიც აფხაზეთის ქართველობისადმი, მოუწოდებია ერთიანობისა და გამოღვიძებისაკენ, რათა შეეცვალონ პათოლოგიური ვითარება, როცა 80 000 ექსტრემისტი აფსუა ბატონობს 250 000 ქართველზე. ამაოდ! სამწუხაროდ, ვითარება არ შეცვლილა, ისე გასჭდომია უმრავლესობას ძვალრბილში რაღაც შიში, მონური სულისკვეთება, რაც ათეული წლების განმავლობაში ცენტრიდან, თბილისიდან მიდიოდა. აღარ აღმოაჩნდათ ძალა, ენერგია, იარაღი, სულისკვეთება, რაც აუცილებელია გამარჯვებისათვის.

თვით ძმობის მოციქულების, აფხაზეთის მწერალთა ქართული გუნდი მხოლოდ მაშინ გამოეყო მოწამლულ აფხაზ კოლეგებს, როცა მათთან მუშაობა შეუძლებელი გახდა. როცა ერთ-ერთი ახალგაზრდა კავშირში მივიდა და ზენონ კალანდია იკითხა, ათიოდე აგრესორი „მწერალი" ლანძღვით ეცა და ლამის იქვე მოკლეს. შეიძლება, მკითხველო, ასეთ სტიმფალიდებთან შეთანხმებული მუშაობა? ნეტარ არიან მორწმუნენი, მე კი მგონია, ლაკერბაისნაირ მწერლებთან ძმობა, რუსთაველის პრემიის ფულს რომ ქართველთა წინააღმდეგ „საბრძოლო მოქმედებაში" ხარჯავს და თბილისში ჩამობრძანებას კი არ კადრულობს, რომ პრემიის საბუთი მიიღოს, — წყლის ნაყვად მიმაჩნია. არა ვარო თქვენი ძმა, უტიფრად აცხადებს, ან რად გვინდა ასეთი კაენის ძმობა?

რატომ გახდა შესაძლებელი, რომ ყოველმხრივ განებივრებული, პრივილეგირებული ექსტრემისტი აფსუების ეგზომ მცირერიცხოვანი გუნდი ბერზერკერული შეუპოვრობით ლამობს შეინარჩუნოს გაბატონებული მდგომარეობა 250 000 ქართველზე, ითხოვს გამოყოფას, სხვათა ძირძველ მიწაზე საკუთარი ტახტის დადგმას, საშველად კი ჩრდილოეთს მიმართავს, თითქოს მართლა გულზე ეხატოს! ეს რა ახალი ნაციზმია?! რა გაუგონარი გენოციდია! რა ჩაიდინეს გაგრაში? უსაფუძვლოდ დახვრეტილები, ვანდალურად წამებულნი, ცოცხლად დამარხულნი, დაკეპილი და ცელოფანში გახვეულნი; გვამებით ვაჭრობა... და ყოველივე ამის ჩამდენთა, შანიბოვთა, ნალჩიკში თავმოყრილ ფაფახიანთა პროტესტები რუსეთისადმი, რატომ არ ეხმარებითო აფხაზებს! მეტი დახმარება რა გნებავთ? სოხუმს ბომბავენ, მძიმე ტექნიკით ამარაგებენ, აძლევენ სატანურ ბურთულებს, რომლებშიაც ათასი გამანადგურებელი ნემსია და ამ საშინელი ბომბით ლამობენ მარად მშვიდობიან ქართველთა შემუსვრას? სად არის ღმერთი?

სადაა მიზეზები ჩვენი წარუმატებლობისა? გარდა იმპერიული ამბიციებისა, არის ბევრი სხვა გარემოებაც. ჩვენი ერის ნაწილის დაკნინება, შინაშლილობა, მხედრობის ნაწილთა შეუთანხმებელი მოქმედება, ყოყმანი, პოლიტიკური სიფრთხილე...

სამწუხაროდ, ჩვენ მხოლოდ ვითარების ფიქსაციის გამეორება შეგვიძლია, მოქმედება კი იმათ ევალებათ, რომელთა მისამართითაც ხშირად გაისმის საყვედურები: ომის დასრულება არ სურთო. ეს ქვათა ღაღადია.

გულის ბუხარი

რატომ არის ასე? რატომ მივიყვანეთ საქმე იქამდე, რომ სამაჩაბლოს ძირძველ მხარეს, სადაც ორასამდე ძველი ეკლესია გვაქვს, ოსები და რუსები აკონტროლებენ? ეს რა შეთანხმებაა? ან რატომ არ გრძნობს მთელი საქართველო, რომ ესაა სამამულო ომი და არა „ოსეთის" თუ აფხაზეთის კონფლიქტი? რატომ დაიარება აქ ამდენი უსაქმური ახალგაზრდა, როცა სოხუმთან ომია და საბავშვო ბაღებს ბომბავენ ვანდალები? რატომ არ იმართება დედაქალაქში პიკეტები, დემონსტრაციები, რატომ არ იგზავნება მეტი ცნობა და პროტესტი ყველა მხარეს? რატომ ვურიგდებით ცხინვალის დაკარგვას?!

სამაჩაბლოში „წესრიგის დასამყარებლად" ჩამოსულ ჟარისკაცს კი არა, ზოგ ქართველ მოღვაწეს და სანქტ-პეტერბურგიდან ჩამოსულ კეთილგანწყობილ ჟურნალისტსაც არ ესმის შიდა ქართლის კონფლიქტის არსი: „არ ვიცი, რაღაც მიწისთვის დავობენო!" — აცხადებენ უტიფრად. ნოვგოროდი, მოსკოვი, კურილის კუნძულებიც ხომ მიწაა! რატომ დავობენ უდიდესი იმპერიის მფლობელები ამ „რაღაც მიწებისათვის?".

ვერც პონტიუს პილატემ გაიგო, რაზე ედავებოდნენ ქრისტეს, „რომელი ბრალისთვის გმობდნენ მას". პილატეს ეპატიება, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით?

უზენაესისაგან სამოთხე გვერგო. ჩვენ უნდა დავიცვათ ის. უნდა დავიცვათ, თუნდაც მისთვის დავიწვათ, თორემ სკეპტიკოსები ხშირად გაიძახიან: სამაჩაბლო დაკარგულია, აფხაზეთსაც ვკარგავთ და აჭარასაც დავკარგავთო!

ოსთა ლტოლვა იმპერიისაკენ მომაგონებს იმავე პილატეს კითხვას: „ჯვარს ვაცვა თქვენი მეუფე?" „ჩვენ არა გვყავს სხვა მეუფე, კეისრის გარდა", — პასუხობდა ბრბო. აი, ის მეუფე ოსთა და აფხაზთა დღის ბაბურინია!

რატომ მოხდა ეს? უგუნურობის გამო. „კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისხმა ჰყო, ჰბაძვიდა იგი პირუტყვთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ" (ფსალმუნი, 48)... მაგრამ ჩოჩიევს და ჯიოევს არ გააჩნიათ ბიბლიის თარგმანი!

სწორად უთქვამთ, ყოველი უბედურება და ბოროტება უწიგნურობიდან მოდისო. განა სხვა ახსნა შეიძლება მოუძებნოთ არძინბას, აჩბას, შანიბოვის, და მათი დამქაშების მოქმედებას — სიცრუის, გაუტანლობას, სისასტიკეს, გენოციდს, პათოლოგიურ სიძულვილს, უმრავლესობის თავებზე ასვლის გიჟურ მცდელობას, მოლაპარაკების უარყოფას, ავადმყოფურ ცდას, რომ სხვაზე იბატონოს ტომმა, რომელსაც ათასწლეულის განმავლობაში არ აუშენებია ერთი ტაძარი, ხიდი, ბურჯი, ვერ შეუქმნია საკუთარი ანბანი და ზღვაზე ბატონობას იჩემებს, როცა ენაში არ გააჩნია ზღვისა და გემის სახელი (თუ არ ჩავთვლით „ამორეს", „ალოდკას"); რომელიც უმოწყალოდ მუსრავს იმ მოძმე ერს, რომელმაც ყველაფერი მისცა; განა ეს უწიგნურობის ნაყოფი არ არის? მაგრამ ვინც ასეთ სეპარატისტებს სიკეთის ნაცვლად მასობრივი მოსპობის იარაღით ამარაგებს, მის „წიგნიერებას" რა ვუწოდოთ?

• • •

ყველა ჯურის მტარვალს ზურგს უმაგრებს შინაური აშლილობა, ძმათა ხოცვა და ყაჩაღობა, რამაც ამაყი ერი საგონებელში ჩააგდო: თურმე რა ცუდები ვყოფილვართო! ვისაც ჰგონია, ტაძრის გზაზე ვართო და ჭაობის გზაზეა. ხომ საბრალოა, მაგრამ ორმაგად საბრალოა ის, ვინც ამას არ აღიარებს, წყენას გულში იხვევს და ცალკეულ შლეგთა სისასტიკისათვის მშობელ ერს წირავს..

განა პირადული წყენის დროა? ვიხსნათ ერი და მერე ვასწოროთ ძმებთან ანგარიში.

ჭეშმარიტად, მძიმე და უცნაური ჟამი დადგვიდგა. „მაღლა მთას მოდგა უცხო ფრინველი, უცხო ფრინველი, გადამთიელი". კავკასიონზე მიჯაჭვულმა ტიტანმა ღმერთებს ჩვენთვის ცეცხლი მოსტაცა. დღეს ბოროტი სვავები ცდილობენ, ჩაგვიქრონ ის ცეცხლი და კვლავ მიაჯაჭვონ პრომეთე თუ ამირანი.

ეს ხდება არა პატიოსანი რაინდული ომით, არამედ ვანდალური, კანიბალური სისასტიკით (ასე ბრძანებს პროფესორი არძინბა!). 1121 წელს, როცა ალეპოს მბრძანებელი და ცნობილი სარდალი ილ-ღაზი დიდგორის ომში მიღებული ჭრილობით გარდაიცვალა, სელჯუკებმა გაათავისუფლეს ჯვაროსანთა სამთავროს კანცლერი გოტიე, რომელიც ანტიოქიის აღებისას ტყვედ ჩავარდა. ჩვენი მოძმე აფსუები კი ტყვეებს აწამებენ, სახსრებს უმტვრევენ, ხელებს აჭრიან. ასეთებისთვის ცხრა საუკუნეს ფუჭად ჩაუვლია!

• • •

ერმა გაიღვიძა. ყვავ-ყორანთა ყრანტალი მკვდარს გააღვიძებდა. ერი შფოთავს, წრიალობს, მაგრამ სამწუხაროდ, დარდი მატულობს. სამკალი ბევრია, მუშაკი მცირედი. ცოტაა თავდადებული ქართველი, რომელიც ბურჯად დაუდგება დატანჯულ ერს, ბავშვებს და ქალებს, დაღლილ-გატანჯულ მიწას.

ბევრი იუდაც მტერს ეხმარება. ჩვენმა გვარდიელმა მტერს ესროლა და მისი მოდგარე აღმოჩნდა მკვდარი, ლამის გადაიკიდა კაცი. მოღალატე, მუხანათმა მამა-შვილმა ასწავლა გაგრის გზა გადამთიელ მტარვალებს!

ქართველი ქართველს დახოცავს და რუსი ტრიუმფით შევა საქართველოშიო, დაიყეფა ქოფაკმა ჟირინოვსკიმ. საკუთარ ეროვნებას რომ მალავს შეშლილი!

ასეთი ქაოსით კარგად სარგებლობს მტერი. უცერემონიოდ, ბრიყვულად ჩამოდის გრაჩოვი დამოუკიდებელ ქვეყანაში, ისე, რომ ქვეყნის პარლამენტს და მის გამოჩენილ მეთაურს არ უთანხმებს, ამდენი ზრდილობაც არ გააჩნია. აფსუებმა გაიხარეს, ვითარება დიდ მეზობელთან უფრო გამწვავდა, ორივეს სამწუხაროდ.

ჭეშმარიტად, ესაა ჩრდილოეთის ომი საქართველოს წინააღმდეგ, კრემლის რაკეტებისა და ხულიგნური დეზინფორმაციების, არძინბას და ჩოჩიევის — ამ ორთავიანი ასპიტის შემწეობით, „კონფედერაციის" ხროვის შემწეობით, შემზადებული და შენიღბული. გადარჩენის შანსი მცირდება.

ახლა გვჭირდება შემართებაც. და შემმართებელიც. უმოქმედობა შეცდომებზე უარესია. სოხუმის ნანგრევებზე მოთქვამენ მოხუცი ქალები: „ასე ცხოვრება აღარ შეიძლება! დაგვანგრიეს, დაგვხოცეს, და რად მინდა ასეთი მიწა? ისღა დაგვრჩენია, ქალებმა ავიღოთ იარაღი და თავი შევაკლათ ჯალათებს!"

ჭეშმარიტად, აივსო მოთმინების ფიალა. ამას უკვე გაიძახის მომთმენი ერი პრესაში თუ ქუჩებში. მოხუცი მანდილოსანი იარაღს ითხოვს, ლიპიანი ახალგაზრდა კი ასმანეთიანი სიგარეტებით იტენის ჯიბეს, აფხაზეთის ომი მისთვის უბრალო სანახაობაა, შეიძლება არც კი უყუროს ეკრანზე. შეგვირცხვენია ასეთი ვაჟკაცები! საიდან მოვიდნენ და საით მიდიან?

ამიტომ, ვამბობთ და ვიმეორებთ: ბევრია დაბადებული — ცოტაა თავდადებული.. კვლავ მოვუწოდებთ გულგრილებს, ვლოცავთ შემძლებთ და ვნუგეშობთ იმითაც, რომ „ჭეშმარიტი სიტყვაი არა წარხდის!"

ზურაბ ვაშაკიძე

ამ პუბლიკაციაში თავი მოვუყარე სხვადასხვა დროს რუსულ პრესაში გაბნეულ, ჩვენში ნაკლებადცნობილ მასალებს, რომლებიც ი. სტალინის სიკვდილის შესახებ მოგვითხრობს.

ხარეშ აქვე დავძენ, რომ გამაოცა გაზეთ „საქართველოში" (№6, თებერვალი, 93 წ.) მიხეილ მახარაძის რეპლიკამ, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკაში" (6. II. 93 წ.) დასტამბულ წერილს — „დღესაც სტალინის იმედით?!" — შეეხება. იქ ვწერდი, რომ ამ ზაფხულს, ვენაში, ეწყობა გორის ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმის მემორიალური ნივთებისა და სხვა ექსპონატების გამოფენა და იქიდან შემოსული თანხებით ეგება სახლ-მუზეუმსაც ეშველოს (სასწრაფო რემონტი სჭირდება) და ქალაქის კეთილმოწყობასაც-მეთქი.

მიხეილ მახარაძე, შესაძლოა, იმან გააღიზიანა, რომ წერილში სტალინი უშვერი სიტყვებით არ მოვიხსენიე.

შეიძლება სხვისი აზრი არ მოგწონდეს, არ იზიარებდე, მაგრამ არ უნდა დატუქსო სხვა, თუკი მას განსხვავებული აზრი აქვს.

ბატონი მიხეილი კი განსხვავებული აზრების თანაარსებობას კატეგორიულად მიუღებლად მიიჩნევს. იგი წერს, რომ ამ წერილის შესახებ „რეაგირება ერთი და ორი კაცის საქმე არაა და მათზე ნამდვილად ღირს ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების მიქცევა და სერიოზულად ჩაფიქრება".

ეს უკვე მუქარაა. სტალინური მუქარა. ამდენად — საშიში.

რაც უკვე ისტორიაა

მარტი, ორმოცდაცამეტი...

— გვიან ღამით, იგონებს ექიმი-თერაპევტი, პროფესორი ა. მიასნიკოვი (იხ. „ლიტერატურნაია გაზეტა", 1.III 89 წ.) ეს იყო 1953 წლის 2 მარტს, კრემლის საავადმყოფოს სპეცგანყოფილების თანამშრომელმა შინ მომაკითხა: „აბა, ჩქარა, პატრონი ავად გახდა". სასწრაფოდ გამოვემშვიდობე მეუღლეს (ვინ იცის, იქიდან სად მოხვდები), კალინინის ქუჩაზე გავუხვიეთ, იქ პროფ. ნ. კონოვალოვი (ნევროპათოლოგი) და ე. ტარეევი გველოდებოდნენ და სტალინის აგარაკზე, კუნცევოში (ახალი უნივერსიტეტის პირდაპირ) გავეშურეთ.

აგარაკზე მისულთ დაგვხვდა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ა. ტრეტიაკოვი, სხვა ცნობილი მეცნიერ-მედიკოსები.

მინისტრმა თქვა, რომ სტალინს ტვინში სისხლი ჩაექცა, გონება დაკარგა და მეტყველების უნარი წაერთვა, ამას დაემატა მარჯვენა ხელისა და ფეხის დამბლაო.

ჯერ კიდევ გუშინ, სტალინი (წესად ჰქონდა ასე) თავის კაბინეტში გვიან ღამემდე მუშაობდა. დაცვის მორიგე ოფიცერმა ღამის სამ საათზე ნახა მაგიდასთან მჯდომი (იგი კლიტის ჭუჭრუტანიდან უყურებდა), მას შემდეგაც შუქი სულ ენთო, თუმცა, აქ ასე იყო მიღებული. სტალინი სხვა ოთახში იძინებდა ხოლმე. კაბინეტში კი იდგა დივანი, რომელსაც დასასვენებლად ხმარობდა. დილის შვიდ საათზე გუშაგმა კვლავ შეიხედა ჭუჭრუტანაში და დაინახა: სტალინი მაგიდასა და დივანს შორის იატაკზე გართხმულიყო, გონება წართმეოდა... ავადმყოფი დივანზე დააწვინეს.

როდესაც ექიმები მოვიდნენ, სტალინი ისევ დივანზე იწვა, სახე მოქცეოდა, მძიმედ სუნთქავდა, სისხლის წნევა — 210/110. მოციმციმე არითმია, ლეიკოციტოზი 17000-მდე, მაღალი ტემპერატურა ჰქონდა — 38 გრადუსზე მეტი. დიაგნოზი ნათელი იყო: ათეროსკლეროზისა და ჰიპერტონიის ნიადაგზე ტვინის მარცხენა ნახევარსფეროში სისხლჩაქცევა.

დაიწყო მკურნალობა ავადმყოფის გადასარჩენად. „სტალინის სამკურნალოდ, — წერს ა. ავტორხანოვი წიგნში „სტალინის სიკვდილის საიდუმლო", — შეადგინეს კომისია, რომელშიც შევიდა 8 კაცი — აკადემიკოსები და ექიმები. კომისიას ხელმძღვანელობდა ახლად დანიშნული ჯანმრთელობის მინისტრი ტრეტიაკოვი და კრემლის სამკურნალო სამმართველოს ასევე ახალი უფროსი კუპერინი.

იმ ამბებიდან 40 წლის შემდეგ, აკადემიკოსი ვლ. ნეგოვსკი „სტოლიცას" (№19. 92 წ.) ფურცლებზე დაწერს, რომ სტალინის რეანიმირება პრიმიტიული მეთოდებითა და აპარატურით მიმდინარეობდა, იმიტომ კი არა, რომ მისი სიკვდილი უნდოდათ. უბრალოდ, სხვა უკეთესი მაშინ არაფერი გვქონდა. სტალინი გონმოუხედავად კვდებოდა, ისე, რომ არ უწვალია.

თუმცა, მივყვეთ მოვლენებს. სამი მარტისთვის, დილით, კონსილიუმს თავისი პროგნოზი უნდა გამოეთქვა. იგი ცალსახა იყო — სიკვდილი გარდაუვალია. მალენკოვმა თქვა, რომ ასეთი დასკვნა მისთვის მოულოდნელი არ იყო, თან დასძინა, რომ ექიმები თუ ვერ შეუნარჩუნებენ, საკმაო ვადით მაინც გაუხანგრძლივებენ ბელადს სიცოცხლეს.

იქ მყოფნი ჩახვდნენ ქარაგმას: საქმე ეხებოდა ახალი ხელისუფლების ორგანიზაციის მზადებისათვის აუცილებელ დროს, მასთან ერთად, საზოგადოებრივ აზრსაც.

იქვე დაიწერა პირველი ბიულეტენი ი. ბ. სტალინის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (1953 წ. 4 მარტის 2 საათისათვის). მასში იყო მრავალმნიშვნელოვანი ფრაზა: „ხორციელდება მთელი რიგი თერაპიული ღონისძიებანი ორგანიზმის სასიცოცხლო მნიშვნელოვანი ფუნქციების აღსადგენად". ამით ფრთხილ ფარგლებში გამოითქმა „აღდგენის" რაღაც იმედი.

ამასთან, იგი რამდენადმე ქვეყნის დასამშვიდებლადაც იყო გაანგარიშებული.

ცნობა სტალინის ავადმყოფობის შესახებ მთელ მსოფლიოში ელვის სისწრაფით გავრცელდა. საბჭოთა ადამიანები ამ ამბებმა ხომ უკიდურეს სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. დღე ერთი იყო და ფოსტას ათასობით წერილი და მიმართვა მოჰქონდა. ექიმთა კონსილიუმის მისამართით გამოთქვამდნენ რწმენას, რომ ბელადს გადაარჩენდნენ ახალგაზრდა ოფიცრები და წითელარმიელები, გადასასხმელად თავიანთ სისხლს სთავაზობდნენ — უკანასკნელ წვეთამდე. ზოგიერთები კი წერდნენ, რომ არც დაფიქრდებოდნენ, ისე მისცემდნენ გულს („მომიჭრან ქირურგებმა ჩემი ახალგაზრდა გული და ჩაუდგან ამხანაგ სტალინს").

...მომაკვდავი დიქტატორი დივანზე იწვა და იმის მიუხედავად, რომ ხორციელდებოდა სხვადასხვა სამედიცინო ღონისძიებები, საიმედო პირი არ უჩანდა.

როგორი იყო, საერთოდ, სტალინის დამოკიდებულება მედიცინისადმი, კერძოდ, ექიმებისადმი, კონსილიუმის წევრებს ეს საკითხიც აინტერესებდათ. გამოირკვა, რომ ბოლო სამი წლის მანძილზე სტალინს არცერთხელ არ მიემართა ექიმებისათვის, ყოველ შემთხვევაში, ასე თქვა კრემლის სამკურნალო სამედიცინო სამმართველოს უფროსმა. თან დაუმატა: რამდენიმე წლის წინ მაცესტაში, აგარაკზე, სტალინს გრიპი შეხვდა. მაშინ მასთან იყვნენ ნ. ყიფშიძე (თბილისიდან) და მ. შიხოვი, რომელიც სოჭის ბალნეოლოგიურ ინსტიტუტში მუშაობდა.

როგორც ჩანს, სტალინი მედიცინას მოსკოვშიც გაურბოდა. კუნცევოს უზარმაზარ აგარაკზეც კი არ ჰქონდათ მცირე აფთიაქი პირველი აუცილებელი საშუალებებით. იქ, სხვათა შორის, ნიტროგლიცერინიც კი არ იყო. აგარაკის პატრონს, ვთქვათ, გულის შეტევა რომ დამართვოდა, კრუნჩხვებისაგან გათავდებოდა. ტკივილების მოსახსნელად კი სულ ერთი წვეთი წამალია საჭირო.

ექიმები გაკვირვებულნი იყვნენ: მედიცინის და მაინც აეყვანათ, ვთქვათ, მოსამსახურის საბაბით, ან — ექიმი, ვითომ რომელიმე პოლიკლინიკა — ბოლოსდაბოლოს, ადამიანი 72 წლისა იყო!

აი, ასეთი იყო სტალინის დამოკიდებულება წამლებისადმი. ექიმებისადმი. საკუთარი ჯანმრთელობისადმი. დაუმატეთ ამას მის მიერ განვლილი უკიდურესად რთული და მოუწესრიგებელი ცხოვრება. ჯერ მარტო დიდი სამამულო ომი რად ღირს. რომელმაც, ალბათ, სტალინის სიცოცხლის დარჩენილი წლებიდან ნახევარი მაინც შეიწირა.

ჩვენს დიდ შალვა ნუცუბიძეს საინტერესო დაკვირვება აქვს საკუთარი ჯანმრთელობისადმი ქართველი კაცის აგდებულ დამოკიდებულებაზე. ებრაელი, წერს იგი, ექიმს ავად გახდომამდე სამი წლით ადრე მიაკითხავს ხოლმეო, ქართველი კაცი — სიკვდილამდე სამი დღით ადრეო. ამ ნათქვამში რამდენი იუმორიცაა, სიმართლეც იმდენია. ყოველ შემთხვევაში, ერთი ჩვეულებრივი ანდაზა — „ჯანს უთქვამს: ჯეელობაში შემინახე, რომ მოხუცებულობაში შეგინახოო" — სტალინის მისამართით ვერ გამოდგება.

სვეტლანა ალილუევა ჰყვება, რომ მის თხოვნაზე, ექიმებისათვის მიემართა, „მამა ყოველთვის კატეგორიულად უარზე იდგა". აი, რა უთხრა სტალინმა მაქსიმ გორკის მკურნალ ექიმს გ. ფ. ლანგს: „ექიმებმა მკურნალობა არ იციან. ჩვენთან, საქართველოში, კირკიტივით ასწლოვანი მოხუცები ცხოვრობენ. ისინი თავს უვლიან ღვინით და თბილ ნაბადს მოისხამენ ხოლმე".

მაიორი ა. რიბინი, რომელიც ოცი წელი სტალინის დაცვაში მსახურობდა, წერს: „ბოლო წლებში მას არაერთხელ დაუჩივლია: „წყეული სიბერე მოვიდა". სტალინი თავის ჯანმრთელობას ბარბაროსულად ეკიდებოდა. სადილობდა ყოველთვის სხვადასხვა დროს. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო 15, 17, 19, 20 ან 22 საათიც კი. ექიმებთან მკურნალობა არ უყვარდა. ხანდახან მას აბებს მისი მდივანი პოსკრებიშევი აძლევდა. რომელიც განათლებით ფერშალი იყო". („სოციოლოგიჩესკიე ისსლედოვანია", №3. 1988 წ.).

ი. რიბინი იმავე მოგონებებში იმოწმებს კუნცევოს აგარაკის კომენდანტის ი. ორლოვის მონათხრობს: „მთელი ომის მანძილზე სტალინი დღე და ღამე მუშაობდა. გამთენიისას ჩაიძინებდა ხოლმე. ხშირად წავადგებოდით თავზე დილის ექვს საათზე მეორე სართულზე ამავალი კიბის ქვეშ ტახტზე ჩაძინებულს. ხშირად გაუხდელს ეძინა — ფარაჯასა და ყელიან ფეხსაცმელებში. მზისაგან თავდასაცავად სახეზე ქუდს ჩამოიფარებდა ხოლმე. საოცარია, როგორ გადაიტანა ომი..."

„მსოფლიომ უწყის, რომ, სტალინის სიკვდილთან ერთად, ეპოქაც დასრულდა; ეს უკვე სტალინის სიკვდილიდან 19 დღის შემდეგ თქვა აშშ პრეზიდენტმა დ. ეიზენჰაუერმა ვაშინგტონში, ამერიკული გაზეთის რედაქტორებთან შეხვედრაზე.

...სტალინი მძიმედ სუნთქავდა. ხანდახან თუ წამოიკვნესებდა. მხოლოდ ერთხელ, წამიერად მოავლო თვალი ირგვლივ შეკრებილთ. მაშინ ვოროშილოვი დაიხარა მასთან და უთხრა: „ამხანაგო სტალინ, ჩვენ აქ ყველანი შენი ერთგული მეგობრები და თანამებრძოლები ვართ, როგორ გრძნობ თავს, ძვირფასო?"

მაგრამ მზერა უკვე აღარაფერს გამოხატავდა. ღამით ექიმებს ხშირად ეჩვენებოდათ, რომ ავადმყოფი წუთწუთზე უნდა გათავებულიყო.

გათენდა. დილით და მთელი დღე ავადმყოფს უკეთესობა არ დასტყობია, მდგომარეობა უფრო და უფრო უიმედო ხდებოდა.

ბოლოს, სიკვდილიც მოვიდა. იდგა 1953 წლის 5 მარტი, საათის ისრები 21 საათსა და 50 წუთს აჩვენებდა...

მავზოლეუმთან არსებულ სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში კი ამ დროს №1 მზადყოფნა იყო გამოცხადებული.

არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ სტალინს ლენინის გვერდით დაასვენებდნენ.

— 5 მარტს, საღამოს, — გვიამბობს პროფესორი რ. დებოვი, რომელიც მაშინ ზემოაღნიშნული ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-მუშაკი იყო, — ბინაზე დამირეკა ჩემმა უშუალო უფროსმა პროფესორმა რ. მარდაშევმა: სასწრაფოდ ჩაიცვით და გამოდით ქუჩაში, იქ თქვენ მანქანა დაგელოდებათ". „მუშაობა მოგველის?" — „დიახ".

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი მანქანა დიდი სისწრაფით მიჰქროდა მოსკოვის ქუჩებში. ჩვენ მივედით მავზოლეუმთან არსებულ ლაბორატორიაში სადოვოკუდრინსკაიას ქუჩაზე. ცხედარი უკვე მოეტანათ. აქ მოხდა მისი გაკვეთა და დაბალზამება.

დილისთვის სახელდახელო დაბალზამებას მორჩნენ. დაიწყეს მიცვალებულის ჩაცმა. გენერალსიმუსის ფორმას ძველი, გაცვეთილი ფეხსაცმელები ძლიერ აუშნოებდა და, როცა აცმევდა, ს. დებოვმა დაცვის ერთ-ერთ წევრს ჰკითხა:

— ახლები არ გაქვთ?

— არა. მას სხვა ფეხსაცმელები არ ჰქონია. („მედიცინსკაია გაზეტა", 10.VII. 1988).

დილით საქმეს მორჩნენ. ავტომანქანების კავალკადა ლაბორატორიიდან გამოვიდა და კავშირების სასახლისაკენ გაემართა. სვეტებიან დარბაზში კუბო პოსტამენტზე დადეს, მორთეს გვირგვინებით, ყვავილებით, რომელმაც, სიტყვამ მოიტანა და, გაცვეთილი ფეხსაცმელები დამალა.

...9 მარტს, წითელ მოედანზე გაიმართა ი. სტალინის დაკრძალვა. ნეშტი მავზოლეუმში შეასვენეს. შემდეგ მთელი რვა თვით მავზოლეუმი დაკეტეს. სტალინის ცხედრის მუდმივი დაბალზამება ნახევარ წელს გრძელდებოდა. „გენერალსიმუსის მუნდირმა ბევრი თავსატეხი გაგვიჩინა, — იგონებს ს. დებოვი, — სამხედრო ფორმის მტვრის უწვრილეს ნაწილაკებს და ანაორთქლს შეიძლება სხეულის დაზიანება გამოეწვია. ამიტომ, მუნდირის ღილები და სამხრეები სუფთა ოქროსაგან დავამზადებინეთ, ორდენების თამასა კი — პლატინისაგან".

ბედმა ინება, რომ ოქრო, პლატინა და გაცვეთილი ფეხსაცმელები გენერალსიმუსთან ერთად ერთ კუბოში ჩაელაგებინათ.

პოეზია უპირველეს ყოვლისა

ჯანსუღ ჩარკვიანი

წიგნიდან „დრო და ხასიათი" (1992-1993)

საქართველო არის!

ციდან სისხლის ღვარი,
დასდის გრემს და დიდგორს,
მიწა ვეფხის ტყავის,
ცის ლაჟვარდებს იპყრობს,
საქართველო არის,
საქართველო იყო,
არ მორჩები ბლავილს?! —
ფიურერის ბრიყვო.

დრო და ხასიათი

ქართველი ქართველს
იმიტომ კოცნის,
რომ შეჭმა უნდა
იმისი ხორცის!

იმიტომ კოცნის
ქართველს ქართველი,
დროზე ჩაუქროს
უნდა სანთელი!

ქართველი ქართველს
კოცნის იმიტომ,
შესანდობარი
უთხრას ღვინითო!

პასუხი უხამსობის გამო

პალატში ტაბლა გაშლილა,
წალამზე შემწვარ მწვადებით,
სძღებოდით კარგად მაშინაც,
ახლაც მადაზე ბრძანდებით.

ვინ მაქებარმა შეგაქოთ,
არა ხართ რისი ღირსიცა,
ღმერთმა ის ძველიც შეგარგოთ,
დღეს რო მირთმევთ, ისიცა!

შენ გეუბნები ქვაბშიგან!

შენ გეუბნები ქვაბშიგან,
ბნელსა და პირველყოფილსა,
ნაპერწკალსა ჰყრი კვესითა,
ტყავკაბა გაცვის სწორფრისა.
ხევსა ჩხავილი ყორნისა,
ტაბლაკს ხმაი სცემს თოფისა,
არც ოდეს მოგეწყინების
ფრქვევა ბალღმის და ცოფისა,
ვითარცა ბრძანა რუსთველმა —
მოგხვდების მდუღრვა სოფლისა.

შეხვედრა ჩახლართულთან

რომ გითხრა, შენი
მიკვირსთქვა რამე,
მაშინ, შუადღე
ყოფილა ღამე.

რომ გითხრა,
თუნდაც
ჩაგთვალე რწყილად,
მაშინ, შუადღე
ყოფილა დილა.

მაშ, ჩახლართულო,
რა უნდა გითხრა? —
ე მაგ სიმართლით
იარე დიდხანს.

ბედნიერი კაცი

დააბიჯებ ამაყად,
ბოლმითა და გესლით,
მეგობარი არა გყავს,
ვისაც გინდა ესვრი...

ვისაც გინდა ჩაწიხლავ
და ტალახით მოსვრი,
ბედნიერი კაცი ხარ —
ბედი არ გაქვს მგოსნის!

დღეს, საქართველოში

ვინც გინდა იყავ,
ღვთიშობელი,
გინდა ღვთის შვილი,
თუ რუსთველი ხარ,
მითუმეტეს
ვერვინ გიშველის...
არ იყიდება
ისტორია ჯავახიშვილის,
იქნებ,
გარეკანს მივახატოთ
ქალი შიშველი?

შარო სიდან მოდიხარო...

ლენინზეო; მითხარ წერდი,
მე კი, უცებ გავნაწყენდი,
ვწერდი, მაგრამ გლახად ვწერდი,
შენ, ძალიან კარგად წერდი.

ხალხი კარგ ლექსს შეინახავს,
ვის სურს, გლახა ლექსის თარგი,
მე შემარგოს,, ჩემი გლახა,
შენ შეგარგოს შენი კარგი!

ბოლო-ბოლო, ყველა მიხვდა,
შენ რა ოქროს ზოდი ხარო,
კითხვა მაინც დარჩა კითხვად —
შარო სიდან მოდიხარო!

ჭრელი პერანგი...

„წერილს გიგზავნი იმერეთიდან, იმერელი კი მართლა არა ვარ, ერის ერთგული, გვარად უცნობი იანიშვილი". (ანონიმური წერილიდან).

როცა ქალი შექანდება,
ჩაქრება და, ერიჰა...
იმერელი? გეკადრება?
რაის იმერელი ხარ?

თუ სიკეთით არ დაღვრილხარ,
ლამობ ქვეყნის დამარხვას,
არც კოლხი ხარ, არც კახი ხარ,
არც არავინ არა ხარ;

ჭკუის ღობეს რომ გადახვალ,
მთაში ხარ თუ ბარად ხარ,
დადიხარ და ზოგადად ხარ —
კონკრეტულად არა ხარ.

არცა შემცდარს, არც ცთომილსა,
არცა მსტოვარს ვერაგის,
გიმზერ, ქვესკნელს ჩაძრომილსა,
გხატავს ჭრელი პერანგი.

კაცია—ადამიანი?

სისხლის დასაღვრელად მზად არიან,
ძმა ძმას არ ინდობს და არ ძმობს,
ქვეყნად დარია თუ ავდარია,
კაცი მეორე კაცს ამცრობს,
ძმის არა, კუბოს გამტანია,
უფალს ჭეშმარიტად არ ცნობს,
მხეციც გაურბის ადამიანს,
ეშმა კაცის სულში ანცობს,
მაგრამ მე იმან გადამრია —
კაცი კაცს გაურბის, კაცოო!

მძევლები

საქართველოს ტყეებში
ძმებთან გზივართ მძევლებად,
მზეზე ჰყვავის ნაყოფი
გატეხილი ფიცის...
საქართველო რაც არის
კარგად მოგეხსენებათ,
მაგრამ ხვალ რა იქნება,
უფალმა თუ იცის.

ირონიული

(დორიან კიტიას)

რა დროს მონობის დრონია,
დადგა სიმღერის ჟერი,
მარა, ეჰ, გაგიგონია?!
მდუმარებს ლერწმის ღერი.

ვაი, ჩვენს პატრონს, დორიან,
ხესა არ შეჯდა მწყერი,
ქართველი?
იადონია,
ის ტყვეობაში მღერის.

იქვე ფრთხიალებს ფრთებგაშლით,
სიმღერაც იქვე შვენის,
ღმერთო, თავისუფლებაში
მოგვეც ლაზათი ლხენის...

ქართველი?
იადონია,
ის ტყვეობაში მღერის!

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ბოსნიელი სერბების ლიდერის აზრით...

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ორგანიზებულ „საჰაერო ხიდს", რომლითაც ჰუმანიტარულ დახმარებას აწვდიან ბოსნიასა და ჰერცეგოვინას, შეიძლება მოჰყვეს კონფლიქტის გამწვავება და ზრდა იუგოსლავიის ამ ყოფილი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. ასეთი აზრი გამოთქვა ბოსნიელ სერბთა ლიდერმა რადოვან კარაჯიჩმა „ღია წერილში ამერიკელი ხალხისადმი", რომლიდან ციტატები ხუთშაბათს გამოაქვეყნა გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა". როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფი სერბთა ხელმძღვანელი აღნიშნავს, „ცუდად მოწყობილმა ამერიკელთა ჰუმანურმა თანამშრომლობამ შეიძლება მოკლე ხანში ადგილობრივი კონფლიქტი ბალკანეთის ომად აქციოს, ანდა მსოფლიო ომადაც". მან აგრეთვე განაცხადა, რომ ბოსნიის კონფლიქტში ამერიკის მონაწილეობის გაფართოება შეიძლება ამერიკის შეერთებულ შტატებს გაუძლიეროს საფრთხე ტერორისტთა მხრიდან.

მსჯელობენ კულტურის მინისტრები

ანკარა, 5 მარტი. (იტარ-ტასი). დღეს სტამბოლში გაიხსნა შავი ზღვის აუზის ქვეყნების კულტურის მინისტრების სხდომა. სხდომის გახსნაზე გამოსვლისას თურქეთის პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა განაცხადა, რომ შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობა ის ძრავაა, რომელმაც უნდა აამოძრაოს რეგიონის უდიდესი შესაძლებლობანი სხვადასხვა სფეროში. თურქეთის მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ კულტურულ ურთიერთობათა განვითარების წყალობით შავიზღვისპირეთის ხალხები შეძლებენ უკეთ გაიცნონ ერთმანეთი. **სხდომაში მონაწილეობენ რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, უკრაინის, თურქეთის, აგრეთვე ბელარუსისა და მოლდოვის კულტურის მინისტრები.** ვარაუდობენ, რომ მხარეები განიხილავენ რეგიონის ქვეყნებს შორის კულტურულ ურთიერთობათა განვითარების გზებს და ხელს მოაწერენ შავი ზღვის აუზის ქვეყნების კონვენციას კულტურული თანამშრომლობის შესახებ.

ინციდენტი სარაევოს მახლობლად

ერთი ფრანგი ქალი დაიღუპა, ორი ფრანგი კი დაიჭრა საფრანგეთის ორგანიზაცია „ეკილიბრის" ჰუმანიტარული ბადრაგის შემადგენლობაში, რომელმაც სურსათი და მედიკამენტები ჩაიტანა სარაევოში. ინციდენტი მოხდა ხუთშაბათს, როცა მანქანების კოლონა ჰუმანური დახმარების გადმოცლის შემდეგ უკვე გამოდიოდა ბოსნიის დედაქალაქიდან. სააგენტოს მონაცემებით, ფრანგთა ბადრაგს ცეცხლი გაუხსნეს მუსლიმანმა სნაიპერებმა სტუპსკო ბრდოსა და ვოინიჩკო პოლეს რაიონებიდან, რომლებსაც კონტროლს ისინი უწევენ. ყოველივე ეს მოხდა სარაევოს აეროდრომის მახლობლად.

თითო აბზაცით

⊙ კომპიუტერი, რომელიც ხმამაღლა კითხულობს ჩვეულებრივ დაბეჭდილ ტექსტს, შექმნა ავსტრალიის ელექტრონულმა კომპანიამ მელბურნში. 10 კილოგრამამდე წონის კომპიუტერი ჰგავს დაბეჭდილი ტექსტების პირის გადასაღებ კომპაქტურ აპარატს. აპარატში ჩაიდება წიგნი, ჟურნალი ან გაზეთი, და სპეციალური მოწყობილობის საშუალებით ტექსტი იკითხება ხმამაღლა. თუ რომელიმე სიტყვა გაუგებარია, კლავიშზე ხელის დაჭერით იგი ასოასოდ წაიკითხება.

⊙ წუხელ ამერიკის სამმა სატრანსპორტო თვითმფრინავმა განახორციელეს ბოსნიის აღმოსავლეთ ნაწილში ხათვალავით მეხუთე ჰუმანური ტვირთის დესანტირება. თვითმფრინავიდან პარაშუტებით ჩაუშვეს 19,5 ტონა კვების პროდუქტი და 600 კილოგრამი მედიკამენტი.

ჩვენ და წესრიგი

მიმდინარეობს იარაღის ჩამორთმევა

რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე კრიმინოგენული ვითარება განსაკუთრებით საშიში გახდა იმ დიდძალი იარაღის გამო, რომელიც მოსახლეობის ხელში აღმოჩნდა. უკანასკნელ ხანს საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები დიდ მუშაობას ეწევიან უკანონოდ შენახული ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის, ასაფეთქებელ ნივთიერებათა ჩამორთმევისათვის. რესპუბლიკის ყველა რეგიონში პოლიციის მუშაკები აწყობენ პიკეტებს, სადღეღამისო რეიდებს.

აქტიურად ჩაერთვნენ ამ ღონისძიებებში თელავის რაიონის პოლიციის თანამშრომლები. მათი მცდელობით უკვე ჩამორთმეულია ბევრი სხვადასხვაგვარი იარაღი, რაც დადებით გავლენას ახდენს კრიმინოგენული ვითარების განმუხტვაზე რაიონში.

• • •



სურათებზე: თელავის პოლიციის თანამშრომლები იარაღის ჩამორთმევის რეიდის დროს; ჩამორთმეული იარაღი.

სპარტაკ ჟურაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

როგორც „იბერია" იტყობინება

როგორც „იბერიას" კორესპონდენტს ლტოლვილთა განსახლების კომიტეტიდან აცნობეს, დღეისათვის საქართველოში რეგისტრირებულია 140.000 ლტოლვილი, რომელთა უმეტესი ნაწილი — 21.000 თბილისზე მოდის, 7.000 ლტოლვილია ქ. გორში, 9.800—გალში, აჭარაში რეგისტრირებულია 5.700, მაგრამ, უკანასკნელი მონაცემებით, ამ რეგიონში რეგისტრაციის გარეშე მყოფი ლტოლვილთა რიცხვი 120.000-ს აღწევს.

დღეისათვის აფხაზეთში დაჭრილთა რიცხვმა 2.965-ს მიაღწია, ხოლო დაღუპულთა — 781-ს.

ჩვენს რესპუბლიკას ეწვივნენ საქართველოს სამეფო ბანკის წარმომადგენელი ქ-ნი ქეთევან ბაგრატიონი და მარიამ-პია ფან ფანი. იტალიის მთავრობას განზრახული აქვს ა. წ. მარტის ბოლოს საქართველოში ჰუმანიტარული დახმარების სახით გამოაგზავნოს 3 მლნ. დოლარის სურსათი და სხვა პროდუქტები. ქეთევან ბაგრატიონისა და მარიამ-პია ფან ფანის სტუმრობა სწორედ ამ ფაქტორთან არის დაკავშირებული.

მიზეზი რესპუბლიკის ენერგომომარაგების დაბალი ხარისხისა, ხშირი დივერსიები და ყაჩაღობაა.

ენერგეტიკოსთა მონაცემებით, გასული 14 თვის განმავლობაში ზარალმა ორ მილიარდ მანეთს გადააჭარბა. გატაცებულია 100 კმ-ზე მეტი სიგრძის სპილენძის სადენები. 1 ტ. სპილენძის სადენების ფასი კი 500.000 მანეთია.

მკითხველის ფელეტონი

სახალხო სიხარულია!..

სოსო მაჭარაშვილი

სულ სიხარულში ვართ, ბატონო, გაუნელებელ, მრავალფეროვნებით გადაბმულ სიხარულში... ჩვენთან, ხაშურში სამი თვე აღარ ცხვება პური (ეს ქალაქში, თორემ სოფელში ფურნის პურის გემოც დაავიწყდათ). ხალხი ზესტაფონქუთაისიდან ტომრებით ეზიდება გამომცხვარ პურს. ჰოდა, ამ დროს, რომ მოსახლეობას ფქვილს მიყიდი, ისიც სახელმწიფო ფასში (კილოზე 5-6 მანეთის ან მეტის „დარიცხვა" რა სათქმელია), მეტი სიხარული გინდა? ამ სამ თვეში, მაგალითად, ქალაქში სულზე 10-10 კილოგრამი პურის ფქვილი დაარიგეს და ცოტაა, ბატონო, 3 თვეში ამხელა სიხარული? მართალია, ქალაქშიც კი არ დაურიგებიათ ყველა უბანში ამდენი, ფასის „დარიცხვაც" რომ აღარ ვახსენოთ, მაგრამ ეს რა საკადრისია. რა ქნას, ბატონო, ამ ხალხმა. სცივათ ხელებზე და ხომ უნდა მოითბონ პატარა. მათაც ხომ უნდა გაიხარონ. ეგეც არ იყოს, ხელცივი გამყიდველი?...

მაგალითად, ძველი სტადიონის უბნის გამყიდველს სულ „მოპარეს" დასარიგებელი 57 ტომარა ფქვილი. ინტრიგანმა შეიძლება ისიც იკითხოს, რა უნდოდა იმ უბნის ფქვილს ქალაქის ცენტრის კაფეში (საიდანაც „მოიპარეს"), მარა, ჩვენ ხომ თავისუფლებისათვის ვიბრძოდით. ჰოდა, სადაც უნდა, იქ დააწყობს „თავის" ფქვილს თავისუფალი და დამოუკიდებელი გამყიდველი. ვისი რა საქმეა? წარმოიდგინეთ, ბატონო, იმ უბნის მცხოვრებთა აუწერელი სიხარული როცა გაიგეს, მიუგნიათ, მგონი, იმ ფქვილისათვის და-გვი-რი-გე-ბე-ნო...

პურის ფქვილით კერძო „გამხარებლებიც" გვყავს. ისინი შუა ქალაქში ფქვილს ტომრობით საჭაროდ ყიდიან. მათთან უკვე რიგი დგას. სიებში იწერენ მსურველებს და დროსაც უნიშნავენ, ამ დღეს მოგყიდითო. ყველა სიხარულით მოგყიდითო. ამ დღეს, ე, მაშინ კი აუწერელია კერძო „გამხარებლის" სიხარული, 50-კილოგრამიან ტომარაში 4,5-5 ათასს რომ მიითვლის...

ქალაქის საზოგადოებას განზრახული აქვს სპეცკონკურსიც კი მოაწყოს წლის საუკეთესო სპეც... ბოდიში. სპეციალისტის (ამ საქმის სპეციალისტის) გამოსავლენად. იქნებ ჩვენი პოლიციაც ჩაერთოს ამ კონკურსის ჟიურში. პოლიციამ რა ქნას, „გამხარებელს" ეკითხება, ფონდირებულ ფქვილს ხომ არ ყიდით და ისიც უპასუხებს, არაო. ეფიცება კიდეც (სინდისს, პატიოსნებას...) ახლა, მართლაც, კვალში ხომ არ ჩაუდგება, საიდან და როგორ მოაქვთ. კიდეც რომ მოისურვოს, საწვავი არა აქვთ და ფეხით ხომ ვერ წავლენ გორში ან თბილისში?...

ახლა სხვა სიხარულზე აღარ იკითხავთ? ზუსტად „მაცნეს" დროს რომ გამოითიშება, ან აურევს ტელევიზორი და მერე ჩაირთვება; ხანდახან მართლაც რომ წააკიდებს ცეცხლს გაზქურა ან გათბობა, ნეტავ განახათ მაშინ ჩვენი აღტაცება; ან კიდევ მაშინ, რაიონში კვირაში ერთხელ რომ გამოჩნდება ჟურნალ-გაზეთები...

შეიარაღებული ძარცვა-ყაჩაღობაც გრიპივით შეგვეყარა. უთოფო ყაჩაღობაც უნდა ვახსენოთ. როგორც იქნა, გამოვიდა მთავრობის განკარგულება კომერციულებში და კერძო პირების მიერ სახსრებით სამამულო საქონლით ვაჭრობის აკრძალვაზე. გაიარეთ ჩვენს ბაზარში, ბატონო. და თვალებში ჩახედეთ გამყიდველებს, გამოუთქმელი სიხარულით რომ უციმციმებთ — კაციშვილი არ ფიქრობს აღნიშნული განკარგულების შესრულებაზე. ამ სიხარულს იზიარებენ მაღაზიების გამყიდველებიც, კარებშივე კომერციულად რომ ვაჭრობენ.

მიწისძვრამ გაგვიუქმა 4-5-წართულიანი რაისაავადმყოფო.

ახლა ბავშვების სიხარულზე აღარ იკითხავთ? სკოლებში ჩანთებით წიგნები და რვეულები კი აღარ დააქვთ — ნაფოტები, ფიჩხი, წალამი, ნაჭურჩი, შეშა, ნახერხი, ნავთი... ნეტავ განახათ მათი და მასწავლებლების სიხარული. გამხიარულებულ, მოგუზგუზე ღუმელს რომ შემოუსხდებიან საკლასო ოთახებში. ზოგიც იცინის მაშინ...

მოკლედ, ნაღდი სახალხო სიხარულია ჩვენთან...

ქ. ხაშური.

ნარდი შაში

რუბრიკას უძღვებიან ზოთა ინწკირველი და მელიტონ კალანდაძე.

ძმათა-ძმა ნანა იოსელიანს

ერის ცხოვრებაში ზოგჯერ დგება მომენტი, როცა ერთი შეხედვით ისეთი „უმნიშვნელო" ფაქტორიც კი, როგორიც ჭადრაკია, შესაძლოა ერის ტკივილების მომშუშებლად იქცეს. ამ უმძიმეს დღეებში ყველა ჭეშმარიტი ქართველის მზერა მიმართული იყო მონტე-კარლოსაკენ, სადაც თითქოს ქართული ჭადრაკის კი არა, აფხაზ-ქართველთა კონფლიქტის ბედი წყდებოდა.

თეორიის მცოდნე და ტაქტიკოსი ჟუჟა თამაშში კარგადაა გაწაფული. მატჩის პარტიები მეტყველებენ ნანას უპირატესობაზე, განსაკუთრებით კი ენდშპილში. რაც მთავარია — ნანა იოსელიანის შემოქმედებითი ფანტაზია უფრო ძალუმია. ჩვენი აზრით, წილისყრის შედეგი იყო არა იღბალი, არამედ — კანონზომიერება — სამართალმა პური ჭამა! გმირობა, რომელიც ნანამ ჩაიდინა, განგებას სწორედ ამნაირად უნდა დაეგვირგვინებინა. ნათქვამის დასტურად გთავაზობთ მატჩის ერთ-ერთ საუკეთესო პარტიას, მერვე გადამწყვეტ პარტიას. ულმობელი ბრძოლა გაგრძელდა 6 საათს.

იოსელიანი — ჟ. პოლგარი. ლაზიერის გამბიტი. მონტე-კარლო, 1993 წელი. 1. d4 d5 2. მf3 c5 3. c4 c:d4?! 4. c:d5 მf6 5. ლa4 (თეორია უპირატესობას 5. მ:d4 სვლას ანიჭებს. ალიოხინი-ვოლფი. პეშტენი, 1922) 5. ...ლd7 6. ლ:d4 ლ:d5 7. მc3 ლ:d4 8. მ:d4 კd7 9. მdb5!? (თეორიული სიახლე. ახლა შავები როქის დაკარგვას უნდა შეურიგდნენ, რადგან 9. ...მa6 უარესია) 9. ...მფd8 10. კe3 მc6 11. h3 a6 12. კb6 მფc8 13. მa3 e5 14. მc4 კe6 15. e4 კb4 16. 0—0—0 კ:c3 17. მd6 მფb8 18. b:c3 მd7 (18. ...კ:a2 19. c4) 19. კe3 მფc7 20. კc4 კ:c4 21. მ:c4 f6 22. ეd2 b5 23. მd6 მb6 24. კ:b6 მფ:b6 25. მf5 ეhd8 26. ეhd1 ე:d2 27. ე:d2 ეa7 მატჩის მოსაგებად პოლგარს ხელს აძლევდა ყაიმი, და თითქოს იგი მიზანთან ახლოსაა. ახლა ნანა h პაიკის წინსვლით დამატებით სისუსტეებს ქმნის მეტოქის ბანაკში. 28. h4! ეf7 29. h5 მფc7 30. h6 g6 31. მg7! ეe7 ამ სვლამ თითქოს ჩიხში მოაქცია თეთრების ინიციატივა, მაგრამ.... 32. ეd3!! მb8 33. c4 (ცაიტნოტში ნანა ხელიდან უშვებს უპირატესობის გაზრდის შესაძლებლობას 33. ეg3!, 34. ე:g6! მუქარით) 33. ...b:c4 34. ეc3 მფd6 35. ე:c4 მc6 36. მფd2 ეf7 37. მფe3 ეf8 38. g3 ეb8 39. f4 მe7? (აუცილებელი იყო 39. ...ef 40. gf, და თუ ამის შემდეგ f4-f5, მაშინ მe5. ახლა ნანა ღებულობს სტრატეგიულად მოგებულ პოზიციას) 40. ეa4 ეa8 41. f5+— g5.



ოთხი საათი ამოიწურა. ცაიტნოტი დამთავრდა. ახლა მეტოქეებს ეძლევათ თითო საათი 20 სვლაზე. შავების პოზიცია შევიწროებულია. თეთრმა მხედარმა მიიღო კარგი e6 უჯრა. 42. ეb4 მფc6 43. მe6 ეc8 44. ეc4 მფd6 45. ეa4 ეc6 46. მf8 მg8 47. მ:h7 მფc5 48. მ:g5! მ:h6 49. მe6 მფb5 50. ეa3 ეc2 51. მფd3 ეg2 გეგონება, შავები გააქტიურდნენ, მაგრამ ნანა ფხიზელი და ზუსტი მოქმედებით მიიწევს გამარჯვებისაკენ. 52. მc7 მფc6 53. ეc3 მფb7 54. მd5 მg4 (თუ 54. ...ე:g3, მაშინ 55. მფc4 ე:c3 56. მფ:c3 მg4 57. მფb4 და შავები ცუგცვანგშია, რაც სასარგებლო და მოულოდინე სვლების უქონლობას ნიშნავს) 55. ეc7 მფb8 56. ეf7 ე:g3 57. მფc4 ეa3 58. მ:f6 მf2 59. მფd5 ე:a2 60. მფ:e5 a5 61. მd7 ჩაწერილი სვლა. ჟუჟა პოლგარი ბრძოლის განუახლებლად დანებდა.

⊙

მშვენიერი მინიატურა

გათამაშდა დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირში.

რეტი-კაპაბლანკა. ესპანური. ბერლინი, 1928 წელი, 29 ღვინობისთვე. 1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 d6 5. c3 f5 6. d4 (დღეს თეორია უპირატესობას აძლევს 6. ef სვლას) 6. ...f:e4 7. მg5 e:d4 8. მ:e4 მf6! (8. ...კf5! ჩირიჩი-სუეტინი, 1965 წ.) 9. კg5 კe7 10. ლ:d4? b5 11. მ:f6 g:f6 12. ლd5 b:a4! (12. ...fg 13. კb3!) 13. კh6 ლd7! 14. 0—0 კb7 15. კg7 0—0—0! 16. კ:h8 მe5 17. ლd1 კf3!! 18. g:f3 ლh3 რეტი დანებდა. ასეთი განადგურება რეტის არასოდეს უწვნია.

27 თებერვლის რუბრიკაში დიაგრამის მომდევნო აბზაცი ასე უნდა იკითხებოდეს: 17. ლ:f8! ტაქტიკურ დარტყმაში შეუძლებულია (ნაცვლად შეუძლებელია) დაცვის მოსპობისა და ჩათრევის იდეა.

უჩვენებს თბილისი

ეთერში საქართველო

შაბათი

6 მარტი

10.05 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 10.10 — მულტიპლიკაციური ფილმები. 10.35 — მხატვრული ფილმი „მუშკეტერების საოცარი თავგადასავალი". 11.50 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 12.00 — **დროები** — სატელევიზიო პროგრამა. 15.00 — ფეხბურთში საქართველოს თასის გათამაშების 1/4 ფინალი: „დინამო" (თბილისი) — „კოლხეთი" (ფოთი). პირდაპირი რეპორტაჟი. 16.50 — განცხადებები. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მოსწავლეთათვის — ინსტრუმენტული მუსიკის კონცერტი. 17.45 — **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 18.30 — ერთი ცის ქვეშ. 19.40 — მულტიპლიკაციური ფილმი. 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დათა თუთაშხია" VI სერია. 22.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — ილუზიონი. 23.50 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

კვირა

7 მარტი

10.05 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 10.10 — მულტიპლიკაციური ფილმი. 10.20 — მხატვრული ფილმი „ძაღლი, რომელმაც ომი შეწყვიტა". 11.50 — საკვირაო გამოფენა. 12.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 12.10 — საკვირაო გამოფენა. 12.15 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 12.45 — საკვირაო გამოფენა. 12.50 — დოკუმენტური ფილმი. 13.25 — 45+15 — დოდო ჭიჭინაძე. 14.10 — ჰიგია — სატელევიზიო სამედიცინო ჟურნალი. 14.50 — კლუბი „კამერტონი". 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — საესტრადო გადაცემა „ვიქტორია". 18.15 — თბილისი და თბილისელები. 19.05 — კვირიდან კვირამდე — საერთაშორისო მიმოხილვა. 19.45 — ხალხური შემოქმედება — პოეზიის საღამო. 20.55 — რეკლამა. 21.00 — **მხედარი** — საინფორმაციო პროგრამა. 22.00 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დათა თუთაშხია" VII სერია. 23.05 — მუსიკა ღამით. 0.35 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

ორშაბათი

8 მარტი

7.25 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 7.30 — ალიონი — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 — **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — ქართული მხატვრული ფილმი „მეტიჩარა". 18.40 — ანძა — ტელემარკეტინგი. 18.50 — მოსწავლეთათვის — მუსიკა ჩვენს ირგვლივ. 19.30 — რამპა. 19.35 — მულტიპლიკაციური ფილმი. 19.50 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — ინფორმაცია თქვენი თხოვნით. 21.10 — წარმატების თანაავტორები — მუსიკალური გადაცემა. 22.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის ქართული თეატრის სპექტაკლი „ყვარყვარე" (პოლიკარპე კაკაბაძის დაბადების 100 წლისთავის გამო). 0.25 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

სამშაბათი

9 მარტი

7.25 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 7.30 — **გამარჯობა, საქართველო!** — საინფორმაციო-შემეცნებითი პროგრამა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.45 — ანძა — ტელემარკეტინგი. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მხატვრული ფილმი „მელნის ლაქა ზღაპარზე". 18.25 — განცხადებები. 18.35 — მოსწავლეთათვის — „თვალსაწიერი". 19.00 — ადამიანი და კანონი — სატელევიზიო პროგრამა. 19.30 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი. 19.50 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — საქართველო და გარესამყარო. 21.20 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 22.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — ქართული მხატვრული ფილმი „კეთილი ადამიანები". 23.40 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

არავითარი ორი გზა, არავითარი ორი საქართველო!

ნინო მირიანაშვილი

17 თებერვალს გაზეთ „საქართველოს სამრეკლოში" პირველ გვერდზე გამოქვეყნდა წერილი „ორი გზა ორი საქართველოსაკენ", რომელსაც ორი ყმაწვილის სურათი ამშვენებს. ერთი ბიჭუნა, ასე ორი წლის რომ იქნება, ჩოხაშია გამოწყობილი, მოხრილ-მომუშტული მარჯვენა ხელი ფიცის მიცემისთვის აქვს თითქოს შემართული. მეორეს, რომელიც მასზე ოდნავ უფროსი იქნება, მეომრის ფორმა მოსავს, ხელში კი ავტომატი უპყრავს.

აი რას ვკითხულობთ ამ წერილში: „აბა დააკვირდით პირველ ფოტოს. ამ ბიჭის გარეგნობაში უკვე ირეკლება ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ქართული ისტორიის გამგრძელებლის იერი. ამ ბიჭის სულში მალე აგუგუნდება დიდგორის ველი. მალე გახმაურდება რუსთაველის ლექსი, მალე გაიწკრიალებს მერაბ კოსტავას უძანგავი ფოლადი...

აბა დააკვირდით მეორე ფოტოს. ამ ბიჭის გარეგნობაში უკვე ირეკლება იმათი მემკვიდრე, ვინც აგერ, ჩვენს თვალწინ ეროვნულ ხელისუფლებას შეებრძოლა და ტყვია არ დაიშურა მშობელი ხალხის სისხლის საღვრელად თბილისში, სამეგრელოში, აფხაზეთში... ვინც ყაჩაღობით მოიარა „საყვარელი საქართველო", ვისაც დღეს ისევ რუსეთის ქვეშევრდომობისკენ მიუწევს გული...

ორგვარი მომავალი, ორგვარი საქართველო იყურება ამ ფოტოსურათებიდან.

ერთი გზა ადგილის დედის სულთან ზიარებისკენ მიდის, მეორე კი — მასონური ინტეგრაციისკენ, ეროვნული განადგურებისკენ".

წერილმა ჩემზე შემზარავი, დამთრგუნველი შთაბეჭდილება მოახდინა. იმ გარემოებამ, რომ წერილს ავტორი არ ჰყავს, დამარწმუნა, რომ იგი რედკოლეგიის პოზიციას გამოხატავს და მისივე შემოქმედებაა.

მინდა მივმართო რედკოლეგიის ჩემთვის ძვირფას წევრებს: ბატონო მუხრან, ბატონო გიორგი და ბატონო ნოდარ! ნუთუ არ კმარა ის, რომ ბეცი პოლიტიკის გატარების გამო როგორც ახალგაზრდობა, ისე ზრდასრული თაობები მაქსიმალურად გადავკიდეთ ერთმანეთს. ნუთუ უკვე ბავშვების დაპირისპირებაზე ავიღეთ გეზი?

ბატონებო, თუ ეს რეალურად არსებული ბავშვების სურათებია, ერთი წუთით მაინც არ გიფიქრიათ იმ გულისტკივილზე, რომელიც მეორე ფოტოზე აღბეჭდილ ბიჭუნას მიაყენეთ? ბიჭუნას, რომელსაც არაფრით არ დაუმსახურებია ეს ღვარძლიანი ბრალდება!

ბატონებო, იქნებ ამ ბიჭუნას გამომეტყველებაში საქართველოს ერთიანობის დამცველის მემკვიდრე ირეკლება? იქნებ ბიჭუნა სამაჩაბლოში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაცემული უწვერული ვაჟის უმცროსი ძმაა, რომლისთვისაც ეს ხაკისფერი დაფოთლილი ტანსაცმელი ვაჟკაცობისა და სამშობლოს დამცველის სიმბოლოდ აღიქმება?



საქართველოს სამრეკლო

კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების ყოველკვირეული გაზეთი

ოთხშაბათი, თებერვალი 17, 1993 წელი №5(7) ფასი 17 მან.

ორი გზა ორი საქართველოსკენ

იქნებ ეს ბიჭუნა აფხაზეთში გადამთიელის მიერ მუხანათურად ნაწამები მოწიფული ვაჟკაცის უმრწემესი ვაჟია, რომელსაც მამამ ანდერძად ღვთისმშობლის წილხვედრი ტანჯული მიწის დაცვა უანდერძა? ან სულაც ძმები ყარყარაშვილების მოდგმის ბოკვერია, რომელსაც დედის რძესთან ერთად შეუსისხლხორცებია წინაპრების ფიცი:

„სამშობლოს არვის წავართმევთ
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მტერსაც კი გაეცინება!"

ბატონებო, ვიტოვებ უფლებას ვიფიქრო, რომ თქვენი ნააზრევი ამ წერილში არ ურევია. ვაი საქართველოს ხვალინდელ დღეს, თუ ვცდები! ნუთუ სათანადო დასკვნა ვერ გამოვიტანეთ უახლოესი წარსულიდან, თუ სადამდე მიგვიყვანა ყველგან და ყველაფერში მტრის ბუდის ძებნამ? ნუთუ ჭერი უკვე ტუჩზე რძეშეუმშრალ ბიჭუნებზე მიდგა?

რა დაგვემართა ბატონებო? სადამდე... როდემდე?

• • •

ჰონორარი გადაირიცხოს ეროვნული თავდაცვის ფონდში.

იწყება ახალი საფეხბურთო სეზონი

ფეხბურთის მოყვარულებმა უკვე იციან, რომ 18 მარტს იწყება ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე, დღეს კი რესპუბლიკის სტადიონებზე გაიმართება თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური მატჩები. ერთმანეთს ხვდებიან: „დინამო"-„კოლხეთი-1913" (ეს თამაში ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 15 საათზე დაიწყება), „ცხუმი"-„ტორპედო", „სამტრედია"-„საპოვნელა", „ბათუმი"-„დილა", „მარგვეთი"-„გურია", „ერწუხი-„დურუჯი", „სიონი"-„სამგურალი", „მაღაროელი"-„შევარდენი-1906". საპასუხო შეხვედრები დანიშნულია 10 მარტისათვის.

დამდეგი საფეხბურთო სეზონის წინ ჟურნალისტებისათვის პრესკონფერენცია მოაწყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით კვინიკაძემ. როგორც მან აღნიშნა, უმაღლესი ლიგის კლუბების ხელმძღვანელობაში ცვლილებები არ არის. ცნობილი გახდა ისიც, რომ სოხუმის „ცხუმი" თავის „საშინაო" მატჩებს თბილისში გამართავს. ფედერაციაში შეიქმნა მსაჯთა დამნიშნავი და თამაშების ინსპექტორების კომისიები, რომლებსაც სათავეში ჩაუდგნენ შესაბამისად ზვიად დარასელი და მერაბ იაშვილი. ალექსანდრე ჭიბლაძე უხელმძღვანელებს ფედერაციის ახლადშექმნილ პრესსამსახურს. უმაღლესი ლიგის მსაჯის ხელფასია 5000 მანეთი (ერთ თამაშზე), რომელშიც შედის მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯებიც.

აპრილში ამიერკავკასიაში ჩამოდიან უეფას პრეზიდენტი ლენარტ იოჰანსონი (შვედეთი) და გენერალური მდივანი გერჰარდ აიგნერი (ავსტრია). ეწვევიან თუ არა ისინი საქართველოს რესპუბლიკას, ეს მალე დაზუსტდება. ახლახან ფიფას მსაჯები გახდნენ ქართველი არბიტრები — თამაზ ლაცაბიძე, სერგო კვარაცხელია, გურამ სეფიაშვილი და გვერდითი მსაჯები — ჭულაყიძე, ჩოჩიშვილი, მექერიშვილი, მაჭარაძე და ელიკაშვილი. სინანული გამოითქვა იმის გამო, რომ ასაკმა ანალოგიურ აღიარებაში ხელი შეუშალა ავტორიტეტულ, გამოცდილ ქართველ მსაჯებს — კობიაშვილს, სილაგავას, ლორთქიფანიძეს და სხვებს. „სამართლიანი თამაშის" პრიზისათვის ბრძოლაში 1 წრის შემდეგ ლიდერობენ „ცხუმი" და „დილა", რომლებსაც 25-25 საჯარიმო ქულა აქვთ. ბატონმა დავითმა ხაზგასმით თქვა, რომ ფეხბურთის ფედერაცია პოლიტიკაში არ ერევა და ეროვნული ჩემპიონატის გამართვით ეროვნულ საქმეს უწყობს ხელს.

ძიუდო

ვახუშტი ...

ერიჰაა!..

იყიდება თვითმფრინავის საბურავები...

თითქმის არაფერი გვიკვირს დღეს, იმდენი სასწაული ხდება, მაგრამ თვითმფრინავის საბურავების მოპარვა?!...

ახლახან შინაგან საქმეთა სამინისტროს ტრანსპორტის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული მონაცემების საფუძველზე დააკავეს რაზმან ურუსოვი, თბილისის აეროპორტის საავიაციო ტექნიკური ბაზიროს წარმოების უბნის უფროსი, რომელმაც მოქალაქეს მიჰყიდა თვითმფრინავ „ტუ-154" 2 ცალი საბურავი, თითო 10.000 მანეთად.

ურუსოვი პოლიციის თანამშრომლებმა ფაქტზე დააკავეს.

როცა გაჩნდა ინტერესი, ანალოგიურ შემთხვევებს ჰქონდა თუ არა ადრეც ადგილი — გარკვევა ძნელი გახდა, რადგან აღნიშნულ უბანზე არავითარი აღრიცხვა არ წარმოებს — საქონლის (ძირითადად საბურავები) მიღება-გაცემაზე, მის ვარგისიანობაზე, არც უვარგისი (ე. წ. ჩამოწერილი) საბურავების ნუსხა აღმოაჩნდათ, ერთი სიტყვით, პოლიციის თანამშრომლები სრული გაურკვევლობის მოწმენი გახდნენ.

იქნებ, ეს ფაქტი ჩვენი ყურადღების მიღმაც დარჩენილიყო, რომ არა ერთი გარემოება: აღნიშნული საბურავები ჩვენს რესპუბლიკას რუსეთიდან შემოაქვს და დიდ დეფიციტსაც წარმოადგენს.

მაია მოსიძე.

კარიკატურისტის ალბომიდან



ვეღარ ვეტევი!
სიტყვა!
საქმე!
ჭ. ზ.

ბესიკ ზუბაშვილის ნახატები.

ცხონება

დავით ქათამაძე

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ჟურნალისტი დავით ისაკის ძე ქათამაძე, რომელიც 50 წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდა რაიონული, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში პასუხისმგებელ თანამდებობებზე და ჩუმად, უხმაუროდ ემსახურებოდა თავის ქვეყანას, თავის ხალხს...

მისი წერილები, ნარკვევები, ჩანახატები გამოირჩეოდა მაღალი პროფესიული დონით და დიდი ადამიანური სითბოთი.

იგი იყო უღალატო მეგობარი, პატიოსანი და საქმეში თავდადებული. პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტის წოდება. 1960 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში".

წავიდა ჩვენგან კარგი მეგობარი, პატიოსანი და საქმეში თავდადებული კაცი და დაგვიტოვა ნათელი ხსოვნა.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" და გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქციები.

მსურველთ სთხოვენ გამოხმაურებას

ახმეტის სამრეწველო კომერციული საწარმო „მერანის" განცხადება

საწარმო სთავაზობს იმ დაინტერესებულ ორგანიზაციებს, ვისაც რუსეთის ბანკებში აქვს თანხები და ვერ გადმოურიცხიათ საქართველოში, შეგვიძლია აღნიშნული თანხები 100,0 მილიონი მანეთის ფარგლებში, აქვე რესპუბლიკაში ჩაურიცხოთ, მისთვის სასურველ ბანკში გარიგებისთანავე, ყოველგვარი პროცენტების დარიცხვის გარეშე, ხოლო მათ შესაბამისი რაოდენობის თანხა გადაგვირიცხონ რუსეთის რესპუბლიკის სხვადასხვა ბანკებში, ჩვენს მიერ მიცემული რეკვიზიტებით.

გთხოვთ მსურველებს გამოგვეხმაუროთ შემდეგ მისამართზე: ქ. ახმეტა — 383350. ვაჟა-ფშაველას ქ. № 21, ახმეტის სამრეწველო კომერციული საწარმო „მერანი". ტელეფონი: კოდი 249, 2-13-51, 2-22-99, სამუშაო საათის შემდეგ: 2-22-44.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ზოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „საქართველოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშტარიას 39. ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66434